## გუშინ

### ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა



21 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა განიხილეს კონტრაბანდისა და გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების მიერ გაწეული მუშაობის შემსწავლელი ეროვნული უშიშროების საბჭოს საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნა.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი**

## აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

### ურთიერთობა ახალ ასპექტებს იძენს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია 20 ივლისს შეხვდა რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში კონსტანტინ გირბეას.

შეხვედრაზე ყურადღება, ბუნებრივია, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებს დაეთმო. ამ საკითხში, როგორც ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუმინეთმა მხარი დაუჭიროს საქართველოს ეუთოში. ნიშანდობლივია, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რუმინეთის წარმომადგენელია. ამ ქვეყნის წარმომადგენელი მომავალი წლიდან უხელმძღვანელებს აგრეთვე ეუთოს აღმასრულებელ სტრუქტურას.

* * *

მრავალი სახელმწიფოს მსგავსად, ჩეხეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენს პოზიციას აფხაზეთის საკითხში, ეს განაცხადა ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ირჟინ მეკვასიდიმ 20 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ვახტანგ ყოლბაიასთან გამართულ შეხვედრაზე, როგორც ჩეხეთის ელჩმა აღნიშნა, მისი ქვეყანა საქართველოს პპირდება მხარდაჭერას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ეს სხდომა ივლისის დამლევსაა დაგეგმილი. როგორც ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, ჩეხეთის ელჩმა რეალურად შეაფასა რუსეთის როლი აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში და ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვა.

**საქინფორმი.**

## დედაქალაქი

### მართლაც, რამდენი რამ გწყინდა, თბილისო...



**გუშინ საღამოს თბილისის მერიაში საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" მთავარი საბჭოს გამსვლელი სხდომა გაიმართა.** მანამდე კი, მმართველი პარტიის დეპუტატები, თბილისის მერიის, საკრებულოს, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები დედაქალაქში მშენებარე ობიექტებზე ვიყავით. პარლამენტარები კიდევ ერთხელ გაეცნენ თბილისის და თბილისელების უმნიშვნელოვანეს სოციალურ პრობლემებს, დარწმუნდნენ იმაში, რომ ახლახან ცენტრალური ბიუჯეტის დამტკიცების დროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოვლენილი კეთილი ნება, დედაქალაქისათვის საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეული შეღავათების დამტკიცების შესახებ, არამც თუ დროული, დაგვიანებულიც კია. მით უფრო, რომ ამ საკითხზე დებატები სექტემბერშიც უნდა გაგრძელდეს.

დაწვრილებით ხვალის – ნომერში.

**სპარტაკ ქობულია.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

**გასულ 5 დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2952 მკითხველი. მათ შორის, 58% აშშ-დან, 24% – საქართველოდან.**


GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №196 (3597) შაბათი, 22 ივლისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.


## კანონმდებლები

### ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი" გასვლით სხდომებს აწყობს



მომავალ კვირას საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" მთავარი საბჭო გასვლით სხდომებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გეგმავს. ფრაქციის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციის წევრები აჭარაში ასლან აბაშიძის მიწვევით ჩავლენ. ბათუმში ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" და „აღორძინების" წევრები ერთობლივ სხდომას გამართავენ.

აჭარაში სტუმრობამდე „მოქალაქეთა კავშირის" წევრები გასვლით სხდომას 24 ივლისს მცხეთა-მთიანეთში ჩაატარებენ.

**საქინფორმი.**

## სტიქია

### მეწყერმა გზა ჩახერგა

**რუსეთ-საქართველოს საზღვრის ოსეთის მონაკვეთზე მეწყერის ჩამოწოლის გამო პარასკევიდან ჩაკეტილია საკონტროლო-გამშვები პუნქტი „ქვემო ზარამაგი".**

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს პრესსამსახურში, მეწყერის ჩამოწოლის მიზეზი გახდა ძლიერი წვიმები ტრანსკავკასიურ მაგისტრალის მიდამოებში.

მეწყერმა გზის დაახლოებით ერთი კილომეტრი ჩახერგა, რის გამოც საავტომობილო მიმოსვლა ჩაიკეტა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მოხერხდება მაგისტრალზე მოძრაობის აღდგენა.

**პრაიმ-ნიუსი.**

## ვიზიტი

### თანამედროვე მსოფლიოს ნიშნეულად გამორჩეული პიროვნება



დიდი ბრიტანეთის საქმიან წრეებთან საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრების დეტალებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად ჩახედული კაცი, უთუოდ, გია ჭანტურიაა – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი. აგიხსნით რატომაც.

ჯერ ერთი, იგი მსოფლიოში უდიდესი ნავთობკომპანიის „ბრიტიშ პეტროლიუმ ამოკოს" მმართველობაში სარგებლობს უცილობელი ავტორიტეტით, როგორც ღირსეული პარტნიორი. მას ენდობიან და ამიტომ გულგახსნილებიც არიან მასთან ურთიერთობის დროს. და, მეორეც, ბატონი გია ოფიციალურ დელეგაციას ლონდონში დახვდა, და ზემოთ მოხმობილი (თუ ახსნილი?) ვითარებისა გამო, დეტალურად იყო გარკვეული ენერგომშემცველებით დაკავებული ბრიტანული კომპანიების (და არა მარტო მათი) წინასავიზიტო განწყობილებებში; ინფორმაციის საკმაოდ დიდი მარაგის მფლობელი გახლდათ.

იხ. მე-2 გვ.

## შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ზაზა ილარიანი | – 50 ლარი |
| „საქართველოს ბანკის" საბურთალოს ფილიალის თანამშრომლები: | |
| თედო თენიეშვილი | – 100 ლარი |
| ნინო თავდიშვილი | – 30 ლარი |
| ავქსენტი როგავა | – 15 ლარი |
| ნინო ბედელური | – 20 ლარი |
| მადონა ანთიძე | – 10 ლარი |
| ია მამუზაშვილი | – 10 ლარი |
| ქეთი ბრეგვაძე | – 10 ლარი |
| ზაზა გოგრიჭიანი | – 10 ლარი |
| მანანა სოზიაშვილი | – 20 ლარი |
| მზია აფციაური | – 20 ლარი |
| ლია ოღაძე | – 5 ლარი |
| ნუნუ ზედელაშვილი | – 5 ლარი |
| მაია ბალახაძე | – 5 ლარი |
| მაყვალა ტაბიძე | – 20 ლარი. |

## გიხაროდენ!

### ერთ კვირაში ორი შვილიშვილი შეგვემინა



თბილისის 155-ე სკოლის მასწავლებელმა მარიკა გელიაშვილმა და მისმა მეუღლემ მუხრან დოლიძემ სიხარული გაგვიზიარეს:

– თქვენი გაზეთის პირველ გვერდზე „გიხაროდენის" წაკითხვისას სიხარულით ვივსებით. ორი ვაჟიშვილისა და ორი შვილიშვილის ბებო-პაპას ამ ერთ კვირაში ორი კიდევ შეგვემატა.

უფროს ვაჟიშვილს ზვიადს, უკვე ჰყავს ორი გოგონა – მარიამი და ანანო; ამჯერად მის მეუღლეს მედიკო ცინცაძეს №5 სამშობიარო სახლში ვაჟი შეეძინა. ბიჭს ლუკა დაარქვეს. ის-ის იყო ჩვილი შინ მოვიყვანეთ (ორივე ვაჟი თავიანთი ოჯახებით ჩვენთან ცხოვრობს), ახლა მეორე ვაჟიშვილის – გუბაზის მეუღლემ გვანცა თორელიშვილმა ბიჭუნა გვაჩუქა. მან დიღმის სამშობიარო სახლ „ორიონში" იმშობიარა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მასპინძლებმა აცნობეს: – ჩვენთან კარგი პროფესიონალები მუშაობენ, გეიმედებოდეთო და გვანცა სამშობიარო ბლოკში შეიყვანეს. ერთი საათის შემდეგ ქათქათა ხალათიანი ქალბატონი შამპანურის ბოთლით გამობრძანდა და გუბაზს მოახსენა: – თქვენი მეუღლე ბიჭის დედა გახდა, დაგვილოცნიაო, თან დედა-შვილის ექსპრომტად გადაღებული სურათი ბედნიერ მამას გაუწოდა. ასე გაგვახარეს „ორიონელებმა" ამ დღეს. ბიჭს სანდრო დაარქვეს.

ბიძაშვილები სანდრო და ლუკა ჩვენს დიდ ოჯახში ტყუპებივით გაიზრდებიან. დიდმა ბებიამ ელენემ ორივეს სოფელ საცხენისიდან მატყლის ლეიბ-საბნები ჩამოუტანა...

**დოლიძეების ოჯახს კვლავაც შვილთა სიმრავლე ვუსურვოთ!**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## აბჯარი

### ჯარში გაწვევა არ შეწყდება

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილის განცხადებით, შეიარაღებულ ძალებში რეფორმა, რომელიც 1998 წელს დაიწყო და 2005 წლისთვის დასრულდება, წარმატებით მიმდინარეობს – დასრულებულია არმიის შემცირების პროცესი – 1998 წელს სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 29 ათასიდან 27 ათასამდე შემცირდა, მიმდინარე წლის ბოლომდე კი 20 ათასით განისაზღვრება.

როგორც პრაიმ-ნიუსთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, საქართველოს შეიარაღებული ძალები ბრძოლისუნარიანია იმ რაოდენობით, რითაც არმიის რიცხოვნობაა დღეისათვის განსაზღვრული და შეუძლია დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

გენშტაბის უფროსის თქმით, მიმდინარეობს რეზერვისტებისა და სარეზერვო ტექნიკის გამოძახების სისტემის, ასევე, მათი საბრძოლო მომზადების პროცესის სრულყოფა, რასაც ხელს უწყობს მცირე და ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები.

იხ. მე-2 გვ.

## დერეფანი

### „იმედის ექსპრესი" თბილისი-ბათუმი

გახსოვთ, ალბათ, ამ ორი კვირის წინათ ჩვენმა რკინიგზელებმა სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყეს – ფოთის სარკინიგზო საბორნე გადასასვლელით შემოიყვანეს ულამაზესი თანამედროვე დიზელ-მატარებელი, რომელიც მათი დაკვეთით რიგელმა ვაგონშემკეთებლებმა ააგეს.

და აი, გუშინწინ დილით 9 საათზე უახლესი ევროპული სტანდარტის დიზელ-მატარებელი ჩამოდგა თბილისის რკინიგზის სადგურის პირველ ლიანდაგზე პირველი რეისის შესასრულებლად. ამიერიდან იგი თბილისი-ბათუმის მარშრუტს მოემსახურება.

მართლაც, უჩვეულო ხალხმრავლობა იყო იმ დილით თბილისის რკინიგზის სადგურში. ბათუმში წამსვლელ მგზავრებთან ერთად აქ ბევრი ცნობისმოყვარე თბილისელიც შეიკრიბა. აქვე იყვნენ ჩვენი რკინიგზის მესვეურებიც. ბატონი აკაკი ჩხაიძე და მისი თანაგუნდელები იმ დღეს მგზავრთა გულწრფელი მადლიერების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ.

სიმართლე რომ გითხრათ, კარგა ხანია არ მინახავს ასეთი აღფრთოვანება. თბილისი-ბათუმის ახალი მატარებელი, მართლაც, იმედივით შემოიჭრა არა მხოლოდ სარკინიგზო მაგისტრალზე, არამედ ჩვენს შემეცნებაშიც.

იხ. მე-2 გვ.



## შანტაჟი ტელეეკრანიდან

### სიტყვის თავისუფლება გუსინსკისათვის!

„მოსტის" გარშემო ატეხილი სკანდალი, მეორე თვეა, მწვავე ფაზიდან ვერ გამოდის, მას შემდეგ, რაც მედია-ჰოლდინგის დაცვის სამსახურში ჩხრეკა ჩაატარეს, და განელების ტენდენცია არა და არ ჩანს. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ორივე მოდავე მხარე – რუსეთის ხელისუფლებაც და გუსინსკი მალაშენკოსთან* ერთად პოზიციების დათმობას არ აპირებენ. ასეთი სიჯიუტე დაკავშირებულია არა მხოლოდ და არა იმდენად მოდავეთა პირად თვისებებთან, რამდენადაც ამ კონფლიქტის თავისებურებასთან. საქმე ხელისუფლების სურვილს რომ ეხებოდეს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოთოკოს თავგასული ოლიგარქი, ან ოლიგარქის სურვილს, წაართვას ამ ხელისუფლებას მსუყე და გემრიელი ლუკმა, მოდავე მხარეები ცოტას კიდევ იხმაურებდნენ და დამშვიდებოდნენ.

* მალაშენკო – „მედია-მოსტის" პრეზიდენტის მოადგილე.

იხ. მე-4 გვ.

## ინფორმაცია

### მადლობის მეტი რა გვეთქმის

საქართველოში აშშ ელჩმა ქენეთ სპენსერ იალოვიცმა პარასკევს საელჩოში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან, დავით კირვალიძესთან და ფინანსთა მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას აშშ მთავრობის მიერ საქართველოსთვის 35 ათასი ტონა ხორბლის მოწოდების თაობაზე. იალოვიცის თქმით, შემოტანილი 35 ათასი ტონა ხორბლიდან 5 ათასი ფქვილის სახით განაწილდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებზე. დანარჩენი 30 ათასი ტონა კი გაიყიდება. ხორბლის გაყიდვიდან ამოღებული თანხის - 4 მილიონი აშშ დოლარის ნაწილს გამოიყენებს საქართველოს მთავრობა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის პენსიების, ხელფასების, დახმარებების გასაცემად. თანხის ნაწილი გადაერიცხება ეროვნულ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემას საქართველოში სოფლის მეურნეობის კრედიტების პროგრამის მხარდასაჭერად.

### აკაკი ელიავას დაკრძალვას შაბათს აპირებენ

აკაკი ელიავას ოჯახის ჭირისუფლები გარდაცვლილის ცხედრის დაკრძალვას შაბათს აპირებენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს ელიავასოჯახთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი ის ხდება, რომ ცხედრის შენახვის შესაძლებლობა ამოიწურა. ულტიმატუმის მიუხედავად გოჩა გვილავაც ჭირისუფლებმა სწორედ იმ მიზეზით დაკრძალეს, რომ ველარ ხერხდებოდა ცხედრის შენახვა.

### ფასები სტაბილურია

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ერთი კვირის მანძილზე (14-20 ივლისი) 99,78 პროცენტით განისაზღვრა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აცნობეს, ამ მაჩვენებელმა გასულ კვირას 99,95 პროცენტი შეადგინა. ინდექსი 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. ფასები, მიმდინარე კვირაში, 0,22 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე 0,63 პროცენტით, მომსახურებაზე და არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელი დარჩა.

### წყალი სოფლის დიდი სიმდიდრეა

მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით 1998 წელს დაწყებული „სიფის" პროექტი, რომლის რეალიზება იყო შეფერხებული, საბოლოოდ განხორციელდა. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა პრეზიდენტის რწმუნებულის მრჩეველმა მცხეთა-თიანეთის მხარეში ბექა იორდანიშვილმა, სოფლის არსებობის მანძილზე პირველად მთლიანად მოგვარდა სასმელი წყლის პრობლემა. სექტემბრის თვეში კი, ყველა მსურველს საშუალება ექნება საკუთარ სახლში შეიყვანოს სასმელი წყალი.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ მარტოხელა დედა, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ვეწევი მცირე ბიზნესს, რის გამო შვილს სათანადო მზრუნველობა აკლდება, არასრულწლოვანი ბავშვი ხშირად უმეთვალყურეოდ მრჩება.

აქვს თუ არა უფლება სასამართლოს ჩამომართვას მშობლის უფლება და საერთოდ, არსებობს თუ არა, კანონის თანახმად, რაიმე პირობები, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით?

**შორენა აბაზაძე, ქუთაისი.**

– მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით.

მშობლებს, ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება, თუ გამოირკვევა, რომ ისინი (ან ერთი მათგანი) სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობას, ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას. სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მავნე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი ამორალური ყოფაქცევით. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები, ან ნარკომანები არიან.

თუ ორივე მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

აღსანიშნავია, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

## უკანასკნელ საათს

ოკინავაზე „დიდი შვიდეულის" ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე, წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა პრაქტიკულად უარი თქვეს რუსეთის ვალის რესტრუქტურიზაციაზე.

გუშინ მათ შეუერთდა რფ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ჩასვლისთანავე აშშ პრეზიდენტს ბილ კლინტონს შეხვდა.





ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ ტირნაუს გუშინ მესამედ შეუტია მეწყერებმა. ქალაქის მეოთხედი უკვე დაიტბორა.

**გუშინ** ჩეჩნეთში ფუგასურ ნაღმზე აფეთქდა სამხედრო „ურალი". დაიღუპა 4 და დაიჭრა 5 ფედერალური სამხედრო მოსამსახურე.



## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +18+23; დღისით +30+35.

მთაში: ღამით +14+19; დღისით +26+32.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით +19+24; დღისით +32+37.

მთაში: ღამით +15+20; დღისით +28+33.

**თბილისში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.

ღამით +22+24; დღისით +35+37.

**საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.**

## ლარის კურსი

*22 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსები:*

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9371 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9649 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8329 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0715 | ლარი. |

## ინტერპანორამა

რფ პრეზიდენტის წარმომადგენელმა ვიქტორ კაზანცევმა გუშინ შეარიგა ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახმად კადიროვი და მისი მოადგილე ბესლან განტემიროვი.



გუშინ სანკტ-პეტერბურგში ჩამოვარდა სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი. დაიღუპა 19 ადამიანი – ეკიპაჟი და პარაშუტისტები.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

ვიზიტი

# თანამედროვე მსოფლიოს ნიშნეულად გამორჩეული პიროვნება

(პირველი გვერდიდან)

ეს უპირატესობა მას უფლებას აძლევდა საინტერესო ანალიზი და დასკვნები შეეთავაზებინა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისათვის, და ამიტომაც ვეკითხები გამომგზავრების წინ ჰიტროუს აეროპორტის VIP სტუმრებისთვის განკუთვნილ დარბაზში:

**— ბატონო გია, სასაუბროდ მინდა შემოგთავაზოთ თემა „საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში და ედუარდ შევარდნაძის როლი პერსპექტივის განვითარებაში“. პერსპექტივა — ფართე გაგებით, არა მხოლოდ ენერგეტიკა და ნავთობი.**

— ადრეც ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ: ეს იყო საეტაპო მნიშვნელობის ვიზიტი.

დღეს ძნელი სათქმელია — საქართველოს უფრო სჭირდებოდა შევარდნაძის ვიზიტი, თუ დიდ ბრიტანეთს.

**— ალბათ, ერთსაც და მეორესაც.**

— მე კი ასე ვუპასუხებდი: ბრიტანეთს არანაკლებ სჭირდებოდა შევარდნაძის ჩასვლა.

თქვენი გაზეთის მკითხველებმა, დარწმუნებული ვარ, იციან, რომ დიდი ბრიტანეთი კასპიის რეგიონის სარეწების ერთ-ერთი ძირითადი ინვესტორია. ეს განსაკუთრებით ითქმის აზერბაიჯანის სექტორზე, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისიდან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონია.

დღეს დიდი ბრიტანეთი პრაქტიკულად ყველაზე მსხვილი აქციონერია. აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიაში „ბი-პი ამოკო“ 46 პროცენტის მფლობელია და მისი მთავარი ოპერატორი გახლავთ.

მომავალი ინვესტიციებისათვის, რომლებიც „ბი-პი ამოკომ“ საქართველოსთვის და აზერბაიჯანისთვის უნდა გაიღოს და რომელთა მოცულობა 50 მილიარდ დოლარს უდრის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიციას რეგიონში ჩამოყალიბებული ვითარების მიმართ, განსაკუთრებით, პერსპექტივის მისეულ ხედვას მშვიდობისა და სტაბილურობის გაღრმავების თვალსაზრისით.

ამ ჭრილში პრეზიდენტ შევარდნაძის ვიზიტს, თამამად შემიძლია ვთქვა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთისათვის. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის. ეს ითქვა პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრებზეც, მანამდეც და მერეც.

მხედველობაში მაქვს „ბი-პი ამოკოსთან“ შეხვედრა, ასევე — ევრობანკში და სხვაგან. საკვანძო შეკითხვა, რომელსაც შევარდნაძეს უსვამდნენ, იყო — როგორ ესახება ბატონ პრეზიდენტს რეგიონის განვითარება უახლოესი 30-50 წლის განმავლობაში?

**(თუ ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ, კვლავ გადაიკითხოთ ეს აბზაცი და დარწმუნდებით, რომ წერია ის, რაც წაიკითხეთ და ალიქვით ისე, როგორც უნდა აღგექვათ — შევარდნაძეს ეკითხებიან უახლოესი 50 წლის განვითარების პერსპექტივის თაობაზე, რადგან მისეული ხედვა, ანალიზი ეს ისეთი კაპიტალია, რომელსაც მხოლოდ მისგან თუ მოიპოვებ. სხვაგან — ვერა. ამიტომ აფასებენ მას, ამიტომ ეხმარებიან მის სამშობლო ქვეყანას. ა. ს.).**

— ის შეფასებები, — **მიხსნის გია ჭანტურია**, — რომელზეც ვილაპარაკე, პრეზიდენტ შევარდნაძისგან მოსმენილი მიდგომების საფუძველზე ყალიბდება. მათ შორის არის დიდი ბრიტანეთის ახალი საინვესტიციო პროგრამა (SIC!) კავკასიაში, კონკრეტულად, სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, აზერბაიჯანში; რეგიონული თანამშრომლობის და რეგიონის უსაფრთხოების ახალი პროგრამა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა რობინ კუკმა ხაზგასმით თქვა, რომ ინგლისი ყველაფერს გააკეთებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სტაბილურობის შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის.



უაღრესად საინტერესოა, რომ დიდი ბრიტანეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს „კავკასიის მშვიდობის პაქტის“ ჩამოყალიბება-დახვეწაში, რომელსაც სათავე, როგორც გახსოვთ, თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ დაუდო.

**ორიოდ სიტყვა თქვა გია ჭანტურიამ თავისი სამსახურებრივი პროფილის კუთხითაც:**

— ვიზიტი მიმდინარეობდა საქართველოს წარმატებების ალიარების დაუფარავი დემონსტრირებით ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი ნავთობსადენის მშენებლობაში.

**და ბოლოს კვლავ პოლიტიკური შეფასება ვიზიტისა, რომელიც გია ჭანტურიას ახალ ერად მიაჩნია.**

— ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ევროპის და დიდი ბრიტანეთის (რომელიც, ჩემი აზრით, არის ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერი, რაც 2-3 წელიწადია აშკარად გამოიკვეთა) როლი და პოლიტიკური პრიორიტეტები, სამოქმედო პროგრამა კავკასიისათვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია და ჩვენც სათანადოდ უნდა შევაფასოთ, მით უფრო, რომ ბრიტანეთმა სწორედ ასეთი შეფასება მისცა.

ამიტომ შეკითხვაზე — ვისთვის უფრო საჭიროა ეს ვიზიტი — საქართველოსთვის, თუ დიდი ბრიტანეთისთვის? — პასუხი იქნება — დიდი ბრიტანეთისთვის. ის, თუ როგორ უსმენდნენ შევარდნაძეს, ფენომენალური და უნიკალურია. ბრიტანეთს არ აკლია არც დიპლომატები, არც პოლიტიკოსები. მოგეხსენებათ, იგი აკვანია დემოკრატიის, პოლიტიკის, დიპლომატიის. და როდესაც სწორედ ამ ქვეყანაში უახლოესი 50 წლის პერსპექტივას შევარდნაძის შეხედულებით განსაზღვრავენ, ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც მის სამშობლოში სრულად უნდა გავისიგრძეგანოთ და სათანადოდაც დავაფასოთ.

**და როდესაც სწორედ ამ ქვეყანაში უახლოესი 50 წლის პერსპექტივას შევარდნაძის შეხედულებით განსაზღვრავენ, ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც მის სამშობლოში სრულად უნდა გავისიგრძეგანოთ და სათანადოდაც დავაფასოთ.**

ამ ვიზიტით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ედუარდ შევარდნაძე არის გადამწყვეტი ფიგურა მსოფლიოსათვის.

აი, ეს არის ჩემთვის მთავარი, რაზეც ყველაფერი სხვა არის დაფუძნებული და, მათ შორის ის, რომ ლონდონში მოლაპარაკების შედეგად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სრულ მონაწილეობას მიიღებს სუფსის ტერმინალის, სუფსის ნავთობ-ქიმიური კომპლექსის ქარხნის მშენებლობაში, ისიც, რომ სექტემბერში საქართველოში შევარდნაძის პატრონაჟით ინვესტორების და ნავთობკომპანიების დიდი კონფერენცია გაიმართება და ბევრი სხვა რამ.

— „ბი-პი ამოკოსთან“ პრეზიდენტის შეხვედრის დროს განიხილებოდა საქართველოს ტერიტორიით გაზის ტრანსპორტირების საკითხი, — **თემას აგრძელებს ალეკო გოცირიძე — საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი,** — ლაპარაკია აზერბაიჯანის გაზის ტრანსპორტირებაზე თურქეთში.

„ბი-პი ამოკოს“ ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს იმ განკარგულების **(ქვეყნდება ამავე გვერდზე. — რედ.)** გამოცემისთვის, რომელსაც ედუარდ შევარდნაძემ ინგლისში წამოსვლის დღეს მოაწერა ხელი. დოკუმენტი პროექტისათვის მხარდაჭერას ითვალისწინებს. „ბი-პი ამოკოს“ სურს დროულად დაიწყოს სამუშაოები, რისთვისაც მხარდაჭერა სჭირდებოდა. სწორედ ამ მხარდაჭერას ითვალისწინებს პრეზიდენტის განკარგულება.

პროექტის რეალიზაცია, უთუოდ უპრობლემოდ მოხდება. იგი ერთ-ერთ იმ სერიოზულ პროექტთაგანია, რომელიც განიხილება როგორც „დიდი აბრეშუმის გზის“ ორგანული შემადგენელი. პრეზიდენტმაც და „ბი-პი ამოკოს“ ხელმძღვანელობამაც იმედი გამოთქვეს, რომ 2002 წლის ბოლოსთვის აზერბაიჯანის გაზი თურქეთში ჩავა. ამასთან, ჩვენ პირობა მოგვცეს, რომ როგორც კი აზერბაიჯანის გაზი თურქეთისაკენ დაიძვრება, საქართველოს მოეხსნება გაზის პრობლემა.

ეს პერსპექტივა, შედარებით შორეულია— 2 წლით განისაზღვრება, უახლოესი კი ამ ზამთარს ჩვენი მოსახლეობისათვის გაზით უზრუნველყოფა არის, და ვერც აქ ხედავს „ამოკო“ რაიმე პრობლემას — ამ ზამთარსაც გვექნება გაზი.

ასე.

**ხოლო ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულ კულტურულ ღონისძიებებზე ჩემი კოლეგა გიორგი ლალიაშვილი მოგითხრობთ. მიადევნეთ თვალი ჩვენს მომდევნო ნომრებს.**

**არმაზ სანებლიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**ლონდონი — თბილისი.**

**სურათზე: გია ჭანტურია „ბი-პი ამოკოს“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს ლონდონში.**

**სერგო ედიშერაშვილის ფოტო. საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

დერეფანი

# „იმედის ექსპრესი“ თბილისი-ბათუმი

(პირველი გვერდიდან)

რადგან ამ სასიამოვნო ფაქტის მიღმა, როგორც მგზავრებმა მითხრეს, მათ დაინახეს ის, რომ თუ გული გულობს, ახალი მატარებელიც შეიძლება გვქონდეს, ახალი საგადასახადო კოდექსიც და ახალი სახელმწიფოც, რომელიც იზრუნებს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, მათ მომავალზე. დაახლოებით ასეთი იყო იმ საუბრის თემა, რომელიც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ჰქონდათ ჩვენი რკინიგზის მესვეურებთან.

... შესრულდა 9 საათი, ჟურნალისტებმაც დავიკავეთ ადგილი სასიამოვნო კომფორტულ სავარძლებში და დიზელ-ექსპრესმაც გეზი ბათუმისაკენ აიღო.

ბატონი ომარ თუხარელი — საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მოადგილე მოძრავი შემადგენლობის დარგში, რომელიც უშუალოდ ზედამხედველობდა ამ დიზელმატარებლის შექმნისა და მშენებლობის საქმეს, ამთავითვე გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი რკინიგზის ხელმძღვანელობა კიდევ ერთ, უფრო მოდერნიზებულ მატარებელს ჩააყენებს ჩვენს სამსახურში.

მართლაც, უჩვეულო სანახავია ახალი მატარებლის ვაგონები. ისინი უფრო დიდი თვითმფრინავის სალონს მოგაგონებთ, ერთმანეთის მიჯრით მიწყობილი მოძრავი კომფორტული სავარძლებით, მათ შორის დამონტაჟებული ლამაზი მაგიდებით, ჭერში შეკიდული ტელევიზორებით, რომლებიც საინტერესო პროგრამებითართობენ მგზავრებს...

განსაკუთრებული პოპულარობით მგზავრთა შორის მაინც სარგებლობს ულამაზესი ბარი, რომელშიც და-ძმა მაია და ბადრი მიშელაძეები მრავალი დასახელების სასმელსა და საუზმეს სთავაზობდნენ მომხმარებელს.

— როგორც ხედავთ, ჩვენებურები მალე ულებენ ალღოს ახალ სერვისს, — მეუბნებიან ჩემი თანამოსაუბრენი, — რკინიგზის სამგზავრო და სალოკომოტივო სამსახურების უფროსები გია ტალახაძე და დავით გელაშვილი.

ვატყობ, ყველაზე მეტი დატვირთვა მაინც დიზელმატარებლის უფროსს ნატო კაკიშვილს აქვს. როგორც მითხრეს, მას ჩვენი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოძრაობის მართვისა და დაგეგმვის ფაკულტეტი, შემდეგ მაგისტრატურა დაუმთავრებია, ახლა კი ასპირანტია... გუნდიც შესანიშნავი შეურჩევია. გოგონები— გამცილებლები, დამლაგებლები, მართლაც, ციბრუტივით ტრიალებენ, რადგან პირველ რეისს ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მატარებელი, მართლაც, ექსპრესული სიჩქარით მიდის ბათუმისაკენ. იგი მხოლოდ ძირითად საკვანძო სადგურებზე ჩერდება და ისიც ძალზე მცირე დროით.

ახლა საკურორტო-საშვებულებო სეზონია და ბათუმი და ქობულეთი, საერთოდ ზღვისპირეთი, ასეულობით დამსვენებელს იზიდავს.

ჩქარი მატარებელი, რომელიც თავისი კომფორტულობით, ვენტილაციით, თანამედროვე მომსახურებით ბევრად მოსახერხებელია ავტობუსებთან შედარებით, ცხადია, ერთობ პოპულარული გახდება მგზავრებისათვის.

— ახლა ეს შემადგენლობა ოთხი სექციისაგან შედგება, — მეუბნება ბატონი ომარ თუხარელი, — როგორც ვატყობთ, მალე იძულებული გავხდებით ამ შემადგენლობას სულ ცოტა ორი სექცია მაინც დავუმატოთ. ამ აზრს მგზავრებიც იზიარებენ.

უდავოდ, მიმზიდველი სანახავია ჩვენი სარკინიგზო მაგისტრალი. რიკოთზე ასეულობით რკინიგზელი მუშაობს ამ ურთულესი მონაკვეთის რეკონსტრუქციაზე, იგება ახალი ორლიანდაგიანი გზა... შენდება



ბეტონის დამცავი ნაგებობები. თბილისიდან ბათუმამდე სვლის დროს 12-ჯერ მაინც ჩაგვიქროლეს „შევრონის“ ნავთობით დატვირთულმა შემადგენლობებმა. აღარაფერს ვამბობ სხვა სამგზავრო თუ სატვირთო მატარებლებზე.

რკინიგზის მაგისტრალზე ყველაზე კარგად ჩანს დღევანდელი ცხოვრების მაჯისცემა, რომელიც სულ უფრო და უფრო მძლავრი ხდება ჩვენი ქვეყნის ახალი საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის შედეგად.

ასე, ხალისიან მგზავრობაში გაირბინა რამდენიმე საათმა, გამოჩნდა სუფსის ტერმინალიც... აქედან კი, არც ისე შორია ქობულეთამდე, ბათუმამდე... ქობულეთში ასობით ადამიანი მოვიდა ბაქანზე ახალი მატარებლის სანახავად. ასევე იყო ბათუმშიც, სადაც დიზელექსპრესს, მის მგზავრებსა და საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მათმა კოლეგებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ახალი დიზელ-ექსპრესი — „თბილისი-ბათუმი“ ახალ ცხოვრებას იწყებს.

მშვიდობით და სიკეთით ევლოს!

**გია ჭელიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

**დელეგაციას მინისტრი უხელმძღვანელებს**

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმების ფარგლებში რუსეთისა და საქართველოს მიერ ეუთოს სტამბოლის სამიტზე გაკეთებული ერთობლივი განცხადების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ 29-30 ივლისს მოსკოვში გამართულ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სამხედრო მოლაპარაკების მესამე რაუნდზე. საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი უხელმძღვანელებს.

**ირაკლი მენაღარიშვილი თურქეთს ეწვევა**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, თავისი თურქი კოლეგის ისმაილ ჯემის მიწვევით, 24 ივლისს თურქეთის რესპუბლიკას სამდღიან სამუშაო ვიზიტად ეწვევა.

25 ივლისს ქალაქ ტრაპიზონში სამუშაო შეხვედრის დროს ქართველი და თურქი კოლეგები განიხილავენ ორ ქვეყანას შორის რეგიონული და ორმხრივი ურთიერთობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროექტების ფარგლებში, კერძოდ, ბისეკის, ტრასეკას, ენერგომემცველების ტრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის საკითხებს. ტრაპიზონის შეხვედრაზე იმსჯელებენ თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის, ჩილდირ-აქთაშ-კარწახის ახალი სასაზღვრო გადასასვლელის გახსნისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების გაფორმების საკითხებზე.

**ბანკების ალიანსი**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის — „საქართველოს ბანკის“ ძირითადი აქციონერი გახდა, — განაცხადა გუშინ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის უფროსმა ბანკირმა შარლოტა რუმ და „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვალერი შარიქაძემ.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გაიმართა „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა სხდომა, სადაც მიესალმნენ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს, რომელიც 20 მილიარდი ევროს ოდენობის კაპიტალს წარმართავს, „საქართველოს ბანკის“ ძირითადი აქციონერობის ფაქტს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

დოკუმენტი

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2000 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

## ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის პროექტის განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებათა შესახებ

კასპიის აუზიდან ბუნებრივი რესურსების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტირების პროექტების განხორციელება ევრო-აზიური სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, სადაც საქართველოს საკვანძო ადგილი უკავია. აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის პროექტის თაობაზე გამართული მოლაპარაკების მესახებ 2000 წლის 6 ივლისს ხელმოწერილ ოქმში განსაზღვრული მაღალი წნევის გაზსადენის პროექტის დროულად განხორციელების მხარდაჭერის მიზნით:

1. საქართველოს სამინისტროებმა და სახელმწიფო დეპარტამენტებმა დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 12 აგვისტოს №519, 1997 წლის 20 აპრილის №206 და 1999 წლის 19 ივლისის №447 ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს სახელით წარმართავს ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის პროექტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას დაინტერესებულ სახელმწიფოებთან და პროექტის პოტენციურ მონაწილეებთან. ამგვარი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები (მინისტრის მოადგილეების დონეზე).

2. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს ალექსი გოცირიძეს. მასვე დაევალოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის დღიდან.

3. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ, კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების პროექტების კომისიასთან კოორდინირებულად, შეთანხმებული დოკუმენტები წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

4. პროექტის პოტენციური მონაწილეების მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის იმ დებულების დაცვის პირობით, რომლებიც ეხება სახელმწიფო უსაფრთხოებას, თავდაცვას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სამოქალაქო ავიაციას, გარემოს დაცვასა და სხვა ანალოგიურ საკითხებს. აგრეთვე, საჭიროებისას კერძო მიწათმფლობელების თანხმობის არსებობის შემთხვევაში და ფაქტობრივად დამტკიცებადი დანაკარგების ანაზღაურების პირობით, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა პოტენციურ მონაწილეებს მისცენ უფლება საჭირო პროექტის მარშრუტის არჩევისა და საწყისი კვლევებისათვის, როგორც ეს მოყვანილია ქვემოთ:

ა) საქართველოს სახელმწიფო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა უზრუნველყოს პროექტის პოტენციურ მონაწილეთა და ქვეკონტრაქტორების პერსონალის, აგრეთვე, იმ დანადგარების სახელმწიფო საზღვარზე შეუფერხებლად გამოტარება, რომელიც გამოყენებული იქნება კვლევითი სამუშაოებისათვის;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) გასცეს ვიზები პროექტის პოტენციურ მონაწილეთა პერსონალისა და მათი ქვეკონტრაქტორებისათვის;

გ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) გასცეს შესაბამისი ნებართვა პროექტის პოტენციური მონაწილეებისა და მათი ქვეკონტრაქტორებისათვის, რათა მათ შეძლონ შეეიდნენ და აწარმოონ სამუშაოები საქართველოს იმ სასაზღვრო ზონასა და ზოლში, რომლებიც ესაზღვრება აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკებს;

დ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (ნ. ჩხობაძე), მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ზ. გეგეჭკორი) და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა (გ. ჯაფარიძე) უზრუნველყონ საჭირო ნებართვების /ლიცენზიების გაცემა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა პროექტის პოტენციურმა მონაწილეებმა და მათმა ქვეკონტრაქტორებმა შეძლონ სახელმწიფოს კუთვნილ მიწებზე შესვლა კვლევების განსახორციელებლად და ამავე მიზნით თხრილების სათხრელად, ჭაბურღილების გასაბურღლად, სინჯების ასაღებად (ფლორის და ნიადაგის ჩათვლით), ინფორმაციის ჩასაწერად, აღრიცხვის საწარმოებლად და ნებისმიერი ქონების რუკებსა და გეგმარებზე გადასატანად. აგრეთვე, ტოპოგრაფიული, გეოტექნიკური და სხვა შესაბამისი კვლევების განსახორციელებლად, რათა შემდგომში უზრუნველყონ ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა ამდაგვარი სამუშაოები პროექტის პოტენციური დერეფნის საზღვრებში;

ე) სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ (გ. ნიჟარაძე) გასცეს საჭირო ლიცენზიები/ნებართვები, რათა საქართველოს საჰაერო სივრცე გამოყენებულ იქნეს მარშრუტის ასარჩევად;

ვ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (მ. ჩხენკელი), ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (მ. ადეიშვილი), მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტმა (გ. კეკელიძე), სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ. ბერიძე), გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ. ჯანელიძე), საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ჯ. მანჯგალაძე) წარუდგინონ ინფორმაცია პოტენციურ დერეფანში გარემოს მდგომარეობის, გეოლოგიის, სამთო სამუშაოების, არქეოლოგიის, სეისმოლოგიის, ქალაქისა და სასოფლო გეგმარების, მიწათფლობისა და მიწათსარგებლობის მესახებ, აგრეთვე, მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინონ სათანადო რუკები, ნახაზები, ჩანაწერები და ნებისმიერი სხვა ამდაგვარი ინფორმაცია და აღმოუჩინონ დახმარება;

ზ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა კანონით დადგენილი წესით გასცენ პროექტის პოტენციურ მონაწილეებზე ნებართვები და/ან ლიცენზიები. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ მათ დახმარება და ხელშეწყობა, რომელიც დასჭირდებათ პროექტის შემდეგი საქმიანობის განხორციელებისას;

ზა) მიეცეს უფლება პოტენციური დერეფნის ფარგლებში შეეიდნენ სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე კვლევების ჩასატარებლად და ამავე მიზნით თხრილების სათხრელად, ჭაბურღილების გასაბურღლად, სინჯების ასაღებად (ფლორისა და ნიადაგის ჩათვლით), ინფორმაციის ჩასაწერად, აღრიცხვის საწარმოებლად და ნებისმიერი ქონების რუკებსა და გეგმარებზე გადასატანად, აგრეთვე, ტოპოგრაფიული, გეოტექნიკური და სხვა შესაბამისი კვლევების ჩასატარებლად, რათა შემდგომში უზრუნველყონ ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა ამდაგვარი სამუშაოები პროექტის პოტენციური დერეფნის საზღვრებში;

ზბ) საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან კონსულტაციების დროს პოტენციურ მონაწილეებს მიეცეთ უფლება მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აგრეთვე, მოსახლეობას, რომელიც იმყოფება პროექტის პოტენციური დერეფნის მახლობლად ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის პროექტით გამოწვეული შესაძლო სოციალური და ეკოლოგიური ეფექტის შესახებ. ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციებს გადაეცემათ ინფორმაცია, ხოლო მოსახლეობასთან გაიმართება მოლაპარაკება და გამოფენები. იმის გათვალისწინებითაც, რომ პოტენციურ მონაწილეებს უფლება ექნებათ ამ ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან მოცემულ ინფორმაციაზე შენიშვნების მიღების;

თ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (ვ. ქუთათელაძე) და სახელმწიფო დაცვის სამსახურმა (ს. პაპაშვილი) კვლევითი სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყონ პერსონალისა და პროექტის პოტენციური მონაწილეებისა და მათი ქვეკონტრაქტორების საქმიანობის უსაფრთხოება.

5. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას ევალება პროექტის იმ პოტენციური მონაწილეების განსაზღვრა, რომელთაც გარანტირებული აქვთ უფლებები ამ ბრძანებულების მიხედვით.

6. ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარმოების დროს, გაზის პროექტებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია სათანადო სამინისტროებთან ერთად განახორციელებს ყველა კანონით დადგენილ პროცედურას, რათა საწყისი საპროექტო საქმიანობისათვის, რომელიც განხორციელდა წინამდებარე ბრძანებულების საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის ხელმოწერამდე და რატიფიცირებამდე უზრუნველყოფილ იქნეს იმის მსგავსი სამართლებრივი /საგადასახადო რეჟიმი, რომელსაც უკუქმედების ძალა ექნება, როგორც გათვალისწინებულია ანალოგიური საქმიანობისათვის ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის პროექტით.

7. საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა (მ. უკლება) და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს (დ. მირცხულავა) დახმარებით უზრუნველყოს არსებული მილსადენების სისტემის თანამედროვე სტანდარტებით ექსპლოატაცია, სრული კონტროლი და მზადყოფნა ახალი ტრანსრეგიონული პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

8. ამ ბრძანებულების მესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულმა ალექსი გოცირიძემ.

**ე. შევარდნაძე.**

აბზარი

# ჯარში გაწვევა არ შეწყდება

(პირველი გვერდიდან)

რეზერვისტების ერთდღიანი გამოძახება უფრო ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე რომელიმე სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის.

გენშტაბის უფროსის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში განხორციელდება დასავლეთის ოპერატიული მიმართულებისა და საზღვაო ძალების რეზერვისტების გამოძახება, რის შემდეგაც 3-დღიანი სწავლება ჩატარდება.

ფირცხალაიშვილის თქმით, სამომავლოდ, რეზერვისტების მომზადება ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს დაევალება.

რეზერვისტების საკითხს უკავშირდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრების პრობლემაც.

ფირცხალაიშვილის თქმით, ეს საკითხი წარმოადგენს რეფორმის ერთ-ერთ რგოლს. უახლოეს დღეებში დაგეგმილ თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე წამოიჭრება ზოგიერთი სამხედრო კათედრის გაუქმების საკითხი, რადგან საქართველოს არ ესაჭიროება იმ რაოდენობის რეზერვის ოფიცრები, რა რაოდენობითაც ისინი საქართველოს გააჩნია.

შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის განცხადებით, რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე სამხედრო კომისარიატების რეორგანიზაცია და ეს პროცესიც წლის ბოლომდე დასრულდება. დღემდე, გაუქმებულია მთავარი სამხედრო კომისარიატი, ხოლო წლის ბოლომდე გარდაიქმნება ქვედა რგოლები და ჩამოყალიბდება რეგიონული კომისარიატები. გარდაქმნა საშუალებას მისცემს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, ორი მესამედით შეამციროს პირადი შემადგენლობა. ფირცხალაიშვილის თქმით, ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია გაწვევის პრობლემასთან. მისი განცხადებით, მიუხედავად არმიის რიცხოვნობისა და დაფინანსების შემცირებისა, ჯარში გაწვევის პროცესი არ შეწყდება, თუმცა გასაწვევი კონტინგენტის რაოდენობა წელს 2000-ით შემცირდა. ამასთან, დღის წესრიგში დგას ტექნიკური მომზადების მთავარი სამმართველოს ფუნქციონალური გადახედვის საკითხიც, რომლის რეორგანიზაციაც უახლოეს მომავალში მოხდება. გენერალ ფირცხალაიშვილის განცხადებით, შეიარაღებული ძალების სარდლობა არმიის რეფორმირების საკითხში საქართველოსთვის უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საბჭოს — აშშ-სა და ნატოს ევროპული სარდლობების ექსპერტთა რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს.

**პრაიმ-ნიუსი.**

გასწორება

საქართველოს პრეზიდენტის დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ამსახველი საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტების წერილის პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „როგორც ვიუწყებოდით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი 19 ივლისს, გვიან საღამოს დასრულდა“. ხოლო ბოლო მონაკვეთის პირველ აბზაცში გამოყენებული აბრევიატურა უნდა იკითხებოდეს „იუნისეფი“.

რედაქცია ბოდიშს უხდის კოლეგებს მაია ალუდაურს და მაია თაბაგარს, ჩვენს მკითხველებს უნებლიე შეცდომისათვის.

## ფაქტები

**ამ ბოლო დროს შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საბაჟო და სხვა გადასახდელების თავის არიდების ათობით შემთხვევა გამოავლინეს. სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალი მილიონობით ლარია. ყველა ამ დანაშაულს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა უტყუარი ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებითა და მისი სრულყოფილად რეალიზაციით მოჰფინეს ნათელი.**

**ეკონომიკურ სფეროში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიული ღონისძიებების კოორდინირება და მოსმენა ხდება შსს საგანგებო შტაბში, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი კახა ბაკურაძე. იგი პირადად აკონტროლებს თითოეულ რეზონანსულ ოპერაციას.**

## კონკრეტულ დანაშაულზე — კონკრეტული პასუხისმგებლობა

მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 10 ივლისს საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ამხილეს კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურში მცხოვრები ქარუმ ალასკარ ოღლი, რომელმაც თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა 50930 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ხოლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით საქონლის ღირებულება 7000 ლარამდე შეამცირა და საბაჟო „გორის“ თანამშრომლების ხელშეწყობით იქვე მოახდინა განბაჟება, რამიც 17612 ლარის ნაცვლად 2461 ლარი გადაიხადა. ქარუმ ალასკარ ოღლიმ ბიუჯეტს გადასახდელების სახით დააკლო 15146 ლარი. თუ რა დაჯდა საბაჟოს თანამშრომელთა მიერ ამ დანაშაულზე თვალის დახუჭვა, ამას გამოძიება დაადგენს. ხორციელდება ღონისძიებები სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

იმავე დღეს ამ სამმართველოს თანამშრომლებმა საბაჟო წესების დარღვევაში ამხილეს კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურის კიდევ ორი მცხოვრები — ორუჯ და ნარიმან ყურბანოვები, რომლებმაც თურქეთიდან შემოიტანეს 299751 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ხოლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით საქონლის ღირებულება 3959 ლარამდე შეამცირეს, რითაც საბაჟო გადასახადების სახით სახელმწიფოს 45227 ლარის ზარალი მიაყენეს.

17 ივლისს აღნიშნული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ამხილეს კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურში მცხოვრები, ვეხბია ბაირამოვი, რომელმაც თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა 85790 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამრეწველო საქონელი, ხოლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით შეამცირა საქონლის ღირებულება 6811 ლარამდე და საბაჟო „გორში“, საბაჟოს თანამშრომელთა ხელშეწყობით მოახდინა საქონლის განბაჟება, რამიც ნაცვლად 29670 ლარისა, გადაიხადა 2395 ლარი. ბაირამოვმა ბიუჯეტს საბაჟო გადასახადების სახით დააკლო 27275 ლარი. შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სისხლის სამართლის საქმე შემდგომი გამოძიებისა და ქვემდებარეობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას.

ტარდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით.

საბაჟო გადასახდელების დამალვასთან დაკავშირებული ეს სამივე დანაშაულის გამოვლენის ოპერაცია დაგეგმეს და პრაქტიკულად განახორციელეს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით კაჭკაჭიშვილმა, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ფარეიზ ქირათელიძემ და განყოფილების უფროსმა დავით გობეჩიამ.

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 12 ივლისს ამხილეს ინდივიდუალური მეწარმე, ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხში მცხოვრები ვახტანგ წასიძე, რომელმაც წლეულს კვების პროდუქტების რეალიზაციის სავალდებულო გადასახადების ხელოვნურად შემცირებით სახელმწიფო ბიუჯეტს 616055 ლარი დაუმალა.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილმა საგანგებო შტაბმა და თვით სამინისტროს ხელმძღვანელობამ პრინციპული შეფასება მისცა რამდენიმე რეგიონის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურს, რადგან ამ რეგიონებში საბიუჯეტო გადასახდელების დიდი ოდენობით დამალვის შემთხვევების უმეტესი ნაწილი სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა გამოავლინეს და არა მათ.

ამ დანაყოფებმა ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურეს მუშაობა. მაგალითად, იმერეთის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინათ ამხილეს ქუთაისში მცხოვრები დავით შველიძე, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკიდან, საბაჟოს გვერდის ავლით, ავტომანქანით შემოჰყავდა 3200 ლარის 800 ქათამი.

რეგიონულ სამსახურებს შორის ადრეც უკეთესი შედეგები ჰქონდა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებას.

10 ივლისს ამ სამსახურის თანამშრომლებმა გორი-ნიქოზის საავტომობილო გზის მე-12 კილომეტრზე დააკავეს ავტომანქანა „გაზელი“, რომლის მძღოლს ახალციხეში მცხოვრებ ნოდარ შაკულაშვილს გადაჰქონდა 2000 კილოგრამი განუბაჟებელი ფქვილი.

ამავე სამსახურის თანამშრომლებმა 10 ივლისს ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურთან დააკავეს 3 ავტომანქანა, რომლებსაც გადაჰქონდათ 1540 ლიტრი განუბაჟებელი ბენზინი.

14 ივლისს ამავე ადგილზე კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-4 (ოსიაურის) განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ქარელის რაიონის სოფელ რუისში მცხოვრები ზურაბ კაკაშვილი, რომელსაც ავტომანქანა „კამაზით“ გადაჰქონდა ქობულეთში მცხოვრების, ლევან სურმანიძის, კუთვნილი 8000 ბოთლი განუბაჟებელი ხილის წვენი.

ავტომანქანა გადაიყვანეს გორის საბაჟო ტერმინალში.

პოლიციამ ამ კვირაში კვლავ გამოავლინა ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, ითვისებენ სახელმწიფოს ან სხვა მოქალაქეების კუთვნილ სახსრებსა თუ ქონებას.

11 ივლისს რაჭა-ლეჩხუმის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში მცხოვრები ზაზა ჯელაძე, რომელმაც წლეულს, იანვარში სოფლის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობისას მიითვისა სკოლის რემონტისათვის გამოყოფილი 2000 ლარი. ჯელაძე გამგებულია გაუსვლელობის ხელწერილით, საქმეს კი პროკურატურა იძიებს.

გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და საგამოძიებო დეპარტამენტის ლანჩხუთის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა 10 ივლისს ამხილეს ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო კომბინატის თანამშრომელი გოჩა ფირცხალაიშვილი, რომელმაც ერთი თვის წინათ მიითვისა კომბინატის კუთვნილი 1700 ლარის ღირებულების ბენზინის ორი რეზერვუარი.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

## დღის თემა

# შემოდგომისთვის, შესაძლოა, ანტიკორუფციული სპეცსამსახურის კონტურებიც გამოიკვეთოს



**პრეზიდენტის მიერ ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნა ბევრისათვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. უფრო სწორად, თავად ასეთი სტრუქტურის შექმნა კი არ იყო საურპრიზი, არამედ ის, რომ მის წევრებს შორის, არც ერთი სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელი არ აღმოჩნდა.**

**ეს კი ქართულ სინამდვილეში მართლაც სიახლეა, რადგან აქამდე ანალოგიურ ან მსგავს ჯგუფებსა თუ კომისიებში ყოველთვის ის სამართალდამცავები დომინირებდნენ, რომელთაც ზოგიერთები კორუმპირებულობას იქით აბრალებდნენ.**

**ამ შვიდკაციან ჯგუფში გაწევრიანებული პიროვნებების მიმართ აქამდე არავის არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს, რაც მათ შრომის საბოლოო ნაყოფს კიდევ უფრო „ტკბილს“ გახდის.**

**ჩვენი გაზეთი განაგრძობს ამ ჯგუფის წევრების მოსაზრებების მკითხველისათვის გაცნობას, ამჯერად პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის ზია მეწარიშვილის ჯერია.**

— ჩვენი საქმიანობის მიმართულებები უკვე განსაზღვრულია, ამის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება გამოქვეყნდა კიდეც. პირადად მე, ალბათ, ძირითადად, დაკავებული ვიქნები კორუფციის გამომწვევი მიზეზების შესწავლით და კერძოდ, კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემებით. ვინაიდან პარლამენტში სწორედ ამ სფეროს ვხელმძღვანელობ, ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფში ჩემი ძირითადი საქმიანობა ისევ და ისევ კანონმდებლობასთან იქნება დაკავშირებული.

***— კორუფციის გამომწვევი მიზეზები ახსენეთ და თქვენ პირადად თუ ხართ ამ საკითხში ჩამოყალიბებული? რა არის თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები?***

— ეს ჩემთვის არც არასდროს ყოფილა სიახლე ან გნებავთ პრობლემა, რადგან კრიმინალური დარგის სპეციალისტი ვარ და ამ საქმეს ძალიან დიდი ხანია ვიკვლევ, მათ შორის, მეცნიერულადაც.

კორუფციის გამომწვევი მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა. აქ შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზი, მათ შორის — ეკონომიკური, მმართველი სისტემის ბლოკირება, საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება და სხვა. მკითხველს წარმოდგენა რომ ჰქონდეს კორუფციულ სამართალდარღვევებზე, ვიტყვი, რომ იგი ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულს მიეკუთვნება. ამ სახის სამართალდარღვევათა ცნება ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობითა და ინტერესთან კონფლიქტის შესახებ კანონით, უკვე განსაზღვრულია. ასე რომ, ამ მხრივ, სამართლებრივი ბაზა ასე თუ ისე, არსებობს.

ახლა უშუალოდ კორუფციის გამომწვევ მოსაზრებებს რაც შეეხება. ეს არის რთული მოვლენა, რომელსაც სჭირდება დეტალური ანალიზი და რეკომენდაციების სახით პროგრამის მომზადება, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმწიფოს პოლიტიკას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

***— რა ვადაში ვარაუდობთ პროგრამის შემუშავების დასრულებას?***

— ვადა უკვე განსაზღვრულია და ჩვენ 20 სექტემბრისათვის წინადადებები უნდა წარვადგინოთ.

***— ესე იგი, სექტემბრისათვის შეიძლება კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური სამსახურის კონტურებიც გამოიკვეთოს? თქვენი ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა, ამ სამსახურის ჩამოყალიბებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნაცაა, არა?***

— დიახ, შეიქმნება თუ არა კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახური, ესეც ჩვენი ჯგუფის მუშაობის ერთ-ერთ საკითხს განეკუთვნება. სხვათა შორის, მე, პირადად მაქვს მონაწილეობა მიღებული ამ სამსახურის კანონპროექტის შემუშავებაში.

ისე კი, ამ სპეცსამსახურის შესაძლო შექმნასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი მისი ჩამოყალიბების მომხრეა, ზოგს კი განსხვავებული მოსაზრება აქვს.

***— საუბარი ხომ არ არის ამ ანტიკორუფციული სამსახურის რომელიმე სამართალდამცავი სტრუქტურის ფარგლებში შექმნაზე?***

— ასეთი სტრუქტურა შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არის და სხვაგანაც. ჩვენ ვსაუბრობთ დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანოს შექმნაზე, რომელსაც ექნება, როგორც სამსახურებრივი მოძიების ფუნქციები, ასევე. — მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფლება. ეს სამსახური სპეციალურად განსაზღვრული სუბიექტების მიერ ჩადენილ დანაშაულზე მოახდენს რეაგირებას. ამ სუბიექტებში იგულისხმებიან უმაღლესი თანამდებობის პირები და ასევე, ჩვენი მმართველობითი აპარატის განსაზღვრული დონე.

***— თქვენი ახლადშექმნილი ჯგუფის სამუშაო შეხვედრა რამდენჯერ გაიმართა?***

— პირველი საორგანიზაციო შეხვედრა უკვე გვქონდა. სამშაბათს კი შევხვდით საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებსა და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირს“.

პარლამენტში გამართული ჩვენი ეს შეხვედრა იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, საერთოდ, საინტერესო პრაქტიკა და გამოცდილება არის დაგროვებული კორუფციის გამომწვევი მიზეზებისა და მასთან ბრძოლის კუთხით, მე მხედველობაში მაქვს ის სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელსაც ბატონი გია ბარამიძე ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ამ კომისიას დიდძალი მასალა აქვს შეგროვებული და მათი ანალიზი ნამდვილად წაგვადგება.

***— კი, მაგრამ ეს მასალები პროკურატურამ არაერთხელ დაიწუნა და მას უკონდიციო უწოდა.***

— დასკვნა რომ გაკეთდეს, ჯერ უნდა შევისწავლოთ და შევაფასოთ. ამიტომაც დასკვნის გაკეთება ჯერ ნაადრევია.

და საერთოდ, ჩვენი ჯგუფი ახლა იწყებს პირველი ნაბიჯების გადადგმას, ამიტომაც რაიმე დასკვნის წინასწარ გაკეთება ცოტა უხერხულიც არის.

ესაუბრა
**ბექა ქოდია.**

## მოსაზრება

# სასჯელი არა მხოლოდ ქმედით, მორალურადაც გამართლებული უნდა იყოს

საბჭოური სისტემის, როგორც სახელმწიფოებრივი არსებობის უმთავრეს ბერკეტს წარმოადგენდა მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული ადმინისტრირების მეთოდი. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო სადამსჯელო-რეპრესიულ ღონისძიებათა ერთგვარი შერბილება, რასაც თან ახლდა კორუფციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების მასშტაბების მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია ადამიანთა ცნობიერებაში (ფსიქიკაში) გარკვეული რწმენის დამკვიდრება იმის შესახებ, რომ სიმდიდრის დაუფლების ერთადერთი გზა არის კანონის დარღვევა (დანაშაულებრივი გზით გამდიდრება). ბუნებრივია, ამ რწმენის მიზეზი ჩადებული იყო არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩვენს ქვეყანაში (არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) განვითარებულმა პროცესებმა — ძველი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ნგრევამ და შესაბამისად ახლის არსებობამ, საქართველოში კორუფციის განვითარების არნახული პირობები შექმნა. ამჯერად განვითარდა მეტად საშიში ტენდენცია, კერძოდ, არა თუ გამდიდრება, არამედ ფიზიკური არსებობაც კი შეუძლებელი გახდა კანონის დაურღვევლად. არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვითომდა დემოკრატიის ნიშნით საკანონმდებლო სიახლეთა გაუაზრებელმა დანერგვამ. 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების დაცვის მექანიზმის დანაშაულებრივი და დაუსაბუთებელი იგნორირება. ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა მკვეთრად უმოქმედო და ლიალური გახდა. ამის გამო საქართველოში მყარად დამკვიდრდა სამართლებრივი ნიჰილიზმი და დაუსჯელობის სინდრომი, დატაცებული და განადგურებული იქნა სახელმწიფო ქონება, რომელიც ეროვნული სიმდიდრის უდიდეს ნაწილს შეადგენდა.

დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ თავი ვერ დააღწია საკანონმდებლო და სახელისუფლებო მართვის დილეტანტიზმს, იგი კვლავ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლის მცდარ პოლიტიკას ახორციელებს. მხედველობაში გვაქვს თუნდაც ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო საკუთრების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მკვეთრად გაამკაცრეს სადამსჯელო სანქციები. ბუნებრივია, ასეთი ღონისძიებები წინასწარი მარცხისთვისაა განწირული, ვინაიდან, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, ნებისმიერ მოქალაქეს თუ მეწარმეს ფიზიკური გადარჩენისათვის მხოლოდ ერთი გზა აქვს: დაარღვიოს მოქმედი კანონი. ასეთ შემთხვევაში სასჯელი, როგორც შემაკავებელი ფაქტორი, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, კარგავს თავის დანიშნულებას. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიების გამკაცრება, კიდევ უფრო უწყობს ხელს კორუფციის გაძლიერებას, „სტავკების“ გადიდების გზით წელში ტეხს მეწარმესა თუ ნებისმიერ მოქალაქეს. შექმნილი ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა ხელს უწყობს მეწარმეთა დავალიანების კოლოსალურად ზრდას სახელმწიფოსთან მიმართებაში. აღნიშნული დავალიანება იმდენად დიდია, რომ მისი გადახდის შემთხვევაში შეუძლებელია დებიტორმა საწარმომ შემდგომში შეძლოს მუშაობა.

არცთუ დიდი ხნის წინათ, გარკვეულ მომენტში ხელისუფლების წარმომადგენლები (ყოფილი ფინანსთა მინისტრის მ. ჭკუასელის პოზიცია) შეეცადნენ მოცემული პრობლემის გადაჭრას საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების გზით, რაც არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კლიმატის პირობებში უაღრესად მცდარი გადაწყვეტილება იყო. ბუნებრივია, მათ ამ განცხადებას დაუყოვნებლივ მოჰყვა სავალალო შედეგები, რაც სუსტი, მაგრამ მაინც არსებული სადამსჯელო მექანიზმის წყალობით ბიუჯეტში შემავალ შენატანთა მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ვალებისაგან განთავისუფლებისა და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების იდეაში ძევს ჭეშმარიტების მარცვალი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მკვეთრად ცვალებადი და კანონსაწინააღმდეგო კაპიტალის განაწილება და დაგროვება, ზემოთ მითითებულ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, დროის უმცირეს მონაკვეთში მოხდა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეთა ძებნა და დასჯა ურთულესია არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ გაუმართლებელიცაა. იქ სადაც ყველა დამნაშავეა, დამნაშავე არავინაა.




ურჩი გადამხდელი:
— ვის ეძებენ?

სახელმწიფო ვალებისაგან განთავისუფლება და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება მიზანშეწონილია, მხოლოდ მძლავრი საკონტროლო და საკანონმდებლო სისტემის ქმედუნარიანობის შემთხვევაში, რაც მიღწევადია მკაცრად განსაზღვრული სიმუსტითა და თანმიმდევრობით, უკვე მომზადებული უმნიშვნელოვანესი წინაპირობების არსებობის შემდეგ:

საგადასახადო ლიბერალიზაციის, სათანადო ეკონომიკური და სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე მეწარმისათვის (ბიზნესმენისათვის) წარმოების წამოწყებისა და განვითარებისათვის მაქსიმალურად სასურველი პირობების შექმნა. ამასთანავე, ქვეყანაში საშუალო ფენის უსწრაფესად ჩამოყალიბებისა და გარკვეული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, აუცილებელია ამ საკითხისადმი დიფერენციული მიდგომა, კერძოდ, საშუალო და მცირე ბიზნესისათვის მაქსიმალურად დაბალი გადასახადების დაწესება, შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება. მეორეს მხრივ, მსხვილი ბიზნესისათვის მაღალი საგადასახადო განაკვეთების შემოღება (თუნდაც იმ მოტივით, რომ დიდძალი კაპიტალი თავმოყრილია უკანონო და დანაშაულებრივი გზით გამდიდრებულ მცირე ჯგუფს შორის);

ქმედითი საკონტროლო მექანიზმის — მძლავრი საგადასახადო, საბაჟო, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების შექმნა და სათანადო ტექნიკით აღჭურვა, მათი დაკომპლექტება მაღალანაზღაურებადი პატიოსანი და კვალიფიციური კადრებით (პროფესიონალებით);

ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის, მეწარმეთათვის (ბიზნესმენთათვის) სასურველი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს საპირწონე, სადამსჯელო ღონისძიებათა განხორციელება უმკაცრესი სანქციების დაწესებისა და მოქნილი სასამართლო სისტემის მეშვეობით;

დაბოლოს, სახელმწიფო ვალებისა და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება, როგორც პატიებისა (შენდობისა) და მომავალში კანონის უმკაცრესად დაცვის პირობა, ერთგვარი ხელშეკრულება, დადებული სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის. პირველი ნაბიჯი მხარეთა ურთიერთშერიგებისა და თანხმობისა. მხოლოდ ასეთი აქტის გამოცხადების შემდგომ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედებათა მიმართ ამოქმედდება ამ დროისათვის უკვე გამართული საკონტროლო და სადამსჯელო სისტემა. მოცემულ შემთხვევაში არსებული სათანადო ეკონომიკური საფუძვლების ფონზე სასჯელი არა მარტო ქმედითი, არამედ მორალურადაც გამართლებული იქნება.

**ზურაბ დგებუაძე,**
ადვოკატი, დემოკრატ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე.

## აქცენტი

# კვლავ ყალბი ანგარიშ-ფაქტურები

დანაშაულში მხილებული არიან შემოსავლების სამინისტროს ნავთობის დისტილატების აღრიცხვისა და დაბეგვრის კოორდინაციის, კონტროლისა და ანალიზის ოპერატიული მართვის დროებითი კომისიის გორის სამსახურის ინსპექტორი სოლომონ ხორბალაძე და შპს „გეპარდის“ დირექტორი თენგიზ ბურჯანაძე.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, სოლომონ ხორბალაძეს, რომელსაც ევალებოდა გაეკონტროლებინა გორში განლაგებულ ნავთობაზებში ნავთობის დისტილატების მიღება-რეალიზაციის სისწორე, რომლის აღრიცხვაც წარმოებს სპეციალური დღგ ანგარიშ-ფაქტურებით (სპეციალური დღგ ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ნორმიან სპეციალური ჰოლოგრამით დამოწმებულ ბლანკს), არაერთგზის გამოიყენა ბოროტად სამსახურებრივი უფლებამოსილება და მაის-ივნისში, მასზე გაპიროვნებული სამსახურებრივი ბეჭდით, ცხრა შემთხვევაში, დაამოწმა შპს „გეპარდის“ ნავთობბაზის დირექტორის თ. ბურჯანაძის მიერ წარდგენილი სპეციალური დღგ ყალბი ანგარიშ-ფაქტურის სისწორე ისე, რომ ანგარიშ-ფაქტურაში არ ამოწმებდა მითითებულ მონაცემებს, რაშიც მან ქრთამის სახით თენგიზ ბურჯანაძისგან 2749 ლარი მიიღო.

ამ პერიოდში, შპს „გეპარდს“ ყალბი სპეციალური დღგ ანგარიშ-ფაქტურებით მიღებულად ნაჩვენები აქვს 311900 ლიტრი აღურიცხავი ბენზინი.

თენგიზ ბურჯანაძემ მაის-ივნისში, ჯერჯერობით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა სპეციალური დღგ 9 ცალი შევსებული ყალბი ანგარიშ-ფაქტურა, რაშიც, საერთო ანგარიშით, დაახლოებით 20 000 ლარი გადაიხადა.

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სოლომონ ხორბალაძე და თენგიზ ბურჯანაძე დააკავეს. აღძრული სისხლის სამართლის საქმე, შემდგომი ძიებისათვის თბილისის პროკურატურას გადაეგზავნა.

საქინფორმი.

## ისტორია

# „საკარგავად“ და არა „სამამულოდ“

XI საუკუნის მიწურულს ახალი საშინელი საფრთხე დაემუქრა ფეოდალური შინაომებით დასუსტებულ და ტერიტორიულად შეუკრავ საქართველოს: 1080 წელს „დიდი თურქობა“ დაიწყო. ქართველი ხალხის გადასარჩენად აუცილებელი იყო მისი ძალების სრული მობილიზაცია, ამასთან, მას სჭირდებოდა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორი.

და აი, 1089 წელს ტახტზე ავიდა დიდი დავითი, დავით IV, შემდეგში აღმაშენებლად წოდებული, ამ დროიდან სრულიად შეიცვალა საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური კურსი როგორც თურქობის, ისე დიდგვაროვან აზნაურთა მიმართ, რომელთა ხელითაც მრავალგზის „გატყდა ციხე შიგნიდან“.

აქ სრულიად უადგილოა ჩვენი უდიდესი მეფის შორსმჭვრეტელ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებსა და ბრძნულ რეფორმებზე ლაპარაკი, რამაც გააერთიან-გაამთლიანა ქვეყანა, მოამძლავრა სამხედრო, თუ ეკონომიკური თვალსაზრისით და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. აქ მხოლოდ ორიოდ მომენტის მოხმობა გვჭირდება.

თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეყნის ძალთა საყოველთაო შემოკრების ამოცანამ დავით მეფის წინაშე ეკლესიის საქმეთა მოგვარების საკითხიც დასვა.

ეკლესია იმ დროს დიდ ყმამამულსა და სხვა სიმდიდრეს ფლობდა, მას შეეძლო მძლავრად შესწეოდა მტერთან ბრძოლას, ამ დროს კი იგი მესაფერის მონაწილეობას არ იღებდა ამ ეროვნულ ძალისხმევაში. საქმე ის გახლდათ, რომ ეკლესიის მმართველობის საჭე ხელთ ეპყრათ დიდგვაროვან აზნაურთა სახლის შვილებს — ეპისკოპოსებს, რომელთაც დავითის მოქიშპე დიდაზნაურთათვის უფრო შესტკიოდათ გული, ვიდრე თურქებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლ ხალხისა და მეფისთვის.

ამას ბოლო უნდა მოღებოდა.

მართლაც, 1103 წელს რუისურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ეკლესიიდან დაუნდობლად გააძევეს „ულირსად გამოჩინებულნი“ — საეპისკოპოსო კათედრების „მამულობით“, ე. ი. მემკვიდრეობით მფლობელნი და მათ ადგილზე „ჭეშმარიტი მწყემსნი“ — პირადი ღირსებით და არა გვარიშვილობით შემკულნი დაადგინეს.

ამით დავით მეფის პოლიტიკური მიზანი მიღწეული იყო: მან ოპოზიციას ჩამოაშორა და თავის გვერდში ამოიყენა მძლავრი ზნეობრივი და ნივთიერი ძალის მქონე მოკავშირე.

ქვეყნის წინაშე მდგარი დიდი ამოცანების გადაჭრა დიდ მატერიალურ სახსრებსაც მოითხოვდა. ამ მიზნით სამეფო კარი ისეთ საგანგებო ღონისძიებებსაც კი არ ერიდებოდა, როგორიც იყო იძულებითი სესხი, დავით მეფემ ეკლესიას და ვაჭარ მოქალაქეებს რომ დააკისრა.

მთავარი მნიშვნელობა ქვეყნისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობას მიენიჭა. ვაჭართა ამხანაგობები დიდ საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან. დავითმა მართებულად გაითვალისწინა შეცვლილი ვითარება და ქართული მონეტა, მისი არაბული ზედწერილით, აღმოსავლურ-მაჰმადიანურს დაუახლოვა. ვაჭრობის გაცხოველებისთვის დაიწყო გზებისა და ხიდების მშენებლობა. ვაჭრობის საქმე მეფის ერთ-ერთ ვეზირს — მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა.

დავითის დროს დიდად გაიზარდა სახელმწიფო მიწების ფონდი. მეფემ მოწინააღმდეგე დიდაზნაურებს ჩამოართვა მამულები და ისინი სამეფოდ (სახასოდ) აქცია. ასევე სამეფოდ ჩაირიცხა პერეთ-კახეთის მეფისა და თბილისის ამირას ყოფილი ქვეყნები, აგრეთვე, თურქთა მიერ დატოვებული ქართული მიწა-წყალი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ასეთივე იყო დავითის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ქვეყნების — სომხეთისა და შირვანის მიმართ.

ამრიგად, საქართველოს მეფის განკარგულებაში აღმოჩნდა უზარმაზარი ფონდი, რომელსაც დავით მეფე სამემკვიდრეოდ კი არა, საკარგავად (ე. ი. სამოხელეოდ, დროებით) უწყალობებდა ხოლმე თავის ერთგულსა და მორჩილ მოხელე-მთლამქრეებს.

წყალობის სხვადასხვა წესით გასცემდა მეფე ფეოდალებზე სიმდიდრესა და სოციალური ბატონობის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორიც იყო ქალაქები, ე. წ. „ძველნი ქალაქნი“, მაგალითად, თბილისი და ქუთაისი, საფეოდალოდ არ გაიცემოდა. ისინი უშუალოდ სამეფო ქალაქები იყო და მათი მართვა-გამგეობა თუ შემოსავალი მეჭურჭლეთუხუცესს ეკითხებოდა. ზოგ ქალაქს მეფე სამამულოდ (ანუ საშვილიშვილოდ) ხელმოსხლეტით გასცემდა ხოლმე, ე. ი. ამ ქალაქზე უფლებას მთლიანად უთმობდა შეწყალებულ ყმას (დიდებულს) და ასეთი ქალაქი ეკონომიკურადაც და სოციალ-პოლიტიკურადაც ამ ფეოდალზე დამოკიდებული ხდებოდა. ზოგჯერ ამა თუ იმ ქალაქის მხოლოდ შემოსავალს (მთლიანად ან ნაწილობრივ) უწყალობებდა ხოლმე ამა თუ იმ დიდებულს, ქალაქზე უფლებას კი თავისთვის იტოვებდა და ასეთი ქალაქის მმართველობა მეფის მოხელეთა ხელშივე რჩებოდა, ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ მეფე ფეოდალს ქალაქის მხოლოდ მოურავობას უწყალობებდა. იგი ოდენ სამოურავო შემოსავლით კმაყოფილდებოდა და არავითარ სხვა უფლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა.

ქვეყანა სწრაფ აღმავლობას განიცდიდა, და ამ დროს, შიგნით მეტად ხშირი და მძიმე იყო ძალადობა-უსამართლობა. დიდი აზნაური თავისი სახლისკაცებით, დიდმოხელე-ერისთავი თავისი აგენტებით, მეკობრეები, იჯარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზვერემებაჟენი და სხვა ათასი მძლაერობდა და „აჭირვებდა“, ვისაც კი მოახელთებდა.

დაჩაგრულ-მიმძლავრებულნი ხმამაღლა ჩიოდნენ და „მართალ სამართალს“ ეძებდნენ.

მანამდე საქართველოში უზენაეს სამართალს თვით მეფე განაჩინებდა. ახლა კი დავითმა „სააჯო კარი“ (ე. ი. სასამართლო დაწესებულება) შექმნა და მისი მეთაურობა მწიგნობართუხუცესს დაავალა, რომელთან ერთადაც ამ სასამართლოში ორი სხვა მწიგნობარიც იჯდა.

ისეთ მოწესრიგებულ სახელმწიფოში, როგორადაც საქართველო იქცა დავითის დროს, „სააჯო კარის“ შექმნა სრულიად აუცილებელი იყო. „სააჯო კარი“ ფეოდალური ანარქიის წინააღმდეგ იბრძოდა, ახალ მებატონეთა (მოსაკაგეეთა) ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მზარდ ბატონყმურ ურთიერთობას იცავდა, როგორც მთავართა მძლაერობისაგან, ისე მდაბიოთა ურჩობისაგან.

„სააჯო კარი“ გამუდმებით მუშაობდა მეფის უშუალო მეთვალყურეობით.

აი, მოკლედ, რის თქმაც გვინდოდა დავით აღმაშენებლის „ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე“. 9 საუკუნის მიღმიდან მოხმობილი ეს ისტორიული ექსკურსი დღესაც გვასწავლის ჭკუას.

**ალექსანდრე ალექსიძე.**

## ძველი გაზეთებიდან

# დაამწყვდიეთ...

გაზეთ „საქართველოს“ 1918 წელს 4 თიბათვის ნომრის ცნობით, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ საბჭოს მილიციის უფროსისთვის წინადადება მიუცია 72 პირის დატუსაღების შესახებ, რომლებიც არ იხდიან ძველ გადასახადებს და არ შეუტანიათ 816949 მანეთი. დაამწყვდიეთ ისინი ყველაზე უვარგის საკნებში და გარეთ არ გამოუშვათ, სანამ გასალებს ბოლო კაპიკამდე არ გაილებენო.

დასატუსაღებელ პირთა შორის ბევრი საკმაოდ მდიდარი და ცნობილი პირიც ყოფილა.

საქართველოს რესპუბლიკა
№196. შაბათი, 22 ივლისი, 2000 წელი.

## მემუარები

კონსტანტინე სიმონოვი

# ჩემი თაობის კაცის თვალით

### 1979 წლის 17 მარტი

სიტყვამ მოიტანა და, ისტორიისადმი უტილიტარული დამოკიდებულება სტალინს ზოგჯერ უიგივდებოდა პირად დამოკიდებულებასთან ამა თუ იმ ისტორიული პიროვნებებისადმი, რომელთა მოქმედებაში იგი ამრიგად პოულობდა დამატებითს საყრდენს ისტორიაში. მე კიდევ დავუბრუნდები ამ თემას, მაგრამ თავდაპირველად მინდა, ვილაპარაკო სტალინის ისტორიულ უტილიტარიზმზე უფრო ფართოდ, როგორც ზოგად კონცეფციაზე, რომელიც პირად მომენტსაც შეიცავს.

დავიწყებ იმით, რომ სტალინი არასდროს არ გამოსულა საერთოდ ისტორიული თემატიკით გატაცების წინააღმდეგ და არასდროს არ მოუწოდებია მწერლებისათვის, გინდათ, თუ არა, გამოსახეთო თანამედროვეობა როგორც თქვენი ყველაზე მთავარი და ყველაზე საშური საქმე. ასეთი გამონათქვამები მე ზუსტად არ მახსოვს. მაგრამ, როდესაც ვაანალიზებ წიგნებს, რომლე-



ბისთვისაც მას სხვადასხვა წლებში დაუჭერია მხარი, ვხედავ, რომ მას ჰქონდა ნაწარმოების თანამედროვე ჟღერადობის კონცეფცია, საბოლოო ანგარიშით რომ უკავშირდებოდა პასუხს კითხვაზე: „გვჭირდება კია ეს წიგნი დღეს?" გვჭირდება თუ არ გვჭირდება?

თუ დავიწყებთ არა ლიტერატურით, არამედ ისტორიით, მაშინ ჩემთვის უეჭველია, რომ სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის შენიშვნები ახალი ისტორიისა და სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოთა კონსპექტებისადმი, ოცდათექვსმეტი წლის იანვარში რომ გაჩნდა, სულაც არ მოწმობდა, რომ სტალინს უეცრად „გაუსკდა სიყვარულის გული" მეფეებისა და მეფის რუსეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეების განდიდებისათვის. კოპროვსკის იწუნებდა, ხოლო მის ადგილზე აყენებდა შესტაკოვის ისტორიის სახელმძღვანელოს არა იმიტომ, რომ უეცრად გაჩნდა ეჭვები რუსეთის ისტორიის ამა თუ იმ კლასობრივ კატეგორიაში, არამედ იმიტომ, რომ საჭირო გახდა, წარმოჩენილიყო ეროვნული გრძნობის ძალა და მნიშვნელობა ისტორიაში და ამის შედეგად — თანამედროვეობაში, სწორედ ეს იყო საკითხის თავი და თავი. ეროვნულ-ისტორიული, მეტადრე, სამხედრო ტრადიციების ძალა წარმოჩენილი იყო თანამედროვე ამოცანის ინტერესებისათვის. ეს ამოცანა, იმ დროს უმთავრესი, მოითხოვდა მთელი, მათ შორის, ტრადიციული, ეროვნული, პატრიოტული გრძნობების მობილიზებას გერმანიის ნაციზმის, აღმოსავლეთის სივრცეზე მისი პრეტენზიებისა და სლავთა რასობრივი არასრულფასოვნების თეორიების წინააღმდეგ.

თუ ლიტერატურაზე ვილაპარაკებთ, სტალინი იმ წლებში, როდესაც არსებობდა სტალინური პრემიები, რომლებიც უფრო თვალსაჩინოს ხდიდნენ სტალინისეულ შეფასებებს, მხარს უჭერდა ან თვითონ წარადგენდა პრემიაზე მთელ რიგ ისტორიულ ნაწარმოებებს. ხოლო თუ კინოზე ვილაპარაკებთ, სპეციალური პროგრამაც კი შეადგინა — რა ისტორიულ მოვლენებზე და რა ისტორიულ პიროვნებებზე უნდა გადაეღოთ ფილმები.

და ყოველ ჯერზე — როგორც პრემიით დაჯილდოებული ნაწარმოებების მიღმა, ისე რაღაცის თუ ვიღაცისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების შექმნის იდეების მიღმა, ნაწარმოებებისა, რომლებსაც, როგორც წესი, შემდეგ პრემია არ ასცდებოდა, იდგა წმიდა წყლის თანამედროვე პოლიტიკური ამოცანები. თავის დროზე სტალინმა ჯერ მხარი დაუჭირა „ჩაპაევს", მერე კი წამოაყენა შჩორსისადმი მიძღვნილი ფილმის იდეა. ჩაპაევიც და შჩორსიც სამოქალაქო ომის ნამდვილი გმირები იყვნენ, მაგრამ თუ საერთო მასშტაბს გაეითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, მეორე პლანის ფიგურები. სტალინის მიერ ფილმ „ჩაპაევის" მხარდაჭერა და შჩორსისადმი მიძღვნილი ფილმის იდეა დაემთხვა იმ ხანას, როდესაც პირველი პლანის ფიგურები, რომლებსაც მაღალი პოსტები ეკავათ თანამედროვე არმიაში, ისეთები, როგორებიც იყვნენ ეგოროვი, ტუხაჩევსკი თუ უბორევიჩი, სამხრეთ-დასავლეთი, დასავლეთი, შორეული აღმოსავლეთის ფრონტების ყოფილი სარდლები, განწირული იყვნენ სამოქალაქო ომის ისტორიაში გასაქრობად არა უბრალოდ სიცოცხლიდან ამოსაგდებად, არამედ ისტორიიდან ამოსაგდებად. ტროცკი უშუალო პოლიტიკური მტერი იყო, და ამ შემთხვევაში ლაპარაკი არა მაქვს არც ტროცკიზე და არც მის მომხრეებზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, რომ სტალინის იდეის მიხედვით იდგმებოდა ფილმი შჩორსზე, და არა სხვა, შჩორსსავით გარდაცვლილ, მაგრამ გაცილებით უფრო თვალსაჩინო, თანაც პოლიტიკურად უმწიკვლო ფიგურებზე, როგორებიც იყვნენ, ვთქვათ, ფრუნზე ან გუსევი.

„შჩორსის" გამოსვლის შემდეგად კინოს შეემატა კიდევ ერთი კარგი, მთლიანად კარგი, ხოლო ალაგ-ალაგ განსაცვიფრებელი ფილმი, მაგრამ ამავე დროს მკვიდრდებოდა მაშინ სტალინისათვის საჭირო სამოქალაქო ომის ისტორიის კონცეფცია, თანამედროვე თემა: ლენინი — სტალინი — ტროცკი — ჩაპაევი — ლაზო. უბრწყინვალესი „ჩაპაევის" შემდეგ ძმები ვასილიევები დგამენ ძალზე კარგ სურათს — „ვოლოჩაევკის დღეები", რომელიც ამკვიდრებს იგივე კონცეფციას — როცა თვალთახედვის არედან ქრებიან იმ ადამიანთა ფიგურები, შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლას რომ ხელმძღვანელობდნენ, — უბორევიჩი და პოსტიშევი.

სტალინური პრემიების პირველ სიაში, რომელიც გაქანებული ომის დროს, ორმოცდაორ წელს გამოქვეყნდა, გვერდიგვერდ ფიგურირებდა ორი ისტორიული რომანი, იანის „ჩინგის ხანი" და ბოროდინის „დიმიტრი დონელი". იმ ამბების ასახვას, ორმოცდაორ წელს შვიდ საუკუნეზე მეტი და თითქმის ექვსი საუკუნე რომ აშორებდა, ეტყობა, სტალინის მოსაზრებით, უაღრესად თანამედროვე მნიშვნელობა ჰქონდა. რომანი „ჩინგის ხანი" გვაფრთხილებდა: აი, რა ემართებათ ხალხებს, რომლებმაც ვერ მოიგერიეს მომხვდური მტერი, რომელმაც დამარცხებული დაიმონა. რომანი „დიმიტრი დონელი" ასახავდა თათართა უღლის დასასრულის დასაწყისს, იმას, თუ როგორ შეიძლება, დაამარცხო ისინი, ვისაც აქამდე უძლეველი ეგონა თავი, ეს რომანები სტალინისათვის თანამედროვე იყო იმიტომ, რომ მათი ფურცლებიდან ისტორია გვაფრთხილებდა: ვაი დამარცხებულებსო, და გვასწავლიდა გამარჯვებას, ზედაც, რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი საყოველთაოდ სახალხო ცნობილი მასალის მაგალითით.

ომის წინ გამოსული ეს ისტორიული რომანები მაშინვე, ორმოცდაორში დაჯილდოვდა პრემიით. მაგრამ ორმოც თუ ორმოცდაერთ წელს გამოვიდა კიდევ ერთი ისტორიული რომანი, რომელიც გამოსვლისთანავე წაიკითხა სტალინმა, მაგრამ პრემიით დააჯილდოვა რამდენიმე წლის შემდეგ. ეს ძალზე საინტერესო ფაქტი ადასტურებს ისტორიულ ნაწარმოებებზე სტალინის შეხედულების უტილიტარულობას. მე მოგახსენებთ სტეპანოვის რომანზე „პორტ-არტური", რომელიც პრემიით დაჯილდოვდა არა უადრეს და არა უგვიანეს 1946 წლისა, მას შემდეგ რაც იაპონია განადგურებულ იქნა და სტალინის მიერ დასახული ამოცანა — ანგარიში გაგვესწორებინა 1905 წლისათვის, კერძოდ, დაგვებრუნებინა პორტ-არტური, — შესრულდა. ორმოცდაორ თუ ორმოცდასამ წელს სტალინს სავსებით შეეძლო, ეთქვა ამ წიგნზე, რომელიც მოსწონდა: გვჭირდება კია ეს წიგნი ახლა? გვჭირდებოდა კია, მეტადრე ორმოცდასამი წლის დადგომამდე, სტალინგრადში პაულიუსის კაპიტულაციამდე, პორტ-არტურის დაცემის მეხსენება? ხოლო ორმოცდაექვსში სტალინმა მიიჩნია, რომ ეს წიგნი გვჭირდება როგორც რაღაც უაღრესად თანამედროვე, იმის მეხსენება, რომ ის, რაც მეფემ, მეფის რუსეთმა ორმოცი წლის წინათ დაჰკარგეს, სტალინმა და ქვეყანამ, რომლის ხელმძღვანელი სტალინია, ახლა დაიბრუნეს, იმის მეხსენება, რომ მაშინაც იყვნენ ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც ისევე გულადად იბრძოდნენ, როგორც საბჭოთა ოფიცრები და ჯარისკაცები ამ ომში, ოღონდ სხვა სარდლობის, სხვა ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელსაც არ შესწევდა გამარჯვების მიღწევის უნარი.

შეიძლება მე რამდენადმე ვაუხეშებ და ვამარტივებ საქმეს, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც დავწერე, არსებითად სწორია.

ისტორიულ თხზულებათა საერთო დინე ნაკადიდან სტალინი გამოყოფდა იმას, რაც, მისი აზრით, ემსახურებოდა თანამედროვეობის ინტერესებს. აწდაბრუნებული პორტ-არტურის დაცემის ისტორია ემსახურებოდა თანამედროვეობას, ხოლო რუსული სოფლის ისტორია — საუკუნის დამდეგის დაახლოებით იმავე წლებში, — მისი წარმოდგენით, არ ემსახურებოდა თანამედროვეობის ინტერესებს, და კითხვაზე: „გვჭირდება კია ეს წიგნი ახლა?" — სტალინმა უარყოფითად უპასუხა.

მე ვფიქრობ, პრემია, რომელიც კოსტილევს მიენიჭა პირველ ომისშემდგომ წლებში ივანე მრისხანისადმი მიძღვნილი რომანისთვის, ასევე უკავშირდებოდა აზრს ამ რომანის თანამედროვე ჟღერადობის, დროის გადაძახილის შესახებ. ივანე მრისხანემ სახელდახელოდ დაასრულა რუსეთის ორსაუკუნოვანი გაერთიანება მოსკოვის გარშემო. ეტყობა, სტალინს სწორედ ამ წლებში შეიძლებოდა, ჰქონოდა მსგავსი წარმოდგენა საკუთარ როლზე რუსეთის ისტორიაში — დასავლეთში და აღმოსავლეთში დავიბრუნეთ ყველაფერი, რაც წინათ წაგვართვეს, და ზედაც, გადაწყდა მთელი ასწლეულების ამოცანა აღმოსავლეთი და დასავლეთი უკრაინის შეერთების შესახებ, ბუკოვინისა და იმიერკარპატეთის ჩათვლით.



შეტევის წინ ფრონტის წინა ხაზზე.

ივანე მრისხანის ფიგურა სტალინს მნიშვნელოვნად ესახებოდა როგორც მისი პირადი თემის — შინაურ მოწინააღმდეგეებთან, ბოიართა თვითნებობასთან ბრძოლის, ძალაუფლების ცენტრალიზაციის მისწრაფებასთან გაერთიანებული ბრძოლის თემის ასახვა. აქ იყო ისტორიული თავის მართლების ელემენტი, უფრო ზუსტად, არა იმდენად თავის გამართლებისა, რამდენადაც — თავისდამკვიდრებისა. ვინ იცის, როგორი იყო ეს მისი სულის სიღრმეში. მაგრამ გარეგნულად ივანე მრისხანის ისტორიულ თემაში ეს გამოიყურებოდა არა იმდენად თავის მართლებად თანამედროვეობაში მომხდარისათვის, რამდენადაც თავისუფლებისა და ისტორიული აუცილებლობის დასამკვიდრებლად, მან გააკეთა ის, რაც თავის დროზე ვერ გააკეთა ივანე IV.

უნდა ითქვას, რომ თუ ომის მოვლენათა შეფასებისას გამარჯვების პარადის მონაწილეთა წინაშე სტალინის სიტყვაში გაიჟღერა კიდეც ომის პირველი პერიოდის მოვლენებისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულების ნოტმა, ოცდაჩვიდმეტი-ოცდათერთმეტი წლების მიმართ, რამდენადაც მესმის, თავის მართლების პოზიციას იგი არასდროს არ დადგომია. ისინი, ვისაც ხელი არ ახლეს, მისი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ იმისათვის, რომ გადარჩნენ, ისინი, ვინც დაბრუნდა და გაამართლეს, მისი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ იმისათვის, რომ დაბრუნდნენ და გაამართლეს; ხოლო ისინი, ვინც ვერ დაბრუნდა, ასევე დარჩა მისი სიცოცხლის ბოლომდე გამტყუნებული.

ის, რომ განტევების ვაცად ქცეული ეჟოვი შეირისხა და სიკვდილით დაისაჯა, არსად და არასდროს საჯაროდ არ ფიგურირებდა, ამის შესახებ არავის და არსად არ დაუწერია არაფერი. ოფიციალურად ეს არ აღიარეს სწორედ იმიტომ, რომ ეჟოვი განტევების ვაცი იყო და სხვა არაფერი. თუმცა, თითქოსდა, ივანე მრისხანის ფიგურა საკუთარი თავისა და მთელი დამახასიათებელი ისტორიული თავისებურებებისადმი დიალექტიკურ მიდგომას მოითხოვდა, სტალინი ამ შემთხვევაში შორს იდგა დიალექტიკისაგან. მისთვის ივანე მრისხანე ცამდე მართალი იყო და ამ სიმართლით აკმაყოფილებდა, შესაძლოა, ეიზენშტეინის „ივანე მრისხანის" პირველმა სერიამ, თავისი მხატვრული დეტალებითა და მიგნებებით გენიალურმა, მაგრამ ისტორიულად უზნეომ, ივარგა, მაგრამ მეორე სერიამ, რომელიც ომის შემდეგ კეთდებოდა, ეიზენშტეინს კატასტროფა დაატეხა თავს. სტალინმა ეს ფილმი არ მიიღო. რატომ? აქ იყო და შეიძლება კიდევ იყოს სხვადასხვა, მეტნაკლებად სამართლიანი განმარტება.

მე კი ფრიად არსებითად მესახება ის, რომ თვით ივანე მრისხანის მეფობის ისტორია ეწინააღმდეგებოდა ამ სურათის განგრძობას. პირველი, ჯერ კიდევ ოპრიჩნინამდელი, საგარეო-პოლიტიკური წარმატებების შემდეგ, უწინარესად, ყაზანის აღების შემდეგ, ივანე მრისხანე სამხედრო ლაშქრობებში მარცხს მარცხზე განიცდის. თუ რუსეთის ისტორიაში რომელიმე ფიგურა შეიძლება დაუკავშირო რუსეთის ბრძოლას ზღვაზე გასასვლელად, მაშინ არა ივანე მრისხანის, არამედ — პეტრესი; არა იმისა, ვინც წარუმატებლად ცდილობდა, არამედ იმისი, ვინც მიაღწია თავის მიზანს. ივანე მრისხანემ თავისი დღეები დაასრულა სამხედრო დამარცხებისა და რუსეთის სამხედრო ძლიერების მკვეთრი შესუსტების ვითარებაში. მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველად სტალინი ამ ფიგურის აღქმისას დიალექტიკას არ დაყრდნობია. თუ არა ვცდები, სცენარი, რომელიც მოიცავდა არა მარტო პირველ სერიას, არამედ შემდგომ ამბებსაც, მთავრდებოდა ერთ-ერთი ძლევამოსილი ეპიზოდით ლივონის ომის პირველ ნახევარში, ზღვაზე გასვლითა და ბრძოლაში მალიუტა სკურატოვის დაღუპვით, რომლის სახელსაც, თავისი სისასტიკით საზოგადო რომ გახდა, ხალხის ხსოვნა უკავშირებს ყველაფერს, ოღონდ არა — სამხედრო საგმირო საქმეებს. ფილმი მთავრდებოდა იმ მომენტში, როდესაც მისი დამთავრება შეიძლებოდა რაღაც აპოთეოზის მსგავსით. ივანე მრისხანის შემდგომი მეფობა, რომელიც რუსეთის მომდევნო უბედურებების, მათ შორის, შფოთიანობის ხანის პროლოგი გახდა, ფილმის ჩარჩოში არ ჯდებოდა. იგი გადასაგდები იყო. ასე იყო ეს ჩაფიქრებული ომის წინ. მე ვფიქრობ, პირველ სერიაში, არსებითად, უკვე ამოიწურა ის, რაც ანალოგიით განამტკიცებდა სტალინის პოზიციებს, ადასტურებდა მის სიმართლეს იმ, პირობითად რომ ვთქვათ, ბოიარობასთან ბრძოლაში, რომელსაც იგი შანთით ანადგურებდა.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 181-185; 187-195.

## შანტაჟი ტელეეკრანიდან

(პირველი გვერდიდან)

ოლიგარქი ასე განსჯიდა — ახლა ჩამემალა, სხვა დროს გამომიჟა; ხელისუფლება იფიქრებდა, რომ ოლიგარქს საკმარისად წამოარტყა კეფაში და ეყოფა.

ბოლოს და ბოლოს, ოლიგარქსაც ესმის, რომ ყველაფერს ვერ მოიპარავ, და ხელისუფლებამაც იცის, რომ ყველა ოლიგარქს ვერ განაკულაკებ, ერთი დაცემულის ადგილს სხვა „მეომრები" დაიკავებენ, რომლებიც პირველებზე უარესი ქურდები იქნებიან. ასე რომ, კონფლიქტს ხელისუფლებასა და „მოსტს" შორის არა აქვს საერთოპრეცედენტული ხასიათი და არაფრით ემუქრება იმ ოლიგარქებს, რომელთაც იციან ჩარჩოებში ყოფნა.

ზოგიერთი ოლიგარქის ისტერიკა ამ თემაზე, უმეტესად, დაღლილი ნერვებითა და ბინძური სინდისით არის გამოწვეული, ვიდრე ვითარების ფხიზელი შეფასებით.

არა მგონია, გუსინსკისმოყვარულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭიროს თეზისს პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე კონფლიქტის შესახებ, სამაგიეროდ, სიამოვნებით გაიზიარებს თეზისს, რომ გუსინსკი, ერთის მხრივ, ოლიგარქია, მეორეს მხრივ, სრულიადაც არ არის ოლიგარქი და თავისი ოლიგარქობის გამო კი არ ეწამება, არამედ იმის გამო, რომ ბიზნესი აქვს ასეთი — თავისუფლებისმოყვარული.

ჩვენც ამ თეზისს დავუჭიროთ მხარი.

გუსინსკის ბიზნესი მართლაც სპეციფიკურია (ამით აიხსნება კონფლიქტის ბუნება), და თუ სურს, რომ თავისუფლებისმოყვარული დავარქვათ, იყოს თავისუფლებისმოყვარული. თუმცა გაუგებარია, რატომ არ სურთ ოლიგარქი ვუწოდოთ გუსინსკის. თუ მხედველობაში აქვთ, რომ 1998 წლიდან იგი, ფაქტობრივად, გაკოტრებულია, მხოლოდ იგი არ არის ასეთი. თუ მხედველობაში აქვთ, რომ სხვა ოლიგარქებისგან განსხვავებით, მას სახელმწიფოსთვის არაფერი მოუპარავს, პირიქით, ნულიდან შექმნა თავისი ბიზნესი — 18-საათიანი (როგორც თავად აღიარებს), ყოველდღიური მუშაობით, რომც დავუჯეროთ ამ გაბედულ მტკიცებას, შეიცვლება რამე?

არავინ ამტკიცებს, რომ ოლიგარქმა აუცილებლად უნდა იქურდოს (თუმცა ბევრნი ქურდობენ), და თუ გუსინსკი, როგორც თავად ამტკიცებს, ბედნიერი გამონაკლისია, ეს სრულიადაც არ არის იმის საფუძველი, რომ მას ეს საპატიო ტიტული ჩამოვართვათ. საერთოდ კი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთელთა შეგნებაში ოლიგარქი არის ის, ვინც ფერადი მეტალებისა და ენერგომეცველების განხრით საქმიანობს, ხოლო ყველა სხვა, რა გინდ მდიდარი და გავლენიანი იყოს, გადაფურთხებადაც არ ღირს — თფუ!

ჩანს, რომ ჩვენს მოქალაქეებს ღრმად პოსტინდუსტრიული შეგნება აქვთ. თუ ვინმე დიდ საქმეებს ატრიალებს ინდუსტრიული ეპოქის ისეთი საქონლით, როგორიც ნავთობი და ალუმინია, ვაჭრობს, იგი ოლიგარქი და ცუდი კაცია, ხოლო თუ იგივეს აკეთებს ინფორმაციით, ანუ პოსტინდუსტრიული საქონლით, მაშინ ჩვენს წინაშეა ტიტანი, გენიოსი და კაცობრიობის მწყალობელი. აზრი იმის თაობაზე, რომ სამართლებრივი და მორალური შეფასებისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა საქონლის ბუნება, არამედ საქმიანობის ბუნება, უაღრესად ექსტრავაგანტური ეჩვენებათ, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების ბოროტი განზრახვით გამოყენება ველურ ცილისწამებად მიაჩნიათ.

მაგრამ თუ ამ „ველურ ცილისწამებას" დავეთანხმებით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი თავისებურება (რომელზეც ჯერ კიდევ ინდუსტრიამდელი დონ ბაზილიო „სევილიელ დალაქში" მიგვითითებდა), ის არის, რომ სახელი გავუტეხოთ ადამიანებს, შესაბამისად, იმის მუქარით გამოვძალოთ პური საკუთარი არსობისა, სხვადასხვა სიკეთე და უპირატესობა, რომ გავამაჟვებთ და დავღუპავთ საერთო აზრში საზოგადოებრიობისა.

გუსინსკის კომერციული ნიჭი (თუ ნიჭი მისი ჩეკისტი მრჩევლებისა) გამჟღავნდა იმით, რომ მან პირველმა გაითვითცნობიერა მომენტი: შუა 90-იანი წლების რუსეთში, როდესაც საზოგადოებრიობის დამაკავშირებელი ქსოვილი პრაქტიკულად გაქრა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (უწინარეს ყოვლისა, ტე-

## სიტყვის თავისუფლება გუსინსკისათვის!



ლევიზია), საზოგადოებრიობის ინტეგრირების ლამის ერთადერთი ქმედით ინსტიტუტად დარჩა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა პროფესიულად ორგანიზებული შანტაჟი საკუთარი შემოსავლის რეგულარულ და უშრეტ წყაროდ შეგეძლო გექცია. „ჩავძიროთ!" თავისუფლებისმოყვარე გუსინსკის საყვარელი გამოთქმა იყო, რომელსაც მაშინ წარმოთქვამდა, როდესაც ჯიუტ კლიენტს გადაეყრებოდა, რომელიც „მოსტისთვის" მომგებიანი გარიგების გაფორმებაზე უარს იტყოდა, ან კრედიტებს არ მისცემდა და ა. შ. რას ნიშნავს ეს „ჩავძიროთ!", კარგად გამოჩნდა 1997 წლის შემოდგომაზე, როდესაც იმ დროის ვიცეპრემიერმა ჩუბაისმა არ მოისურვა გუსინსკისათვის „სვიაზინვესტის" მიყიდვა იმ ფასად, გუსინსკის ხელს რომ აძლევდა: ვიცეპრემიერს აუხსნეს: „ანატოლი ბორისოვიჩ, თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ და კარგად უნდა გესმოდეთ, რომ „გადაგიყლიან" სრული პროგრამით". 1997 წლის ინფორმაციული ომი, რომელიც ჩუბაისის მოხსნით დამთავრდა („წიგნის საქმე") წამოიწყო რადიოსადგურმა „ეხო მოსკვიმ". ამის შემდეგ სხვები უკვე მიხვდნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ მსგავს შემთხვევაში. „გაზპრომის" მეთაურმა რემ ვიახირევმა ამას წინათ ასეც ახსნა „მოსტისთვის" მიცემული „გაზპრომის" კრედიტის არსი. „ჩვენ ვიხდიდით, ჩვენთვის რომ არ „გადაეარათ". რუსეთის ბიზნესისა და რუსეთის პოლიტიკის დიდი ცოდვილიანობის გამო ადვილად პოულობდნენ კლიენტებს გამოცდებისთვის მიხვედრილობისა და დამყოლობის საგანში — ვინ არ სცოდავს ღმერთის წინაშე და ვინ არ არის მეფესთან პირმავად? თუ გავიხსენებთ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით ცოდვათა მოგონებაც შეიძლება, „მოსტის" საქმიანობის ასპარეზი უკიდეგანო იყო და მომავალიც უღრუბლო ჩანდა.

კონვეიერის პრინციპით მომუშავე სიტყვის თავისუფლება უაღრესად შემოსავლიან საქმედ იქცა, თანაც სავსებით კანონიერი მიზნებით, უფრო მეტიც, — კეთილშობილურ და ამაღლებულ საქმედ ჩამოყალიბდა, რადგან „მოსტი" გაბედულად ამხელდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნაკლოვანებებს (პერიოდულად რომ არ გაეროზგათ კლიენტები, ისინი დამყოლობის უნარს დაკარგავდნენ). ხოლო იმას, რომ როზგავდნენ არა ყველას და არა ყოველთვის, არამედ იმის გამო, თუ ვინ და რა შეღავათს აძლევდა „მოსტს", ამას საქმეს ვერ მიაკერებ, ეს ერთი, და, მეორეც, მე მაქვს სიტყვის თავისუფლება, მინდა — გადავკრავ მათრახს, მინდა — არა. ჩემი ნებაა!

შემოსავლიანი და მშვენიერი ბიზნესია, მაგრამ მზესაც აქვს ლაქები. შერლოკ ჰოლმსის შესახებ ერთ მოთხრობაში ლაპარაკია ვინმე ლონდონელ თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლზე, რომელსაც ამგვარი ბიზნესი ჰქონდა უმაღლეს საზოგადოებაში. ყველა კმაყოფილი იყო, სანამ ერთმა ქალბატონმა რევოლვერის ტყვიები არ დაახალა მას. რუსეთის ჩვევები ვიქტორიანულზე გაცილებით რბილია, — არავინ არ აპირებს დაცხრილოს გუსინსკი. მაგრამ რუსეთში აღმოჩნდნენ სრულიად გაუგებარი და მოურიდებელი ადამიანები, რომელთაგან ერთ-ერთს ჰქვია ვლადიმერ პუტინი.

ასეთი ადამიანების არსებობა აღიარა ახლახან გუსინსკის თანამებრძოლმა, რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ხელმძღვანელმა ვენედიქტოვმაც, რომელსაც, მისი თქმით, ერთმა მნიშვნელოვანმა პიროვნებამ კრემლში მიუთითა: „მე ანატოლი ბორისოვიჩი არ გეგონოთ, მე ვერ შემეშინებით". როდესაც კრემლში ასეთი შეურიგებელი განწყობილება სუფევს, ეს ნიშნავს, რომ ვიღაცის კისრის მალები ატკაცუნდება, თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით.

ასეთია „შანტაჟის ბიზნესის" ბუნება. როდესაც კლიენტს გაგება არ სურს, მაშინ ორივე მხარემ ბოლომდე უნდა გაამჟღავნოს თავთავისი პოზიციები. კლიენტს სხვა არაფერი რჩება, თუ არა შანტაჟისტის რაღაც ფორმით განადგურება. შანტაჟისტი კი ვალდებულია სამაგალითოდ დასაჯოს კლიენტი — თუ იგი შანტაჟის ბადეს დაუსჯელი დააღწევს თავს, ეს ბედისმიერი პრეცედენტი იქნება სხვებისთვის.

შანტაჟის ძალა დასჯის გარდუვალობაშია. როდესაც გარდუვალობა აღარ არსებობს, შანტაჟისტი იქცევა გესლდანთხეულ, კბილებდამძვრალ კობრად. მალაშენკოს შეუძლია კუდზე დადგეს თავის პრესკონფერენციებზე და მრისხანედ გაიფხოროს, მაგრამ არავინ შეშინდება, საზიზღარი საყურებელი კი იქნება. ვერავითარი ხელისუფლება დიდხანს ვერ მოითმენს, როდესაც გვერდში ჰყავს დაუდეგარი შანტაჟისტი, რომელსაც ექსტერიტორიულობის პრეტენზია აქვს. ვერც შანტაჟისტი მოითმენს, რადგან ასეთი სიტუაცია მისი ბიზნესისთვის დამღუპველია. ომი გარდუვალია.

როგორც კი დაიწყო ომი, ორივე მხარემ აღიარა სიბრძნე გერმანელი მეცნიერის კლაუზევიცის, რომელიც ყურადღებას მიაქცევდა ომის დროს შეცდომების, გაურკვევლობის, სულელური ნაბიჯების მნიშვნელობას, რომლებიც კამპანიის იდეალურ გეგმას სრულიად გაუგებარს გახდის ხოლმე. 2000 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კამპანიის დროს კრემლიც და „მოსტიც" ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და კვლავაც ეჯიბრებიან იმაში, თუ ვინ უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს, რის გამოც ძნელია იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როგორ დასრულდება ეს კამპანია.

**მაქსიმ სოკოლოვი,**
„ოგონიოკი"
2000 წლის ივლისი.

(დასასრული იქნება).

* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

## ინფორმაცია

### ითხოვენ უსაფრთხოების გარანტიებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თბილისისგან ითხოვს უსაფრთხოების გარანტიების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ გუდაუთიდან გაყვანილი იქნება რუსეთის სამხედრო ბაზა.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, აფხაზეთი „ყველაფერს შესაძლებელს გააკეთებს, რათა არ დაუშვას ამ ბაზის გაყვანა", მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რუსი სამხედროები აფხაზეთს მაინც დატოვებენ, საქართველომ და „გაეროს გენერალურ მდივანთან არსებულმა მეგობრების ჯგუფის" ქვეყნებმა შეიარაღებული კონფლიქტის განუახლებლობის გარანტიები უნდა წარმოადგინონ.

### ექსპერტები საზღვაო ძალების სტატუსის განსაზღვრაზე იმსჯელებენ

შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის ექსპერტთა მოლაპარაკების მეცხრე რაუნდი გაიმართება მოსკოვში 26-28 ივლისს.

შეხვედრაზე განიხილება თურქეთის მხარის მიერ წამოყენებული ინიციატივა შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის ძალების სტატუსის განსაზღვრის შესახებ, ასევე დებულებანი ჯგუფის სამეთაურო კონტროლის თაობაზე. შეხვედრის ფარგლებში დაგეგმილია ჯგუფის მთავარ შეთანხმებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების დასრულება.

საქართველოს მხრიდან მოსკოვის შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ექსპერტები.

### ბირჟაზე ხუთი გარიგება დაიდო

საქართველოს საფონდო ბირჟის ხუთშაბათს გამართული ვაჭრობის შედეგებით, უნივერმაღ „თბილისის" 2198 ცალი აქცია გაიყიდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საფონდო ბირჟაზე აცნობეს, სულ 5 გარიგება დაიდო, ხოლო გარიგებათა უმცირესი და უმაღლესი ფასები, შესაბამისად 1,96 და 1,98 ლარით განისაზღვრა, ამასთან, გარიგებათა ღირებულება 4 351,04 ლარზე დაფიქსირდა.

### ბიზნესმენთა დიდი შეღავათი

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით „შორბანკის" საკონსულტაციო სამსახური და „თი-ბი-სი ბანკი" მიკროსაფინანსო პროგრამების დაფინანსების პორტფელს მიმდინარე წლის ბოლომდე 600,000 აშშ დოლარამდე გაზრდიან.

როგორც „შორბანკის" საკონსულტაციო სამსახურის განვითარებადი საწარმოების სესხების პროგრამის მენეჯერმა ნატალი მოურავიძემ საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრში პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიკროსაფინანსო კრედიტების სახით უკვე გაცემულია 300 000 აშშ დოლარი.

მისი თქმით, მცირე ბიზნესისათვის სათანადო თანხები გაიცემა ბიზნეს გეგმის წარმოდგენის გარეშე „თი-ბი-სი ბანკის" საკრედიტო ოფიცერთან შესაბამისი კონსულტაციების შედეგად. კრედიტის მოცულობა 1000-დან 15000 აშშ დოლარამდე მერყეობს, ხოლო ხანგრძლივობა 3-4 თვით განისაზღვრება, ამასთან, საპროცენტო განაკვეთი თვეში 2-3 პროცენტს შეადგენს. კრედიტის მიმღების მხრიდან თანადაფინანსება სესხის მოცულობის 30 პროცენტს უნდა გაუტოლდეს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

# ცივი ომის ისტორიიდან

# „ცხელი ხაზი“: პირველი E-MAIL

# იალტიდან მალტამდე

ჰენრი კისინჯერმა, ყოფილმა აშშ სახელმწიფო მდივანმა, ერთხელ თავისი შეშფოთება ატომურ ხანაში დაპირისპირების გამო შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ომის უდიდეს საფრთხეს, — თქვა მან, — მე ვხედავ არა გაბოროტებულ ადამიანთა განზრახულ მოქმედებაში, არამედ უუნარობაში — მოთოკონ კონტროლიდან გამოსული მოვლენები“. სწორედ ასეთი შიშის გასაქარწყლებლად დამყარდა ეგრეთ წოდებული „ცხელი ხაზი“ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის 1963 წლის აგვისტოში.

„ცხელი ხაზი“ გაჩნდა კარიბის კრიზისიდან ერთი წლის შემდეგ. მაშინ კუბაში საბჭოთა რაკეტების გამო წარმოშობილმა კონფრონტაციამ მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე დააყენა. მას შემდეგ, რაც დიპლომატიამ და გონიერებამ გაიმარჯვეს, ორივე მხარემ გაიცნობიერა რაოდენ ახლოს იყვნენ ერთმანეთის განადგურებასთან და რაოდენ პრიმიტიული ყოფილა ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთობის საშუალებები. მაგალითად, კრიზისის ყველაზე დაძაბული მომენტების დროს





ანატოლი დობრინინი, საბჭოთა კავშირის ვაშინგტონელი ელჩი, იძულებული იყო ესარგებლა ველოსიპედისტი მიკრიკის მომსახურებით, რომელსაც აძლევდა მოსკოვში გასაგზავნ სასწრაფო დეპეშებს და აგანდა **Western Union**-ის დეპეშათა სააგენტოს უახლოეს განყოფილებაში.

მას შემდეგ, რაც კრიზისმა ჩაიარა, პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ საბჭოეთს შესთავაზა დაემყარებინათ „ცხელი ხაზი“. გავრცელებული წარმოდგენის მიუხედავად (რომელსაც პო-



ლივუდის ფილმებიც განამტკიცებდა), ეს არ ყოფილა ორი წითელი ტელეფონი, რომელთაგან ერთი ოვალური კაბინეტის მაგიდის უჯრაში დგას, და მეორე — კრემლში. თავდაპირველად, ეს იყო ტელეტაიპების ჯაჭვი, სადაც ცნობები თითო გვერდის მოცულობით, ყოველ სამ წუთში ერთხელ შედიოდა. ეს სისტემა 70-იანი წლების ბოლოს შეიცვალა ორი თანამგზავრული ქსელითა და წყალქვეშა კაბელით.

ამერიკის „ცხელი ხაზის“ ტერმინალი განლაგებულია არა თეთრ სახლში, არამედ მდინარე პოტომაკის მეორე ნაპირზე, პენტაგონში. როდესაც „ცხელი ხაზი“ გამოიყენება, ამერიკის პრეზიდენტისაგან ცნობა იგზავნება დაცული სატელეფონო კაბელის მეშვეობით თეთრი სახლიდან მთავარსარდლის ცენტრში. მორიგე ოფიცერი უკავშირდება თეთრ სახლს, რათა შეამოწმოს ცნობის აუთენტიკურობა. ამის შემდეგ დეპეშა კოდებში გადაჰყავთ და მოსკოვში გზავნიან.

„ცხელი ხაზი“ იყენებს წერილობით ინფორმაციას, და არა ხმოვან თუ ვიდეოკავშირს. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ტექსტის შემთხვევაში სასწრაფო ინფორმაციის არასწორი თარგმანის შესაძლებლობა ნაკლებია. გარდა ამისა, თითოეულ მხარეს რჩება დამატებითი დრო პასუხის მოსაფიქრებლად, და კლებულობს იმის რისკი, რომ ჟესტების ენას ან ხმის ტონს არასწორად აღიქვამენ.

ყველა ცნობა შეერთებული შტატებიდან რუსეთში ინგლისურად გადაიცემა. მოსკოვიდან ვაშინგტონში კი — რუსულად, კირილიცით. „თარგმანი ყოველთვის ხდება სადენის მეორე ბოლოში“, — ამბობს პენტაგონის პრესმდივანი ვიცეპოლკოვნიკი დეივ ტერსტონი.

„ცხელი ხაზით“ გადმოცემული პირველი ცნობა ვაშინგტონში მოსკოვიდან 1967 წლის 5 ივნისს ადრე დილით მოვიდა.



თავის მემუარებში პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი იხსენებს, როგორ აიღო ყურმილი თეთრი სახლის საძილე ოთახში და როგორ გაიგონა თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას ხმა.

„ბატონო პრეზიდენტო, — თქვა მაკნამარამ, — „ცხელი ხაზი“ ამუშავდა“.

აქამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო ომი ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის. საბჭოთა პრემიერს, ალექსი კოსიგინს სურდა გაეგო, მონაწილეობს თუ არა შეერთებული შტატები მოულოდნელ იერიშში ეგვიპტის წინააღმდეგ (საბჭოთა კავშირი იმ დროს მხარს უჭერდა ეგვიპტეს). ჯონსონმა უპასუხა, რომ ამერიკელები ამაში არ არიან გარეულნი და დასძინა, რომ შეერთებული შტატები მოუწოდებს ცეცხლი შეწყვეტას.

რამდენიმე დღის განმავლობაში, სანამ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწევდნენ, მხარეებმა გაცვალეს ოცი ინფორმაცია „ცხელი ხაზით“ — იმის გულისათვის, რომ ექვსდღიანი ომი (როგორც მათ შემდეგ უწოდეს) არ გადაზრდილიყო გლობალურ ბირთვულ კონფლიქტად.

პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ასევე გამოიყენა „ცხელი ხაზი“ ინდოეთსა და პაკისტანს შორის 1971 წლის უთანხმოებათა დროს, ხოლო ორი წლის შემდეგ — კიდევ ერთი ახლო აღმოსავლეთის ომის პროცესში. პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ცდილობდა, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით დაეცხრო დაძაბულობა მხარეების ურთიერთობაში 70-იან წლებში; მაგრამ მან ასევე „ცხელი ხაზით“ გაგზავნა პროტესტი 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის გამო, ხოლო პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, როგორც ამბობენ, „ცხელი ხაზით“ დაემუქრა საბჭოთა კავშირს „სერიოზული და შორსმიმავალი შედეგებით“ 1986 წელს, როდესაც ჯაშუშობის ბრალდებით ცოტა ხნით დააპატიმრეს ამერიკელი ჟურნალისტი ნიკოლას დანილოფი.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დააცხრო დაძაბულობა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის. ამერიკისა და რუსეთის ოფიციალური პირები ახლა რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს. მაგრამ „ცხელი ხაზი“ განაგრძობს ფუნქციონირებას დღეღამეში 24 საათის განმავლობაში. მას ამოწმებენ ყოველ საათს — პენტაგონი მოსკოვში გზავნის ცნობას ყოველ ლუწ საათში, ხოლო მოსკოვი უპასუხებს კენტ საათებში. მხარეები ურთიერთობენ საერთო საშიფრავი კოდის მეშვეობით და ერიდებიან პოლიტიკური ან სადაო ტესტური ცნობების გაგზავნას.

ძირითადად, თითოეული მხარის ოპერატორები ცდილობენ მოახდინონ მეორე მხარის თარგმანის სისწორის ტესტირება იშვიათი ტექსტების ნაწყვეტების მეშვეობით. ამერიკელ ოპერატორებს შეუძლიათ, გაუგზავნონ ხოლმე რუს კოლეგებს მექსიკური კერძების რეცეპტები ან სტატიები შინაურ ცხოველთა ფსიქოლოგიის შესახებ. რუსებმა კი შეიძლება უპასუხონ თავიანთი დიდი რომანისტების თხზულებათა ნაწყვეტებით ან ტრაქტატით ძველი მსოფლიოს აღმოჩენების შესახებ. მაგრამ ეს გონებათა პაექრობა მიმდინარეობს მეგობრულ ვითარებაში და ზოგიერთი ოპერატორი ერთმანეთს პირადადაც შეხვედრია სამთავრობათაშორისო ვიზიტების დროს.

თუმცა ცივი ომი თანდათან წარსულს ბარდება, „ცხელი ხაზი“ კვლავინდებურად დიდმნიშვნელოვან მექანიზმად ითვლება. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა, რობერტ გეიტსმა თქვა, რომ „ცხელი ხაზი“ უნდა მუშაობდეს, სანამ „ოკეანეებში დაცურავენ ორივე მხარის წყალქვეშა ნავები და სანამ ერთმანეთისთვის აქეთ მოღერებული რაკეტები“, — ნათქვამია დასასრულ სი-ენ-ენის ჟურნალისტთა მიერ მომზადებულ გამოკვლევაში.

# მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ამბები

## მედიცინა

შეერთებულ შტატებში მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე, რომელიც ალცჰაიმერის დაავადების მკურნალობის პრობლემებს ეძღვნება, ამერიკელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ამ ჯერჯერობით უკურნებელი სენის საწინააღმდეგო ვაქცინის კლინიკური გამოცდის პირველი ეტაპის შედეგები. როგორც განაცხადა დეილ შენკმა, იმ ფირმის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, რომელმაც პრეპარატი შეიმუშავა, ექსპერიმენტის მონაწილე 24 ამერიკელს შორის არც ერთს არ შეემჩნეოდა არავითარი თანამდევი რეაქცია. თუ მედიკამენტის უვნებლობა საბოლოოდ დამტკიცდა, ფირმა გადავა უფრო მასშტაბურ გამოცდაზე, პრეპარატის კლინიკური გამოცდის კიდევ ერთი სერია ეწყობა ამჟამად დიდ ბრიტანეთში. იქ აურჩიეს 80 პაციენტს, რომლებსაც ადრეული სტადიის ალცჰაიმერის დაავადება ჰქონდათ. მეცნიერთა მიზანია დაადგინონ, შეუძლია თუ არა პრეპარატს, აიძულოს პაციენტის იმუნური სისტემა, დაასინთეზოს შესაბამისი ანტისხეულები. პრეპარატმა, რომლის სამუშაო სახელწოდებაა AN-1792, მედიკოსთა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ერთი წლის წინათ. მაშინ თაგვებზე დაყენებული ექსპერიმენტის შედეგად მკვლევარებმა შეძლეს, არა მარტო შეენელებინათ მისი მეშვეობით ალცჰაიმერის დაავადებისათვის ტიპიური ცილის ბურთულების წარმოშობა თავის ტვინში, არამედ უკან დაებრუნებინათ კიდეც ეს პროცესი.



დანიელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი ფირმის კიბოს სიმსივნის წარმოშობა უფრო მჭიდროდ უკავშირდება გენეტიკურ ფაქტორებს, ვიდრე აქამდე ითვლებოდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ წინამდებარე ჯირკვლის, კუჭ-ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს წარმოშობასთან დაკავშირებულია გაცილებით მეტი რაოდენობით გენები, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ. ქალაქ ოდენსის უნივერსიტეტის მედიკოსთა ჯგუფმა ნილს ჰოლმის ხელმძღვანელობით გამოიკვლია 45 ათასი ტყუპისცალი დანიაში, ფინეთსა და შვედეთში. ამასთან, დადგინდა, რომ წინამდებარე ჯირკვლის ყველა შემთხვევის 42 პროცენტი, კუჭ-ნაწლავის კიბოს — 35 და სარძევე ჯირკვლის 23 პროცენტი გამოწვეული ყოფილა მემკვიდრეობითი ფაქტორებით. მაგრამ, ჰოლმის თქმით, ერთი ტყუპისცალის კიბოთი დაავადება ძალზე უმნიშვნელოდ ზრდის მეორის რისკს, ასევე შეეყაროს კიბო. ამავე დროს, სკანდინავიაში განხორციელებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ყველაზე არსებითი კარცენოგენური ფაქტორია გარემოს ზემოქმედება.

## გენეტიკა

როგორც ცნობილია, რამდენიმე საათის სარტყლის გადაკვეთასთან დაკავშირებული შორი ავიაგადაფრენა იწვევს შინაგანი ბიოლოგიური რიტმის დარღვევას. თუ რამდენად მძიმედ განიცდის ადამიანი ამ დარღვევას, ეს



დამოკიდებულია ღვიძლისმიერ მემკვიდრეობაზე. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ფრანგმა მკვლევარებმა. თევზებზე დაყენებული ექსპერიმენტებით მათ დაადგინეს, რომ სწორედ დღისეული გენები ახდენენ მომავალი ინდივიდის შინაგანი სადღეღამისო ბიორიტმის კოდირებას ჯერ კიდევ გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედის სტადიაში. აქამდე მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ შინაგანი საათის ფუნქციონირების წანამძღვარია განვითარებული თავის ტვინის არსებობა.

## ბიოლოგია

როგორც ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, სამეფო პინგვინის თვალის გუგას შეუძლია, დავიწროვდეს და გაგანიერდეს ძალზე ფართო ფარგლებში. ბირმინჰემის უნივერსიტეტის თანამშრომლის, გრემ მარტინის თქმით, თოვლზე კაშკაშა მზის სინათლის პირობებში პინგვინის თვალის გუგა სიდიდით ქინძისთავს არ აღემატება, როცა ცხოველი ყვინთავს — სამეფო პინგვინებს კი შეუძლიათ 300 მეტრ სიღრმეზე ჩაყვინთონ, მათი გუგის დიამეტრი სანტიმეტრს აჭარბებს ანუ ფართობი 300-ჯერ იზრდება. სწორედ ეს უნარი აძლევს პინგვინს შესაძლებლობას, წყალქვეშ დაინახოს წვრილი თევზი, რომელიც მისი ძირითადი საკბილოა.



# ტრადიციული ოჯახური ღირებულებანი



„ძირს მერიტოკრატია“! — ასეთი სათაურით გამოვიდა წინა კვირაში ლონდონის ჟურნალ „**Spectator**“-ის მოწინავე. სტატიის ავტორი ტობი იანგი ამტკიცებს, რომ ომი, რომელიც ტონი ბლერის მთავრობამ თავის საკუთარ არისტოკრატიას გამოუცხადა, საბოლოო ანგარიშით, აუარესებს — და სულაც არ აუმჯობესებს — ინგლისის საზოგადოების ნაკლებად პრივილეგირებული ნაწილის ცხოვრებას, რომლის წარმომადგენლები საკუთარი თავის გარდა სხვას ვერავის დააბრალებენ იმას, რომ ვერ მიაღწიეს ცხოვრებისეული წარმატების მწვერვალებს.

„ქვეყნად არც ერთ საზოგადოებრივ წყობილებას არ შეიძლება ბოლომდე სამართლიანი ეწოდოს, — წერს იანგი, — მაგრამ ჩვენ და ჩვენი სისტემა, სადაც ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა დღესაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ოჯახში გაჩნდა იგი, ყოველ შემთხვევაში, არცა გვაქვს სამართლიანობის პრეტენზია. ამ იდეაში იმალება ნუგეშის საოცარი წყარო, თუ თქვენ არ ეკუთვნით იმათ რიცხვს, ვინც წარმატებით იკვალავს გზას ცხოვრებაში“. შემდეგ იგი დაწვრილებით აღწერს, რომ ლორდთა პალატიდან გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟები რომლებიც „უმაღლეს საზოგადოებაში გათქვეფილ ბრიყვ არისტოკრატებს“ ეძღვნება, დიდად დაეხმარა მას, დაეძლია თავისი საკუთარი უიღბლობა, სანამ



ლეიბორისტები საბოლოოდ გამოდევნიდნენ იქიდან მემკვიდრეობითი პირების მეტ ნაწილს.

ამ, ერთი შეხედვით, უკუღმართმა ლოგიკამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი გულწრფელობით. თუმცა დღეს შეერთებული შტატებისაგან შორს ვცხოვრობთ, ერთი რამ, რაც სულ არ მენატრება, ეს გახლავთ სპეციფიკური ამერიკული რწმენა, რომ ყოველი კაცი თვითონ არის თავისი ბედის მჭედელი. ბევრს ძალას ჰმატებს ეს კრედო, მაგრამ თუ მეტისმეტად შეტოპავ და ბრმად მიენდობი, იგი შეიძლება ტანჯვავაების წყაროდ მოგევლინოს. გაიხსენეთ მილიონობით დაუკმაყოფილებელი ადამიანი, რომლებიც ხარბად ეწაფებიან ერთ თვეში გამდიდრების სარეკლამო მოწოდებებს და, მანქანის საჭესთან მსხდომნი, ისმენენ „როგორ მივაღწიოთ წარმატებას“ სერიის წიგნების აუდიოჩანაწერებს თავიანთ მოსაწყენ სამუშაოზე მიმავალნი, სამუშაოზე, რომელიც, როგორც მათ ჰგონიათ, უნდა დაეხმაროს უკეთესობისაკენ წინსვლაში. ამავე დროს, განაგრძობს ავტორი, მე ვიცი შეძლებული ადამიანები, რომლებიც ყოფილ თანაკლასელ ამხანაგებს, იმათ, ვისაც ცხოვრებაში ხელი მოეცარა, ჭირიანებივით თუ კეთროვანებივით უყურებენ და ახლოს არ იკარებენ. არიან ასეთი პატივმოყვარე ადამიანები, რომლებიც საზოგადოების რიგით წევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობასაც კი ცრუმორწმუნე კაცის შიშით ეკიდებიან.

ცუდი გემოვნება კიდევ ერთი, ნაკლებად დრამატული, მაგრამ ასევე ფრიად მადემორალიზებელი შედეგია ხელაღებული მისწრაფებისა წარმატებისაკენ. ცნობების პუბლიკაცია ჩემი „ალმა მატერის“ — ჰარვარდის ნამოწაფრებზე უკვე კარგახანია გადაიქცა თავისებურ განცხადებათა დაფად, რომელზეც კურსდამთავრებულნი ამაყობენ თავიანთი ტრიუმფებით და მოურიდებლად ცდილობენ, გააბან ახალი სასარგებლო და სარფიანი ნაცნობობა. „დღეს მეუხერხულება კიდეც იმის გახსენება, რომ თავის დროზე უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე“, — წერს ერთ-ერთ ამასწინანდელ პუბლიკაციაში კაცი, რომელმაც თხუთმეტი წლის წინათ მიიღო ჰარვარდის დიპლომი, სანამ თავის მომდევნო მიღწევათა უგრძესი სიის ჩამოთვლას შეუდგებოდეს. უამრავი ამდაგვარი ტექსტები წააგავს რეზიუმეს ან განახლებულ ვერსიას შესასვლელი განცხადებისა, რომელიც ჩვენ ყველას შეგვევსია თავის დროზე კოლეჯში ჩასარიცხად.

კეთილი და პატიოსანი, შესაძლებელია; ამისათვის სხვაგვარად შემეხედა, მეც რომ მქონოდა ალებული რამდენიმე ნობელის პრემია, მაგრამ, ღმერთი-რჯული, მე მგონია, რომ ჩემი პროტესტი უბრალოდ ელემენტარული შურით არ არის ნაკარნახევი. როდესაც ვკითხულობ ასეთ ცნობებს იმ კურსის გამოშვებაზე, რომელზეც თავის დროზე სწავლობდა მამაჩემი, ჩემზე ოცდათხუთმეტი წლით ადრე რომ დაამთავრა უნივერსიტეტი, მე ასევე მივაგებ ჯეროვან პატივს მათ მიღწევებს (და სხვათა შორის, მათ შორის იყო ჰენრი კისინჯერი), მაგრამ ამავე დროს ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენს მათი სიტყვაძუნწობა, ეს უპირველესი ნიშანი კარგი მანერებისა, რომელიც იმ დროს ყველაზე დიდი პატივმოყვარეობის მოსათოკავად გამოიყენებოდა. შეგიძლიათ, ამას სისულელე უწოდოთ, მაგრამ სწორედ ასეთი ღირსებებისაგან იქმნებოდა იმ ღირებულებათა სისტემა, რომელთა რიცხვს განეკუთვნებოდა თავის დროზე თავმდაბლობა, დღევანდელი ამერიკელების თვალში ხელმოცარული ხალხი საფირმო ნიშნად რომ იქცა.

მეორე იშვიათი ნიშანია ის პატივისცემა, რომლითაც წინათ ლაპარაკობდნენ კაცის წარმოშობაზე. მიღებულია აზრი, თითქოს ამერიკაში არავის აინტერესებდეს, ვინ იყო მამათქვენი, მაგრამ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჩვენი მეექვსე პრეზიდენტი მეორის შვილი იყო. და დღესაც კი საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლები თუ სხვა (როგორც წესი — კარგი) თვალით შემოგვხედავენ, თუ იცნობენ თქვენს ოჯახს. ამას სრულად იგრძნობს ჯორჯ ბუშუმცროსი შემოდგომაზე, როდესაც მას ხმას მისცემს მილიონობით კაცი, მამამისს რომ იცნობდა და უყვარდა (მილიონობით სხვა კი იმიტომ მისცემს ხმას, რომ ეგონება, სწორედ ეს არის ის მამამისი. იდიოტიზმი ხომ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დღეგრძელი ტრადიციაა).

ახლანდელი „იაპები“ — ელიტური უნივერსიტეტების სტუდენტები, როგორც წესი, მდიდარი მშობლების ნაშიერნი, ასევე ზრუნავენ თავიანთი შვილებისათვის და მოწადინებული არიან, გადასცენ მათ თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობის უპირატესობანი, მაგრამ, ამას რომ აკეთებენ თვალთმაქცურად მოაქვთ თავი მერიტოკრატიის მომხრეებად: თვეობით წვრთნიან საბავშვო ბაღში მისაღები გამოცდებისათვის და ასევე ამზადებენ ყველა სხვა მომდევნო ტესტისათვის იქამდე, სანამ შვილებს თავს არ ამოაყოფინებენ იურიდიულ ან ბიზნეს-სკოლაში.

ის დრო, როდესაც შესაბამისი გვარის წყალობით განაღდებული ჰქონდათ ადგილი იეილის უნივერსიტეტში და უოლ-სტრიტზე სამუშაოდ, ასევე ის დრო იყო, როდესაც იქ არ იღებდნენ, ვთქვათ, ებრაელებს რომ არაფერი ვთქვათ ზანგებზე. უბრალო სამართლიანობის გრძნობის გამო არავინ მოიკლავს თავს იმისათვის, რომ ასეთი შეუწყნარებლობა დღეს მოდური აღარ არის. მაგრამ, ეგებ ღირდეს, ვცდილიყავით, შეგვენარჩუნებინა მემკვიდრეობითი პრინციპი უფრო ადამიანური ასპექტებით: ნამუსიანად გვეღიარებინა, რომ დაბადება და აღზრდა ხელს უწყობს ხასიათისა და უნარის ჩამოყალიბებას და, მამასადამე, განდომებს, უფრო სათუთად ეკიდებოდე პირად და ოჯახურ ღირსებას. ამის შედეგად ჩვენ მივიღებდით არა უბრალოდ თავის მართლების მოსახერხებელ შესაძლებლობას ცხოვრებისეული უიღბლობის ასახსნელად, არამედ



საზოგადოებასაც, რომელშიც ნებისმიერი კლასის ოჯახები ნამდვილად დიდი პატივისცემით სარგებლობენ, დაასკვნის დასასრულ „**Spectator**“-ი.

# ევროპა იაფდება

ევროს სისუსტეს შედეგად მოჰყვა ის, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროპის ერთიანი ვალუტის მოქმედების ზონაში შედიან, ცხოვრების ღირებულება საგრძნობლად შემცირდა; ახლა, ვთქვათ მიუნხენში; შეგიძლია იცხოვრო იგივე ფულით, რაც კაიროსა თუ აბიჯანში.

**მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების ათეული**

1. ტოკიო
2. ოსაკა
3. სიანგანი
4. ტაშკენტი
5. ოსლო
6. ლონდონი
7. ლიბრევილი
8. ტაიბეი
9. ციურიხი
10. რეიკიავიკი

გარდა ამისა, შედარებით იაფია ცხოვრება დღეს დუბლინსა და ლაგოსში, ხოლო კონტინენტური ევროპის მეტ წილ ქალაქებში სუსტმა ევრომ მნიშვნელოვნად დასცა ფასების დონე. პარიზი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში ყველაზე ძვირი ქალაქი იყო ევრო-ზონაში, დღეს მე-12 ადგილზეა მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების სიაში, ხოლო ერთი წლის წინათ იგი მეშვიდე იყო.

ლონდონი ამ ცხრილიდან შარშანდელი მეცხრე ადგილიდან გადავიდა მეექვსეზე: ამრიგად, იგი საცხოვრებლად ყველაზე ძვირი ქალაქია ევროპის კავშირში. ექსპერტები ბრიტანეთის დედაქალაქის მცხოვრებთათვის არცთუ სასიამოვნო რეიტინგის აწევას უკავშირებენ გირვანქა სტერლინგის ძლიერ პოზიციებს.

მაგრამ მსოფლიოს ყველაზე ძვირ ქალაქად რჩება ტოკიო: აქ ცხოვრება ღირს 65 პროცენტით მეტი, ვიდრე ნიუ-იორკში, რომლის ფასების დონეც ნულოვან ნიშნულად არის აღებული.

**მსოფლიოს ყველაზე იაფი ქალაქების ათეული**

1. თეირანი
2. დელი
3. კიტო
4. მუმბაი
5. ყარაჩი
6. ბუქარესტი
7. მანილა
8. კიევი
9. ბუდაპეშტი
10. ჰარარე

გამოკვლევის ავტორები მსოფლიოს 127 ქვეყნის ქალაქებში საქონლისა და მომსახურების ფასებს ერთმანეთს ადარებენ, რათა კერძო კომპანიებსა და მთავრობებს შესაძლებლობა მისცენ, გამოიანგარიშონ იმ თანამშრომელთა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა ხარჯი, რომლებიც საზღვარგარეთ იგზავნებიან სამუშაოდ.

# მომაკვდინებელი ვირუსი უტევს ნიუ-იორკს

**70 წლის ნიუ-იორკის მოქალაქის სიკვდილმა ნამდვილი პანიკა დასცა ეპიდემიოლოგ ექიმებს. საქმე ის არის, რომ პაციენტის გამოკვლევის შემდეგ გამოვლინდა ნილ ვირუსის სიმპტომების გიგანტური ნიშნები, რომელიც ნამდვილ კატასტროფად მოევლინა ნიუ-იორკს.**

კაცი, რომელმაც ექიმს მიმართა შეუძლობის გამო, უეცრად გარდაიცვალა გუშინ ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლინიკაში. იგი უჩიოდა ძლიერ თავის ტკივილს, აციებდა, და დაკარგული ჰქონდა სივრცეში ორიენტაცია. ექიმების აზრით, მას შეემჩნეოდა ნილ ვირუსის ყველა სიმპტომი. შეგახსენებთ, რომ ეს ვირუსი მხოლოდ შარშან იქნა აღმოჩენილი. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ნილ ვირუსი ერთი ადამიანისაგან მეორეზე გადადის იმ მწერების ნაკბენით, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ ავადმყოფ ფრინველებთან ან ცხოველებთან. ადამიანისათვის ვირუსი მომაკვდინებელია — იგი სისხლში მოხვედრიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ იწვევს ტვინის მძიმე დაავადებებს, ისეთებს, როგორიც არის ენცეფალიტი და მენინგიტი. გასულ წელს ნიუ-იორკის შვიდი მცხოვრები დაიღუპა ნილ ვირუსისაგან, ხოლო სამი ათასზე მეტი კაცი ინფიცირებული აღმოჩნდა. ექიმების აზრით, ვირუსს შეუძლია განიცადოს მუტაცია და გამოიწვიოს არა მარტო ტვინის, არამედ აგრეთვე, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი.

რისკის ჯგუფში, უწინარესად, შედიან ბავშვები და ხანდაზმული ადამიანები, რომელთა ორგანიზმი, ასაკობრივი მიზეზის გამო კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება. ექიმები აფრთხილებენ ყველას, ვინც წყალსატევების მახლობლად ცხოვრობს, მოერიდონ მწერებს. უახლოეს ხანს ნიუ-იორკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები შეუდგებიან ქალაქის შენობებისათვის ქიმიური პრეპარატების შესხურებას. მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი არ არის დარწმუნებული, რომ შხამის შარშანდელი შეღვენილობა ამჯერადაც გაჭრის, ვინაიდან კოღოებს შეეძლოთ, განეცადათ ადაპტაცია.

წელს ეპიდემიოლოგებმა აღმოაჩინეს 25 ნილ ვირუსის მატარებელი ფრინველი. პირველად ამ ვირუსის ამბავი, რომელიც უგანდის ერთ-ერთი რაიონის სახელს ატარებს, ცნობილი გახდა 1937 წელს. ჯერჯერობით არავინ იცის, როგორ მოხვდა ვირუსი ნიუ-იორკში, მაგრამ არის ვარაუდი, რომ იგი შემოიტანეს ეგზოტიკურმა ფრინველებმა, რომლებიც დიდი რაოდენობით ჩამოჰყავთ ზოომაღაზიებს, ანდა ვირუსის წყარო გახდა აფრიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ან ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული ვირუსმატარებელი ადამიანი.

ნელ კოხენმა, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის კომისარმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა, რომ გარდაცვლილი მამაკაცის ანალიზის საბოლოო შედეგები რამდენიმე დღეში დადგინდება. ქალაქის მერმა რუდოლფო ჯულიანიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ხელისუფალნი მზად არიან ყოველგვარი ხარჯებისათვის, ოღონდ არ განმეორდეს შარშანდელი ტრაგედია. მერმა მეცნიერებსა და ეპიდემიოლოგებს სთხოვა, რაც შეიძლება მალე დაადგინონ ყველაფერი ნილ ვირუსთან დაკავშირებით და გამონახონ მასთან ბრძოლის რადიკალური საშუალება.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

*არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.*

მემკვიდრეობა

## წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა.
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!“

**... თითქოსდა პირველად წავიკითხე რუსთაველის უკვდავი პოემის ეს სტროფი...**

**ნ. ღ.**

**2000 წელი, ზაფხული.**

# ნანა ღვინეფაძე

# ანაბეჭდები გულის ფიცრიდან





ემირ ბურჯანაძის ნახატები.

პორტრეტი

# ავერსი და რევერსი

ცნობილია, რომ მედალს, გნებავთ მონეტას, ორი მხარე აქვს — წაღმა და უკუღმა (ზედაპირი და უკანასტარი) — ეს იგივეა, რაც საყოველთაოდ გავრცელებული ავერსი და რევერსი!

... შემოქმედის ბუნებაც ორმხრივია, — ასეთი აზრი დაგეუფლებათ მოქანდაკე თემო ნაცვლიშვილის სახელოსნოშიც — მისი სამყარო არა მარტო აწმყოშია, არამედ წარსულშიც. შორიდან მოდიან მისი გმირები, შორეული წლების გალეიძებას ჰგავს თაროებზე განლაგებული ფიგურები — ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი; საბა ზის, მეფე კი დგას.

— ეს მოწიწებაა აღმზრდელის წინაშე...

ეთიკა ქანდაკებაში განსხეულებული.

უფროს-უმცროსობის ტრადიციულ ეთიკას განსაკუთრებით უსვამს ხაზს მოქანდაკე, რადგან მასშიც ქართველური ბუნების საჩინო ნიშანი სწორედ უაღრესი კრძალულება და თავმდაბლობაა.

სულხან-საბა ორბელიანი ერთი იმ წინაპართაგანია, ვისადმი თაყვანისცემაც ჭაბუკობაშივე გამოხატა თემო ნაცვლიშვილმა — ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც პირველად გამოაქანდაკა მან დიდი ქართველი განმანათლებელი. დედანი სულხან-საბა ორბელიანის ფიგურისა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია, ასლები ამბროლაურსა და ზესტაფონში.

პირვანდელ ქმნილებათა შორის არის კოტე მარჯანიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის ქანდაკებათა ესკიზები: ნაცვლიშვილისეულმა კოტე მარჯანიშვილის ფიგურამ ყვარელსა და ქუთაისში დაიდო ბინა, ფალიაშვილისა კი კომპოზიტორის სახლ-მუზეუმშია (თბილისი). 50-იან წლებშივე შეუქმნია ლადო მესხიშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის ფიგურებიც, აგრეთვე, ილიას ბიუსტი.

თუ როგორ არის მიჯაჭვული წარსულზე შემოქმედი, ამის თვალსაჩინო მაგალითია გიორგი სააკაძის ძეგლისათვის გამიზნული არაერთი ესკიზი. მაგრამ იმავე 50-იან წლებში ძერწავს იგი სტალინის პორტრეტს („გენერალისიმუსი“), ცოტა მოგვიანებით — სტალინს 900-იან წლებში, (1960 წ.); და ისევ გიორგი სააკაძე — ცხენზე ამხედრებული ფიგურა დიდი მოურავისა (ესკიზი ძეგლისათვის), გიორგი სააკაძე — ნახევარფიგურა (ესეც საძეგლედ)... სააკაძე და სააკაძე ზეზეური, ხმალზე დაყრდნობილი სარდლის ესკიზი 1958 წელს კონკურსშიც კი გაიმარჯვებს...

.. იქნებ აქაც ისეთივე ფარული პარალელია, რასაც მე „ვხედავდი“ ამ ორ სახელგანთქმულ და ტრაგიკულ პიროვნებას შორის, რომელთა ბედი თუ უბედობა, ქართველობა, ანუ საქართველოში დაბადება იყო, მაგრამ არც ერთს არ ეწერა საქართველოში სიკვდილი...

ვარიაციები გიორგი სააკაძის თემაზე გრაფიკულ ფურცლებშიც მეორდება 70-80-იან და აქეთ, 90-იან წლებშიც. — ესენია ჩანახატები სერიიდან „წინაპრები“.

დიახ, სწორედ ასეა, თითქოს ხელოვანის სულიერი მშობლები არიან ჩვენი დიდი წინაპრები, მეფეები ფარსმანი, ფარნავაზი, მირიანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ანდა წმინდა ნინო (ჯერ კიდევ 1973 წელს საქართველოს საპატრიარქოს გალავნის ფრონტონში გამოკვეთილი რელიეფი), იოანე პეტრიწი, რუსთაველი, თეიდორე ბერი, ცოტნე დადიანი, პეტრე იბერი და უფრო ახლოს მიხეილ თამარაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ფიროსმანი... ბოლო ხანებში შექმნილი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდი დაძაბული ექსპრესიის მქონე მიჯაჭვულ ამირანს — აწყვეტას რომ ლამობს!

ყოველი ფიგურა ავტორისათვის ცოცხალი პიროვნებაა, ცოცხალი ე.ი. მეტყველიც! ეს იგრძნობა პლასტიკაში, დრაპირებაში, ორიგინალურად გადაწყვეტილ კომპოზიციაში, როდესაც ქანდაკების განზომილება ზოგჯერ ჯვრისებურია — ასეთია კერძოდ, იაკობ ცურტაველის ფიგურა (80-იანი წლების ესკიზი), ეტრატი რომ უპყრია ორთავ ხელით. თითქოსდა უფალს ავედრებს თავის მოწამებრივ ნაღვაწს, მირიანის ზეზეურ ქანდაკებაშიც ჯვრული გამოსახულება იკითხება, ასევეა გააზრებული თამარაშვილის ორთავე ფიგურა (ზეზეური და ლოცვად მუხლმოყრილი).

.. ვინ უნდა იყოს ფიქრებში ჩაძირული, კაცი მუხლებზე გაშლილი ეტრატითა და ჯვარსატევარით? — ქართლის ცხოვრების მემატიანე ლეონტი მროველი გახლავთ იგი.

აქ მთელი სერიაა „ჰაგიოგრაფიული“ ქანდაკება — ესკიზებისა თუ მედალიონებისა — დედოფალ შუშანიკის, არსენ იყალთოელის, გრიგოლ ბაკურიანის (პეტრიწონის 900 წლისთავისადმი მიძღვნილი მედალიონი) წმინდა ცხოვრებით შთაგონებული ქმნილებები.

თემო ნაცვლიშვილის ოცნებაა ესკიზების მასალაში განხორციელება, თუმცა, მის გმირთა გალერეა მცირე მოცულობაშიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ექსპრესიით, დრამატიზმით, ლირიზმით. მის სახელოსნოში საქართველოს ისტორია ქანდაკებაში გარდასახულა!

ამ ნამუშევრების უმრავლესობა გამოფენებზეც ყოფილა, მაგრამ ხელოვანი მაინც ემდურის თავის ყისმათს — ყოველი ქანდაკება შვილივით საყვარელია, ზოგიერთი მათგანი კი სახელოსნოს კედლებს არც გასცილებია, თუნდაც ფარნავაზისა, თუნდაც მირიანისა...

**პარადოქსი:** არც თბილისში, არც სადმე საქართველოში მისი ნაქანდაკარი არ დგას!

მაგრამ წლევანდელი წელიწადი ხომ შემოქმედისთვის საიუბილეოა — ეს კი ვრცელი გამოფენის საბაბიც არის.

ბოლოხანს სამედალო ხელოვნებამ გაიტაცა: „რუსთაველი-800“, „თბილისი-1500“, „ილია“, „ბეთჰოვენი“, „მიხაი ზიჩი“. დრამატიზმით არის განმსჭვალული დიდგორის, ვარძიის, ცურტაველისა და შუშანიკისადმი, მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი მედალიონები.

**ავერსი:** პორტრეტი;

**რევერსი:** ბედისწერის ნიშანი — დამეხილი მუხა — ასეა გადაწყვეტილი 1937 წლის რეპრესიების ერთ-ერთი მსხვერპლის, დიდი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის ალეგორიული მედალიონი. ხანჯლის წვერს გაუფატრავს გეორგიევსკის ტრაქტატი — ეს ქვეტექსტია, — იგივე რევერსი...

ალეგორიას, სიმბოლიკას ხშირად მიმართავს მხატვარი — ასეთებია მისი გამოქანდაკებული ფიგურები — „გაზაფხული“ (ქალის გამოსახულება), „ჯაგანი“, „კახეთი“, „დედაენა“, „ადგილის დედა“, „კარიატიდები“, „ბროწეულები“.

ხელოვანის სული შეძრა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შედეგად ბუდეამლილ ადამიანთა ხვედრმა, რაც აისახა უპირველესად, მედალიონში „9 აპრილი“ (1989 წ.); „სასოწარკვეთაში“ და „გოდებაში“ (ალეგორიული კომპოზიციები 1994-95 წლები); ესკიზებში „განაწირი“ (1997-98 წ.); „შინ დაბრუნების მოლოდინში“ — (ლტოლვილი, 1998 წ.); „აფხაზეთი“ — ქალის მავედრებელი ფიგურა (1999 წ.). მოწყვეტილი კაპიტელის სიმძიმისაგან ჩამუხლული კარიატიდა — საქართველოს სიმძიმე დედაკაცის მხრებზე...

თემო ნაცვლიშვილი ჭირისუფალია ყველა შინმოუსვლელისა — ამაზე მეტყველებენ საქართველოში თუ მიღმა გაფანტული მისეული მემორიალები, ამავე ციკლს მიეკუთვნება „გამოთხოვება“. დედა-შვილობის ამ თემასაც არაერთხელ უბრუნდება ხელოვანი. ჭირისუფლობის გამომხატველია ისიც, რომ მისი ქმნილებების ნუსხაში შეხვდებით თანამოქალაქეთა საფლავებზე დადგმულ ქანდაკებას, ჩანს, სასაფლაოს გარემო შემთხვევითი სამყარო არ არის თემო ნაცვლიშვილისათვის — იგი ეკლესიური კაცია და სწამს, რომ თავისი ხელოვნებით ახანგრძლივებს წუთისოფლიდან წასულ ადამიანთა ხსოვნას.

... ღიმილით იხსენებს ბავშვობისდროინდელ ეპიზოდს, როცა ნათლიას დაჰყავდა ხოლმე ეკლესიაში.

მომწონდა ის იდუმალება, გალობა... ერთხელ აღსარებაზეც მიმიყვანა მღვდელთან. მან ოლარი გადამაფარა და მეც გულწრფელად ვპასუხობდი შეკითხვებზე. ღვინო რომ გამომიწოდა, კოვზის ნაცვლად თასს მივწვდი და უმალ მივხვდი ჩემს შეცდომას... ძალიან შევცოდეო, ვკითხე... მღვდელმა ჩემი უხერხულობა რომ გაუფანტა, დამიყვავა:

— არა, შვილო, გწყურებიაო...

... წყურვილია მთელი მისი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა!

წყურვილივითაა უფროსი ძმის, ნიჭიერი მხატვრის სანდრო ნაცვლიშვილის, მონატრებაც, მის პიროვნებაზე და შემოქმედებაზე საუბარიც.

სანდროს დაღუპვის შემდეგ ერთხანს სულიერი ტკივილების მოსაშუშებლად ბეთანიისთვის შეუფარებია თავი. მას აქეთ ბეთანია მის სულიერ სავანედ იქცა... ძმის — სანდრო ნაცვლიშვილის სამყაროსთან არგანშორების სივრცედ.

სასოებით უფრთხილდება იმ ნახატებს, რაც სანდროს მემკვიდრეობიდან გადარჩა. ძალზე კარგი გრაფიკოსი იყოო, მხატვრობის ანბანიც მან შემასწავლა და საერთოდ, ის იყოო ჩემი ყიბლარი — კომპასი... ქანდაკების ფაკულტეტზეც მისი რჩევით შესულა და ნიკოლოზ კანდელაკის ხელმძღვანელობით დაამთავრა სამხატვრო აკადემია 1951 წელს.

1954 წელს კი სანდრო გარდაიცვალა.

— იგი, როგორც მხატვარი, რუსთავის აღმშენებლობის მემატიანედ იქცა. — ძილში ულალატაო გულმა... დარჩაო სხვაც ბევრი საინტერესო ქმნილება, ოფორტები (თვეები), „ძველი თბილისის ხედები“, „შემოდგომის მოტივი“. ძალზე იზიდავდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები — ატენის სიონი, გრემის მთავარანგელოზი, რომელიც ახლოს იყო ჩვენს სოფელთან — ენისელთან და ხშირად დადიოდა ჩასახატავად ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში. მეც დავყავდი ხოლმე — ნახე, ნახე, შენ ახალი თვალით შეხედავო — იცოდა თქმა...

**ირიბი დამატება:** ისევ კარიატიდას და პენელოპეს მივაპყრე თვალი, ეს მოტივი საბერძნეთში მოგზაურობის შემდეგ შემოჭრილა მის შემოქმედებაში, გრაფიკულ ფურცლებშიც აისახა. ერთად ვიმოგზაურეთ, ერთად მოვიარეთ ეს საოცრებათა ქვეყანა 1977 წელს; კუნძულ კრეტაზეც ვიყავით და ანტიკური ხანის სასახლეთა ნანგრევების შემდეგ არკადიის ქრისტიანულ მონასტერში რომ მოვხვდით, თითქოსდა საკუთარ სახლში ვიგრძენით თავი, ფიქრებში ჩავიძირეთ. უბად მომილექსა რაღაცა... იქვე, გვერდით მდგარა...

ჩემი ლექსების პირველი წიგნი — „მთაო“ გამომიტანა სამუშაო ოთახიდან, სურათები ჩაედო შიგ და ის ექსპრომტი, რომელიც ბუნდოვნადღა მახსოვდა:

**„მზის ვარაყი მოყვებოდა**
**სარკმელს,**
**თვალთა კვესით**
**ვაკვესებდით სათქმელს.**
**ტაძრის ზღურბლზე**
**ჩამუხლული ზრდილი,**
**ღვთისმშობელის**
**გამოხედვა შვილი,**
**— როს გარეცილ**
**ბიზანტიურ ხატზე**
**ლოცულობდა**
**ნანა ღვინეფაძე“.**

... ათენში ჩაუწერია ეს მუნასიბი და შემოუნახავს აქამდე...

— მამ, ლექსებსაც წერდით?

— ვწერ კიდეც, ეს ის სინათლეა, გვირაბის ბოლოში რომ ჩანს, ხანდახან იქნებ ავადმყოფობაც, მაგრამ ამით ვიბრუნებ სულს. ოღონდ ჩემს მეტმა არავინ იცის...

ცოტა იცრუა — აი, ჩემი მუზაო — ასე გამაცნო მეუღლე, ქალბატონი ეთერი. ... ხელოვანის სიცრუეც „ეპატიება“.

... მარტო სიყვარულზე როდი ვწერდი, ხანდახან ჩვენს ყოფაზეც დამიწერია, მაგრამ მარტო მე ვთბები მათით — არ გამამხილოთ, ვინმეს პოეტი არ ვეგონოო...

მაგრამ, ჟურნალისტებს საიდუმლოს გამხელა არ გვეძრახება — ვიცი, მომიტევებს... ესეც ხომ თემო ნაცვლიშვილის შემოქმედებითი პორტრეტის რევერსია...

**2000 წლის თიბათვის 30.**



**P. S. 19-ში თქვენი დაბადების დღე იყო ბატონო თემო, გილოცავთ!**

**იმავ დღეს შედგა თქვენი ახალი კატალოგის პრეზენტაცია სურათების ეროვნულ გალერეაში გამართულ წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე, — რაც ვაჟის — პაატა ნაცვლიშვილის მოულოდნელი საჩუქარი აღმოჩნდა, საკუთარ გამომცემლობაში განხორციელებული (ტექსტი თამარ ტვილდიანის).**
**— პაატას მამააო, — ასე აცნობენ ხშირად მის პიროვნებას უცხოს. მერე უბოდიშებენ, — ხომ არ გწყინს, ასე რომ ვამბობთო...**

**— პირიქით, მიხარია... და ლექსად ამბობს:**

**„ამაღლებულხარ მთებზე,**
**სამდურავი არ გეთქმის.**
**გამორჩეულო სხვებზე,**
**სულ სხვა ცხოვრება გელტვის.**
**გადაიარე ჩემზე — მე ხომ ხიდი ვარ შენთვის!“**

**... აი, მამა-შვილობის მადლი და ვალი...**

**ნ. ღ.**





*სურათებზე: თემო ნაცვლიშვილი სახელოსნოში; იაკობ ცურტაველი, 1985 წ.; ვაჟა-ფშაველა, 1964 წ.*

ღვაწლი

ერთი ლამაზი დღე...

ასე შეიძლება ვუწოდოთ იმ ღირსსახსოვარ დღეს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ირაკლი ჭუმბურიძის** დაბადებიდან 80 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

ამ დღის ავტორები იყვნენ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თერაპიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს თერაპევტთა და კარდიოლოგთა საზოგადოებები.

დარბაზი აივსო ბატონ ირაკლის უდიდესი ღვაწლის დამფასებლებითა და თანამდგომელებით. რამდენი კეთილი სიტყვა წარმოითქვა, რამდენი მოგონება გაცოცხლდა მაისის იმ დღეს და, თუმცა, ამ მოვლენას უკვე ხანი გვაშორებს, ლამაზი დღის გახსენება არასდროს არ არის გვიანი, რადგან როგორც მთავარმა მომხსენებელმა, პროფესორმა დიმიტრი ცისკარიშვილმა ბრძანა, „იუბილარი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება ფაქტებითაც მდიდარია და შინაარსითაც სისხლსავსე“.

# მაგალითი მამულიშვილობისა



ეს იყო ვრცელი, გულითადი და საინტერესო მოსასმენი მოთხრობა ადამიანზე, რომლის ნიჭიერი ცხოვრებაც მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

ირაკლი ჭუმბურიძის მამა თეიმურაზ ჭუმბურიძე ცნობილი მოღვაწე გახლდათ ქუთაისში — პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი. დედა — ბაბო ხუნდაძე, ასევე, პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა წლების მანძილზე. ბატონ ირაკლის საამაყოდ აქვს განსაკუთრებით ის ამბავი, რომ მამამისი — თეიმურაზი შალვა ნუცუბიძესა და დავით კანდელაკთან ერთად ქუთაისის პირველი უმაღლესი სასწავლებლის — პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების თაოსანი იყო და ამ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. დღეს განათლების ეს კერა, უკვე უნივერსიტეტად წოდებული, არ ივიწყებს ფუძემდებელთა სახელებს.

მომხსენებელმა გააცნო საზოგადოებას ის გარემო, რომელშიც ბავშვობა და ყრმობა გაატარა ირაკლი ჭუმბურიძემ: დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, შალვა ნუცუბიძე, სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, დავით ჩხეიძე (დია ჩიანელი), დავით კანდელაკი — ის მეცნიერები და მოღვაწეები არიან, ვინც მამამისის ხშირი სტუმრები იყვნენ, — მათი პიროვნული ღირსებები, მათი კეთილშობილური სწრაფვა უკეთესი მომავლისათვის სამუდამოდ აღიბეჭდა ყმაწვილის მეხსიერებაში და აკი შეისხა კიდეც ხორცი მოგონებათა ჩინებულ წიგნში, რომელიც თავის საიუბილეოდ გამოსცა ირაკლი ჭუმბურიძემ სათაურით „ბრძოლა, ძიება, არჩევანი“.

ამ წიგნს უმალ გამოეხმაურა პრესა და მაღალი შეფასებაც მისცა — ეს ქართული მემუარული ლიტერატურის საყურადღებო ნიმუშია.

ირაკლი ჭუმბურიძის ცხოვრება როდი შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მოღვაწეობით, მას 1940 წელს არმიაში იწვევენ და დღიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა, მებრძოლთა მხარდამხარაა — მათი სიცოცხლის გადარჩენისთვის იღვწის. თავად სიკვდილს გადაურჩა ქერჩთან, მაგრამ ტყვედ ჩავარდა და რუმინეთის საკონცენტრაციო ბანაკში ხვდება, საიდანაც 1944 წელს დაუღწევია თავი, რის შემდეგაც მოქმედ არმიაშია და რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიებზე გამართულ ბრძოლებში მონაწილეობს, როგორც სამედიცინო ასეულის მეთაური.

არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1946 წლიდან კი იწყება ახალი ხანა ირაკლი ჭუმბურიძის ცხოვრებაში — თუ ფრონტული წეხი სხვადასხვა სამედიცინო დახმარების გაწევას მოითხოვდა, ახლა ახალგაზრდა კაცი არჩევანის წინაშე დადგა — მას გულის ფენომენი იტაცებდა და გადადგა კიდეც საამისო ნაბიჯი: — 1946 წელს განთქმული კარდიოლოგის, მიხეილ წინამძღვრიშვილის წინაშე აღმოჩნდა — ახლადშექმნილ კარდიოლოგიურ ინსტიტუტში.

„ბატონი ირაკლი შემდეგ ბევრჯერ გვიყვებოდა და თავის წიგნებშიც აღნიშნავდა, თუ როგორ შევიდა იგი გაცრეცილი საფრონტო ფარაჯით თავის მომავალ მასწავლებელთან, რა გულისხმიერება გამოიჩინა მისადმი ამ უკანასკნელმა და როგორ მიიღო იგი თავის ინსტიტუტში“, ესეც ბატონმა ცისკარიშვილმა უამბო დამსწრეთ. იქ ჩამოყალიბდა იგი, როგორც კლინიცისტი, იქვე შეასრულაო საკანდიდატო დისერტაცია იმ დროისათვის ერთობ აქტუალურ — გულის მუშაობის ქერქული რეგულაციის საკითხებზე.

შემდეგი ნათელი წლებია თერაპიის ახლადჩამოყალიბებულ ინსტიტუტში ამ ინსტიტუტის დამაარსებელთან — პროფესორ ნოდარ ყიფშიძესთან ერთად მოღვაწეობა, სადაც სამეცნიერო კვლევასთან ერთად დიდ დროს უთმობს ახალგაზრდობის აღზრდას.

250 სამეცნიერო შრომის (თერაპია, კარდიოლოგია), 12 მონოგრაფიის ავტორია ბატონი ირაკლი. მათ შორის მომხსენებელმა გამოჰყო „კლინიკური ელექტროკარდიოგრაფია“ (1962 წ.) ერთ-ერთი პირველი საქართველოში; იმ დროისათვის სამაგიდო წიგნად ქცეულა გულის მკურნალთათვის „მიოკარდიუმის ინფარქტი და მისი მკურნალობა“. ამიტომაც ხელმეორედ 1990 წელს გამოსცეს შევსებული და გადამუშავებული სახით და მას ორი ავტორი ჰყავს: ნოდარ ყიფშიძე და ირაკლი ჭუმბურიძე, განმეორებით გამოუციათ განახლებული და ილუსტრირებული „კლინიკური ელექტროკარდიოგრაფიაც“.

ირაკლი ჭუმბურიძის ღვაწლი ცნობილია უცხოეთშიც: მას იწვევდნენ გამოცდილების გასაზიარებლად თერაპევტთა და კარდიოგრაფთა ყრილობებზე და კონგრესებზე მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევში, კაუნასში, პრაღაში, ლაიფციგში, ვაშინგტონში. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტი, მონაწილეობდა მონღოლეთში, კერძოდ, ულანბატორში კარდიოლოგიური ცენტრის დაარსებაში და მისი ამაგი საერთაშორისო მასშტაბითაც აღიარეს ჟენევაში.

ახლა საზოგადოებრივი ღვაწლი, — მარტო ისიც კმარა, რომ საქართველოს სამედიცინო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელია და 1994 წელს ამ აკადემიის აკადემიკოსადაც აირჩიეს!

ღირსეულ პიროვნებას ღირსების ორდენიც მიეგო თავისი ხანგრძლივი და უანგარო ღვაწლის წილ 1997 წელს.

...ამ გრძელ გზაზე იგი ერთგულეს მეგობართან, ქალბატონ რუსუდან ბერიძესთან — თავის დარგში, ბოტანიკაში ერთ-ერთ ცნობილ და ამაგდარ მეცნიერთან ერთად მოდის მუხლჩაუხრელად. ქ-ნ რუსუდანის წყალობით გაუცვნიათ გერმანელებს ქართული ხორბლის იშვიათი ჯიშები და დაინტერესებულან კიდეც — ასე რომ, ორივე ცოლ-ქმარი საშვილიშვილო საქმის აღმსრულებელია!

მიუხედავად ასაკისა, ბატონი ირაკლი მხნეობს. აქვს კიდეც ამის საბაბი: უფროსი ვაჟი — თეიმურაზი მისი კოლეგაა და მხარს უმშვენებს თავის მოსახელე შვილიშვილი.

— როგორი აზრისაა ირაკლი ჭუმბურიძეზე ახალი თაობა?

აი, რაოდენ ამაღლებული განცდა დაუფლებია პირველივე შეხვედრისას თბილისის დამოუკიდებელი სამედიცინო ინსტიტუტის „ცოდნის“ სტუდენტს თეა ქარელს:

„ლექცია დაიწყო და რაც მე იმ წუთებში ვიგრძენი, მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია — ჩვენს წინ, მართლაც და ბედის წყალობით, ჭეშმარიტად დიდებული პიროვნება იდგა — ბატონი ირაკლი ჭუმბურიძე. ემენბახს უთქვამს: „ერთი სიტყვა გადაგვიხსნის ხშირად ხოლმე მთელს სიღრმეს გულისას, მთელს ღონეს გულისას“ და მეც მოჯადოებული, სულის შეკრამდის ვუსმენდი ერთი შეხედვითვე მესაცნობ თეთრი ხალათით შემოსილ პიროვნებას. შესვენებისას არც გამოვსულვარ, ბატონი ირაკლის კაბინეტის კედლებზე მოწიწებით და დიდი სიამაყით გაკრულ სურათებზე შევაჩერე მზერა და აჰ, სურათი ჩვენი წინაპარი მამულიშვილებისა ამავე უნივერსიტეტის ეზოში გადაღებული და მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რომ ბატონი ირაკლი სწორედ წინაპართა სურვილების განხორციელებისათვის, ქართველური ბუნებისა და ადათ-წესების დაცვისათვის მებრძოლი პიროვნებაა“...

...ასე იდრეკს ქედს მის წინაშე ახალი თაობა!

**საგულისხმო ფაქტი:** ირაკლი ჭუმბურიძის საღამო დაამშვენა ქართულმა საგალობლებმა და ესეც ნიშანდობლივი იყო, რადგან გურულ-იმერული სიმღერა-საგალობლების შესანიშნავი მცოდნის, მისი ბაბუის, რაჟდენ ხუნდაძის ჩანაწერების მეოხებით გადარჩა მათი უმრავლესობა.

**სურათზე: ირაკლი ჭუმბურიძეს ულოცავს მისი სიყრმის მეგობარი, ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე.**

წიგნის თარო

# „ზმანება ბასიანთან“

გამომცემლობა „სამშობლომ“ გამოსცა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატის, პროფესორ დევი სტურუას რჩეული წერილების კრებული „ზმანება ბასიანთან“. ეს ისტორიული მოთხრობა „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა და მკითხველთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. წიგნის რედაქტორები არიან აკაკი თოფურია და არტემ აკოფოვი.

კრებული შედგება 8 განყოფილებისაგან; პირველში ხსენებული მოთხრობაა დაბეჭდილი, მას მოსდევს თავები: „ვიდრე თორმეტმა არ დაჰკრა!“ (საკითხები, პრობლემები), „დიდი თარიღები“; „მომივლინე შენი ხატი“ (რეცენზიები მეცნიერულ ნაშრომებსა და მხატვრულ ნაწარმოებებზე); „პორტრეტები“; პოლემიკური ხასიათის წერილებია გამოქვეყნებული თავში „არა ცილი სწამო“, რომელშიც ჩანს ავტორისეული ტაქტი და ზომიერი კამათის ჩვევა. ძველი ჩანაწერებიდან ერთი ინტიმური წერილი და ერთი ჩანახატი „ზანგო“ გაუხსენებია ავტორს — ორივეს ფონი ლიკანია — ზანგო პარკში „გაცნობილი“ შავი ლეკვისთვის შეურქმევია, რომელსაც ადამიანივით ელაპარაკება და განშორებისას სინანულით ეთხოვება. ეს პატარა და საყვარელი ლეკვი ზანგო კი „იდგა სევდიანი, ოდნავ დაბრძენებული, როგორც ბრძენდება ყველა ის, ვისაც პირველად ღალატობენ“.

ასეთი ფსიქოლოგიური პასაჟით მთავრდება ეს მშვენიერი ჩანახატი.

ბოლოშია დართული „წერილები თვით ამ წიგნის ავტორის შესახებ“. აქ დაბეჭდილია პროფესორ იური ბიბილეიშვილის, ნინო დეკანოიძის, თენგიზ გამყრელიძის, სოფიო გველესიანის, გიორგი მარგველაშვილის რეცენზიები. მესიამოვნა, რომ ჩემი რეცენზიაც აღმოჩნდა აქ — „ორი წიგნი ზედიზედ“, 1998 წლის დეკემბერში რომ დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ეხებოდა კრებულებს „ნოსტალგია“ და „Испытание высотой“. ჩემი ხელკეთილობითაც უნდა დავიტრაბახო —




1999 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ სწორედ ამ პუბლიცისტური კრებულებისთვის მიანიჭა დევი სტურუას ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია, რამაც მისცა მას მესამე წიგნის გამოცემის სტიმულიც და შესაძლებლობაც. აქვე აღვნიშნავ, რომ ავტორი კრებულს უძღვნის ცოლს, მეგობარსა და თანამოდარდეს — მაყვალა ილურიძე-სტურუას.

ამ საინტერესო წიგნის ტირაჟი სულ სამასიოდე ცალია, თუმცა, დღევანდელ დღეს ქართველი მწერლისა და ჟურნალისტისთვის ესეც დიდი რამ არის!

# სპორტი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 196. შაბათი, 22 ივლისი, 2000 წელი.


## მკლავჭიდი

# ძალა ერთობაშია

შარშან შექმნილი საქართველოს მკლავჭიდელთა ახალგაზრდული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი — როინ ნოზაძე) ახლახან საერთაშორისო სარბიელზეც გამოჩნდა და მერე როგორ — სტამბოლში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ჩვენმა თანამემამულეებმა გუნდური მეორე ადგილი და შვიდი მედალი (2 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“, 3 „ბრინჯაო“) მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ჯაბა გეთიაშვილი (65 კგ) და გიორგი უბილავა (72 კგ), საპრიზო ადგილები კი დავით დავითაშვილმა, ალეკო ფრეწუაშვილმა, სოსო იმერლიშვილმა და დავით ყაზახაშვილმა დაიკავეს. საამაყოა, რომ ქართული მკლავჭიდის მესაძირკვლეების ვახტანგ მუსელიანის, თენგიზ კარბელაშვილისა და იონა



ჯაბა გეთიაშვილი.




გიორგი უბილავა.

ტოლიაშვილის ჩაყრილი ნერგი ასე ბარაქიანად ხარობს და ახალ-ახალი მიღწევებით იხუნძლება, ჩაროზად კი ერთ სამაგალითო ფაქტს მოგაწვდით: თურქეთში ორი ჩვენი სპორტსმენის გამგზავრება შესაძლებელი გახდა მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის ედვარდ სურმანიძისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის თანადგომით.

**ნუგზარ რაჭველიშვილი.**

## რაგბი

# ტაიმ-აუტს ვაჟკაცებიც იღებენ

ქართველ მორაგბეებს საზაფხულო არდადეგები დაეწყოთ. სეზონის საშუალედო ფინიშზე გამართულ ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩს „ლოკომოტივი“ — თსუ ვარკეთილის სტადიონმა უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, რკინიგზელებს არ გასჭირვებიათ მეტოქის დამარცხება — 26:16, თუმცა მათი მწვრთნელი **თემურ ბენდიაშვილი** შეხვედრის შემდეგ ძნელი დასაწყნარებელი გახლდათ: თამაშით უკმაყოფილო ვარ — განაცხადა მან. აუტანელი სიცხისა და ცუდი პირობების გამო სამი კვირაა არ გვივარჯიშია და რომელ ოსტატობაზეა საუბარი. ზედიზედ რამდენიმე თვეა ვასპარეზობთ, მაგრამ სასურველ სპორტულ ფორმაში ჯერაც ვერ შევედით. უფრო, მგონია, პირიქითაა საქმე — ძალები თანდათან გველევა. კიდევ კარგი, გუნდი სერიოზული ბიჭებით არის დაკომპლექტებული, თორემ ასეთი განწყობილებით რომ ხარისხიან რაგბის ვერ ვითამაშებდით, შეგუებული ვიყავით.



**— ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის თავკაცი როგორ შეაფასებდით მოწინააღმდეგეთა ძალას?**

— მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ პაექრობის შედეგს მნიშვნელოვანწილად გუნდების ფსიქოლოგიური სიმტკიცე განსაზღვრავს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მონაწილეთა კლასში რალაც განსხვავებაც არსებობს. ეს განსაკუთრებით უმაღლესი ლიგის წამყვან „ტრიოს“ ეხება, რომელიც დანარჩენებთან შედარებით ძლიერად გამოიყურება.

რადგან ეროვნული ჩემპიონატი ვახსენეთ, პირველი ეტაპის სატურნირო მდგომარეობასაც გაგაცნობთ: „ლოკომოტივი“, ბათუმის „დათვები“, „ყოჩები“, ასკ, თსუ. ვფიქრობ, გულშემატკივრებს ჩვენი საშინაო „ფრონტის“ შესახებ საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის **გოჩა აბაშიძის** გამოთქმული მოსაზრებაც დააინტერესებთ. ვთვლი, რომ წლეულს გუნდების კლასი გათანაბრდა, რამაც გაზარდა დაძაბული შეხვედრების რაოდენობა — აღნიშნა მან. მართალია, ეროვნულ ჩემპიონატში ქვეყნის ნაკრების მხოლოდ რამდენიმე წევრი თამაშობს, მაგრამ, ეს, ერთის მხრივ, კარგიცაა — საფრანგეთისა და რუსეთის კლუბებში გადასული ორმოცამდე „ბორჯღალოსანი“ ხომ ისევ ქართული რაგბის საკეთილდღეოდ იმაღლებს კვალიფიკაციას, ჩვენს სავალალო სავარჯიშო პირობებში კი ისინი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იქნებოდნენ. მინდა შევეხო დისციპლინის საკითხსაც: აღსანიშნავია, რომ „ლოკომოტივის“ ორი მორაგბის დისკვალიფიკაციის მიუხედავად, მატჩები ძირითადად კორექტულად მიმდინარეობს, რაც სპორტის ამ რაინდული სახეობის დაუწერელი კანონია.

დავძენთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი ერთ თვეში განახლდება, თასის გათამაშება კი — სექტემბერში. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებსა და ტრიუმფატორ „შეიდკაცას“, იგი ბრძოლაში გაისად ჩაებმება.

**ნინო ვარდოსანიძე.**

## იუბილე

# „ერთიანი კავკასიის დღე“ — გორში






14 ივლისს, შუა ქართლში, მის მეთაურ ქალაქში, დიდი დღე იყო.

სახელდებული და გამორჩეული სპორტსმენის შოთა ჩოჩიშვილის იუბილე მშვენივრად და ამაღლებულად წარიმართა, მაგრამ მის განსაკუთრებულ ხიბლსა და შინაარსზე თვით იუბილარის სიტყვებით განვაცხადებთ. როცა მადლობა მოახსენა მშობელ ხალხს, ქვეყანას, პრეზიდენტს, რომლის განკარგულებითაც III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა, აღმზრდელებს და კოლეგებს, შოთა ჩოჩიშვილმა ხმამაღლა თქვა: დარბაზში არიან ჩემი ოსი, ჩეჩენი, რუსი, ქართველი თანამოსარბიელენი, მათი ერთად შეკრება მეტად სიმბოლურად მესახება. ერთხელ კიდევ დასტურდება ჭეშმარიტება, რომ სიყვარულს და პატივისცემას ვერავითარი ხელოვნური საზღვარი ვერ წამლის.

გორის კულტურის სასახლეში შეკრებილმა საზოგადოებამ ალალად გამოხატა თავისი პატივისცემა რჩეულისადმი, ხოლო ვინც ვერ მოვიდა, საკუთარი გულისთქმა დეპეშებს ანდო, და ასე შეიკრა წრე ერთიანი სამყაროსი — იაპონიიდან ჰოლანდიამდე!

ზეიმი კი მართლაც შოთა ჩოჩიშვილის შესაფერი გამოდგა — განუმეორებელი და უშუალო, ტაქტიანი და აკადემიური.

მაყურებელთა დარბაზში ვიღაცამ შენიშნა: გორში ერთიანი კავკასიის დღის განწყობა ზეობსო.

...სცენაზე კი იდგა ორი შოთა ჩოჩიშვილი, 50 წლის იუბილარი, მრავალ ჭიდაობაში გამოჯეკილი, საზოგადო საქმითა და ქველმოქმედებით მისაბაძი და მისი ხუთი წლის შვილიშვილი, იმედის სიმბოლოდ რომ მოგვევლინა — XXI საუკუნეც შოთა ჩოჩიშვილისა იქნება!

**გივი შეყილაძე,**
**ავტორის ფოტო**

**სურათებზე:** იუბილარი და მისგან მარჯვნივ — პატარა შოთა ჩოჩიშვილი; მაყურებელთა დარბაზი.



## რა დრო გასულა




# ანზორ კავაზაშვილი 60 წლისა გამხდარა

ცნობილ ქართველ მეკარეს — ანზორ კავაზაშვილს 19 ივლისს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

სად არ უცდია ბედი ამ შესანიშნავ კარის დარაჯს: 19 წლისამ თბილისის „დინამოში“ დაიწყო თამაში, შემდეგ გიორგი ქარკუმა ლენინგრადის „ზენიტში“ მიიწვია, სადაც ერთი სეზონი დაჰყო. მერე 8 სეზონი მოსკოვის „ტორპედოში“ ითამაშა, სამი — მოსკოვის „სპარტაკში“. საფეხბურთო კარიერა 1972 წელს ქუთაისის „ტორპედოში“ დაასრულა. 1965 და 1969 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1968 წელს და 1971 წლებში — თასის მფლობელი, 1965 და 1967 წლებლში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, საკავშირო პირველობებში 274 მატჩი ითამაშა, ნაკრებში — 30, მონაწილეობდა მსოფლიოს 1966 და 1970 წლების ჩემპიონატებში.

ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ 15 წლის განმავლობაში ანზორ კავაზაშვილი პროფესიონალ მწვრთნელად მუშაობდა: ავარჯიშებდა კოსტრომის „სპარტაკს“, ჩადისა და გვინეის ეროვნულ გუნდებს, რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებს. 1987-1991 წლებში რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი იყო, ახლა რუსეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტია, რომელიც მოყვარულთა შეჯიბრებებს მართავს.

**სურათზე: 1965 წელი. მოსკოვი. „ლუჟნიკები“. სსრკ-ბრაზილია 0:3. ანზორ კავაზაშვილი ფეხბურთის დიდოსტატთა თანავარსკვლავედში.**

## ყოველი მხრიდან

### ვინ გაიმარჯვებს ოლიმპიადაზე?

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა პლანეტის საუკეთესო ათლეტების რეიტინგი, რომლის პირველი ათეული ასეა წარმოდგენილი:

1. **ოშმან ელ გერუჟი** (მაროკო) — სირბილი 1500, 2000, 3000 მეტრზე;
2. **მორის გრინი** (აშშ) — სირბილი 100 და 200 მეტრზე;
3. **მაიკლ ჯონსონი** (აშშ) — სირბილი 200 და 400 მეტრზე;
4. **ნოა ნგენი** (კენია) — სირბილი 1500 მეტრზე;
5. **ვილსონ კიპკეტერი** (დანია) — სირბილი 800 მეტრზე;
6. **მაქსიმ ტარასოვი** (რუსეთი) — ჭოკით ხტომა;
7. **ბერნარ ბარმასანი** (კენია) — 3000 სტიპლჩეზი;
8. **ივან პედროსო** (კუბა) — სიგრძეზე ხტომა;
9. **ბენჯამინ ლიმო** (კენია) — სირბილი 3000 და 5000 მეტრზე;
10. **კოლინ ჯეკსონი** (დიდი ბრიტანეთი) — თარჯრბენი 110 მეტრზე.

აბა, დააკვირდით, მძლეოსანთა მსოფლიო ათეულში ერთადერთი თეთრკანიანია რუსეთელი სპორტსმენი; რჩეულთა შორის ძირითადად აფრიკის წარმომადგენლები ან და აფრიკიდან წამოსულები არიან, თანაც ძირითადად მორბენალნი.

ვნახოთ, თუ როგორ ისახელებენ თავს სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებზე.

### ჰიმნს სიტყვებიც დაამშვენებდა

მოსკოვის საფეხბურთო კლუბმა „სპარტაკმა“ სთხოვა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს რუსეთის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი.

— „აღარ გვინდა, თავჩაქინდრულებმა ვიდგეთ ჩვენი ქვეყნის ჰიმნის შესრულებისას რუსეთსა თუ საზღვარგარეთულ მატჩებზე“, — ნათქვამია სახელმწიფო მეთაურისადმი გაგზავნილ წერილში.

### ბრიტანელი მოცურავეები გამდიდრდებიან

ბრიტანეთის ცურვის ფედერაციამ გადაწყვიტა თავისი ათლეტების წახალისება სიდნეის ოლიმპიადისათვის და გამოაცხადა ერთობ მაღალი ფულადი ჯილდოები ყოველი მედალოსნისათვის. ოქროს მედალოსანი 15 ათას დოლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი — 7,5 ათასს, „ბრინჯაოს“ მფლობელი — 3,7 ათასს.

საერთოდ, სპორტსმენთა ასეთი სტიმულირების ხერხი ახალი როდია, მაგრამ ცურვის ბრიტანელი ფუნქციონერები მას პირველად იყენებენ. „თითოეულმა ბრიტანელმა ათლეტმა სიდნეიში მედლისათვის უნდა იბრძოლოს, — განაცხადა ცურვის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დეივიდ სპარქსმა, — ჩვენ გვინდა სპორტსმენებს ფინანსურად დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ მათ პროგრესს“.

### რეკორდი დამტკიცებულია

საოკეანო საიალქნო რბოლების საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა კატამარანის **Clubmed** რეკორდები.

შეგახსენებთ, რომ 33,5 მეტრიანმა იალქნიანმა ხომალდმა, რომელსაც ახალზელანდიელი გრანტ დალტონი და ფრანგი ბრუნო პეირონი მართავდნენ, ატლანტის ოკეანე გადასერა კადის — სან-სალვადორის მარშრუტით 10 დღეში 14 საათსა, 53 წუთსა და 44 წამში, რაც ადრინდელზე 2 დღით ნაკლებია. ამ ხომალდმა სადღეღამისო გადასვლის რეკორდიც დაამყარა — 1158,8 კმ.

ამრიგად, დალტონმა და პეირონმა მიიღეს დედამიწის გარშემო შეუჩერებელი მოგზაურობის საგზური. ის კი სტარტს 31 დეკემბერს ბარსელონაში აიღებს. მასში გამარჯვებული 2 მილიონ დოლარს მიიღებს.

## სპორტის გარშემო

თუ საით გარბოდა პიტ სამპრასი, გამარჯვების მიწოდების შემდეგ, დაცვა რომ მიყარ-მოყარა და გულშემატკივრებს თავზევით ახტებოდა, მხოლოდ თავად პიტმა იცოდა. ცხადი იყო მხოლოდ მიმართულება: გარბოდა სტუმართა ლოჟისაკენ, სადაც მჭიდროდ ისხდნენ მისი მწვრთნელები, მასაჟისტები, აგენტები, საცოლე... საცოლემ ბრიჯიტ უილსონმა, ჯიშიანმა ამერიკელმა ქალიშვილმა, აღელვებისაგან თავი რომ მიანება კევის დაღეჭვასა და სახეზე სიხარული რომ გამოეხატა, ბოროტი ინგლისელი ჭორიკნების მტკიცებით: უიმბლდონის დროს მთელი ბრიტანეთის კუნძულების სამყოფი კევა გადაღეჭაო.

მაგრამ ჩემპიონის პირველი ხვევნა-კოცნა ბრიჯიტს როდი ეკუთვნოდა, პიტი ეხვეოდა ადამიანს, ვისაც სტუმართა ლოჟის მიღმა არავინ იცნობდა — სემ სამპრასი ბოლო ათი წლის მანძილზე არ დასწრებია თავისი ჩემპიონი-ვაჟიშვილის მატჩებს, „მე მაგის ნერვები არა მაქვს, — იმეორებდა სემი, — აჯობებს, რომ დედასთან ერთად ტელევიზორს მივუსხდეთ“, მაგრამ უიმბოლდონ-2000-ს უფროსი სამპრასი ვერ გამოტოვებდა — მის შვილს სარეკორდო ტიტული უნდა მოეგო, მეშვიდედ. პიტმა ტამპში მშობლების მატჩის წინადღეს დაურეკა და. მამამ ბილეთი შეიძინა.

22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ემიგრანტმა საბერძნეთიდან სოტეროს (სემ) სამპრასმა ჩოგბურთის სექციაში თავისი უმცროსი ვაჟიშვილი მიიყვანა. იქ უკვე ვარჯიშობდა მისი სამი უფროსი შვილი. ზაფხულის ორი კვირის განმავლობაში ეს საჩოგბურთო ოჯახი მამლის ყივილზე დგებოდა, რათა უიმბლდონიდან პირდაპირი რეპორტაჟები ენახა. ოთხი შვილიდან ერთმა მაინც აიხდინა ამერიკული ოცნება — გახდა ვარსკვლავი და მილიონერი.

სამპრასის მარტო საპრიზო თანხა თითქმის ორმოც მილიონ დოლარს შეადგენს.

მამა რიჩარდს, და არა დედიკო ორასინს ეხუტებოდა გამარჯვების შემდეგ უიმბლდონის ახალი ჩემპიონი ქალი ვინუს უილიამსი. დედა სახლში დარჩა. „დედა მოგზაურობისგან დაიქანცა, მას ცოტა წყნარი ცხოვრება სჭირდება“ — განაცხადა ვინუსმა. მამა უილიამსი უნიკალური ადამიანია. ისევე როგორც მთელი ოჯახი.

„მე უდიდეს პატივს ვცემ ზვერევას. ის იყო პირველი, ვინც არ შეშინდა და განაცხადა „ეს ჩემი ფულია“. იმ დროს ეს ძალზე გაბედული ნაბიჯი იყო“ — რიჩარდს მხედველობაში ჰქონდა 1989 წელი, როცა 18 წლის ნატაშა ზვერევამ, პირველმა საბჭოთა სპორტსმენებს შორის, ღია ბრძოლა გამოუცხადა სპორტის სახელმწიფო კომიტეტს და მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა.



რიჩარდს ლონდონში მიაწერდნენ გადამწყვეტ როლს, თუ ვინ გაიმარჯვებდა ნახევარფინალურ მატჩში ვინუსსა და სერენას შორის. სერენამ, რომელიც ერთი წლით უმცროსია ვინუსზე, მაინც პირველმა მოიგო მთავარი საჩოგბურთო ნადავლი — „დიდი მუზარადის“ ტურნირი, გაიმარჯვა რა აშშ-99 ღია ჩემპიონატზე („დიდი მუზარადის“ ტურნირი ოთხია — აშშ, ავსტრალიის, საფრანგეთისა და უიმბოლდონის ჩემპიონატები), რა თქმა უნდა, რიჩარდი ჯერ კიდევ ათი წლის წინათ წინასწარმეტყველებდა, რომ ვინუსი და სერენა ერთმანეთში გაიყოფდნენ საჩოგბურთო გვირგვინს და ამტკიცებს, რომ უმცროსი თანდათან გაუსწრებს უფროსს, მაგრამ არცთუ მალე. პირველი „მუზარადი“ ლოგიკის მიხედვით ვინუსს უნდა ხვედროდა.

# დები უილიამსების ოჯახური საიდუმლო

უმცროსი დის ნიუ-იორკში მარშანდელმა დაუგეგმავმა წარმატებამ უფროსის მდგომარეობაზეც იმოქმედა: აბა, შეგეხედათ, რას გავდა, როცა გამარჯვებულმა სერენამ ხელები ცისკენ აღაპყრო. ოჯახში მშვიდობის დასამყარებლად რიჩარდმა შეძლო ლონდონში უმცროსისათვის ეთქვა: „შენ ხომ უკვე გქვს ერთი „მუზარადი“, მიეცი საშუალება ვინუსს, გაიმარჯვოს უიმბოლდონში“.

ქალიშვილების მატჩზე მამა უილიამსი არ მივიდა. სამაგიეროდ დაპირდა მათ, რომ ნერვების დასაწყნარებლად 1958 წლის შემდეგ პირველად თავს ნებას მისცემს დალიოს ერთი კათხა „ჰეინეკენი“. როგორც იელოვას ჭეშმარიტი მოწმე, რიჩარდი სპირტიან სასმელებს პირს არ აკარებს.

20 წლის ვინუსმა მატჩი გასაოცრად იოლად და სწრაფად მოიგო. 19 წლის სერენამ, რომელსაც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ ჯონ მაკინროი, მარტინა ნავრატილოვა, ათეულობით პატივსაცემი და ჩოგბურთის მცოდნე ადამიანი, მიწოდებას მიწოდებაზე აფუჭებდა, ხოლო როცა წააგო, დის მხარზე დაყრდნობილი ატირდა. კითხვაზე, მატჩის შედეგი საოჯახო საბჭოზე ხომ არ იყო გადაწყვეტილიო, სერენამ, თავი რომ არ აეწევია, წაიჩურჩულა: „ჩემი ოჯახის მაგიერ ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ“.

მხოლოდ მას შემდეგ, უზარმაზარი ვერცხლის სინი რომ ჩაიხუტა, რომელსაც უიმბლდონზე გამარჯვებულებს აძლევენ, გაბრწყინებული ვინუსი გამოტყდა, თუ რას ნიშნავს მისთვის ეს გამარჯვება: „მე სულ ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი, — ჩემპიონი მღელვარებისაგან ხმაჩახრინწული ლაპარაკობდა — თითქოს „დიდ მუზარადს“ ვიგებდი, მაგრამ როცა ვიღვიძებდი, ვრწმუნდებოდი, რომ ყველაფერი ტყუილი იყო. ახლა ასეთი კოშმარი აღარ დამტანჯავს“.

როცა კოშმარები უკან რჩება, სული ახალი გამარჯვებებისაკენ მოგვიხმობს. უიმბოლდონის მიხედვით თუ განვსჯით, ქალთა ჩოგბურთის მომდევნო „დიდი მუზარადების“ ბედი, უწინარეს ყოვლისა, გადაწყდება ამ ორი ათლეტური აღნაგობის დის პაექრობით მარტინა ჰინგისისა და მერი პირსის აქტიურობის ეპიზოდურ გაელვებასთან.

თავისი მამის — ნიკოლოზის გადაკოცნის საბაბი ჰქონდა ვლადიმერ ვოლჩკოვსაც. მინსკელმა ჩაიდინა ის, რაც ვერ შეძლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ვერც ერთმა სპორტსმენმა, ალექსანდრე მეტრეველის გარდა. ქართველი მეტრეველი 1972 წელს უიმბოლდონის ფინალამდე მივიდა, ბელორუსი ვოლჩკოვი კი 2000-ში ნახევარფინალში გავარდა. რუსეთელი ევგენი კაფელნიკოვის საუკეთესო შედეგი ლონდონში გაცილებით დაბალია — მეოთხედფინალი 1995 წელს.

**ნატალია ბიკანოვა,**
„ოგონიოკი“ № 25. ივლისი. 2000 წელი.

**სურათებზე:** დები უილიამსები, პიტ სამპრასი.

(გაგრძელება იქნება).

იბეჭდება შემოკლებით.




## სიდნეი-2000





ვახტანგ კუციას ნახატი.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

**ფიცარნაგზე ვუხმობთ ავტორს - III ნაწილი**

განვაგრძობთ ვარჯიშების სერიას ევროპის ექს-ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — ნიკოლოზ სარალიძის შესრულებით.

ამ ვარჯიშებს იგი ასრულებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზში, მის მიერვე შექმნილ ტრენაჟორზე, რომელიც გამოირჩევა მოძრაობის შესრულების დიდი სიზუსტით. იგივე ვარჯიშები, შედარებით ნაკლებეფექტურად, სრულდება ტრენაჟორის გარეშე.

1. მხრის დელტისებრი კუნთების შუა ნაწილისა და ტრაპეციისებრი კუნთების ვარჯიში (სურ. 1. 2.). ვარჯიშს ეთმობა 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

2. მხრის დელტისებრი კუნთების უკანა ნაწილისა და ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში (სურ. 3, 4). ამ ვარჯიშის შესრულებისას, რაც უფრო მეტად გადაიტანს ათლეტი წინ სიმძიმის ცენტრს, მით უფრო დაიტვირთება ზურგის უგანიერესი კუნთები. ათლეტი ასრულებს 6 მისვლას 8-8 გამეორებით.

3. მხრის დელტისებრი კუნთების უკანა ნაწილისა და ტრაპეციისებრი კუნთების ვარჯიში (სურ. 5,6). ვარჯიში მოიცავს 4 მისვლას 10-10 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ნაზი ბოზიშვილის ფოტო.**



საქართველოს რესპუბლიკა
№ 196. შაბათი, 22 ივლისი, 2000 წელი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სევერიანე კერესელიძე ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელიდან. დაიღუპა რუსეთ-თურქეთის ომის დროს. სურათი გადაღებულია 1917 წელს.

სურათი მოგვაწოდა მისმა შვილმა, საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა თამარ კერესელიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ყურადღება

## თბილისის სატელეფონო ქსელი

### აცხადებს, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ვაზისუბნის დასახლებაში ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა ბინებში ტელეფონის დადგმის თაობაზე

სატელეფონო ქსელი თხოვს ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეებს მიაკითხონ სამგორის სატელეფონო კვანძს (შუამთის ქ. №19) ტელეფონების გასაფორმებლად შემდეგი გრაფიკით:

17.07.2000 წ.

ვაზისუბნის დასახლების

3 მ/რ 2 კვ. – 3, 5, 7, 8, 12, 13,

1 მ/რ – 16, 17, 18:

4, 5, 6, 7, 8 ა, 8 ბ, 9

კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 2000 წლის ჩათვლით.

1, 2, 3, 13, 14, 15, 20 ა, 20 ბ საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან 1986 წლის ჩათვლით.

24.07.2000 წ.

ვაზისუბნის დასახლების

4 მ/რ 2 კვ. – 1, 2, 3, 5, 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15;

4 მ/რ 1 კვ. – 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8;

4 მ/რ 3 კვ. – 11

კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 2000 წლის ჩათვლით.

3, 4, 5, 6, 14, 15, 16 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1989 წლის ჩათვლით.

1, 2, 14, 15 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1985 წლის ჩათვლით.

14.08.2000 წ.

ვაზისუბნის დასახლების – 1, 2, 2 ა, 20, 21, 22

სამგორის დასახლების – 25, 26, 27, 28

კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 2000 წლის ჩათვლით.

სამგორის დასახლების – 30, 31, 32 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1978 წლის ჩათვლით, წულუკიძის ჩიხის – 31, 33 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1985 წლის ჩათვლით

ვაზისუბნის დასახლების – 12, 15, 16 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1990 წლის ჩათვლით

ვაზისუბნის დასახლების

2 ა მ/რ – 16, 19, 20, 23, 27 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1986 წლის ჩათვლით.

21, 22 კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1987 წლის ჩათვლით

ტელეფონის დადგმის ღირებულების გადახდა, რომელიც შეადგენს 260 ლარს, შესაძლებელია სამი თვის განვადებით.

ტელეფონების გასაფორმებლად საჭიროა აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

დამატებით! გაცნობებთ: ორი კვირის ვადაში სამგორის რაიონის სატელეფონო კვანძში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ტელეფონის დასადგმელად გამოძახებული იქნებიან მოქალაქეები, რომლებიც დგანან ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე, გრაფიკში აღნიშნული მოქალაქეების შემდეგ, ხოლო თქვენი ტელეფონით დაკმაყოფილების საკითხის ხელმეორედ განხილვა მოხდება ქსელის შემდეგი გაფართოებისას.

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატელეფონო კვანძს. საკონტაქტო ტელეფონი: 78-48-48.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ატს-30-ის მოქმედების ზონაში (ვაკის რაიონი) ვაჟა-ფშაველას მე-6 და მე-7 კვარტალების საცხოვრებელ კორპუსებში გადაწყვეტილია ტელეფონები დაედგას მცხოვრებლებს, რომლებიც ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე იმყოფებიან 1991 წლის ჩათვლით.

ვთხოვთ აღნიშნული კვარტალების მცხოვრებლებს მიაკითხონ საბურთალოს სატელეფონო კვანძს (ნუცუბიძის ქ. №14) ტელეფონის დადგმის გასაფორმებლად. თან იქონიონ აღრიცხვაზე მყოფ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ტელეფონის დადგმის ღირებულება 65 ლარია.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საბურთალოს სატელეფონო კვანძს. საკონტაქტო ტელეფონი: 39-22-99.**

**ადმინისტრაცია.**

## ღიმილის დღა



ბრძოლა მშვიდობისათვის ჰგავს სექსს უბიწობისათვის.

* * *

სამორინე. ქალი ჯენტლმენს ეკითხება, რომელიც ბანქოს თამაშობს:

– გახსოვართ? შარშანწინ თქვენ ამ ადგილზე ცოლობა მთხოვეთ.

ჯენტლმენი, რომელიც თამაშს განაგრძობს:

– და თქვენც გამომყევით?

* * *

მუზეუმი. გიდი უხსნის ტურისტებს:

– ეს ფარაონის ვაჟია, ეს – ფარაონის მეუღლე, ეს – ფარაონის ხმა, ეს კი ფარაონის მუმიაა.

– მუმია ფარაონის ნათესავია?

* * *

ქალი ექიმთან შედის:

– ექიმო, გადავწყვიტე პროფილაქტიკური მკურნალობა ჩავიტარო, მიკარნახეთ, გეთაყვა, რით დავიწყო?

– მე მგონი, თავდაპირველად კოსმეტოლოგთან უნდა მიხვიდეთ, ცუდი გარეგნობის გამო ბევრი ფული გეხარჯებათ კოსმეტიკაზე.

– თქვენ მართალი ხართ!

– შემდეგ შედით დიეტოლოგთან, ზედმეტი წონის დასაკლები რჩევა სთხოვეთ.

– კეთილი.

– და თვალის ექიმს ენახეთ აუცილებლად.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემი კაბინეტის კარებს დიდი ასოებით აწერია „ვეტერინარი“!

გრიმიკო გეგელაშვილს შვილები და შვილიშვილები ულოცავენ დაბადების დღეს. უსურვებენ დღეგრძელობას და მზეგრძელობას.

## განცხადება

შპს „ცენტრი“ გაცნობებთ, რომ სს „ბაზალეთის ტბა“ და შპს „ნოვამენეჯმენტჯორჯია“ მიერთების გზით შეერწყა შპს „ცენტრს“, რომელიც გახდა მათი კანონიერი უფლებამონაცვლე. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, გულიას ქ. №1.

**შპს „ცენტრის“ დირექცია.**

## დიდების ზღაპარი

„დიდების ზღაპრის“ ახალი სერიის – „ინდური კინოს“ (რომლის ანონსსაც ჩვენი გაზეთის მკითხველები 15 ივლისის ნომერში გაეცნენ) ხილვა ტელემაყურებლებს შეუძლიათ კვირას, 23 ივლისს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში. უყურეთ „ინდურ კინოს“, ისიამოვნეთ, იმხიარულეთ და კვლავაც შეგახსენებთ – არ დაივიწყოთ, რომ „გურუს ვერაფერს გამოაპარებთ“.

კვლავაც თქვენი
**არჩილ ავალიანი**



## სულთათანა

### აღესრულა მეუფე კონსტანტინე

19 ივლისს, 75 წლის ასაკში აღესრულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის უხუცესი წევრი მარგველი მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე.

იგი 22 წელი ემსახურა ჩვენს ხალხსა და ეკლესიას, როგორც მღვდელმთავარი. წლების მანძილზე იყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. მიღებული აქვს მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების სხვადასხვა ჯილდო, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ იგი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

მეუფე კონსტანტინეს წესის აგება დაიწყება შაბათს, 22 ივლისს, 12 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში. იმავე დღეს, 14 საათზე მას დაკრძალავენ სიონის ეზოში.

**საპატრიარქოს პრესცენტრი – საქინფორმი.**

## მუსიკა

### სალონური ჯაზის საღამო აჭარის წარმომადგენლობაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში გაიმართა სალონური ჯაზის საღამო. მასში მონაწილეობდნენ ჯაზ-ტრიო „თბილისი“ ოთარ მაღრაძის ხელმძღვანელობით და ვაჟთა ტრიო „ალავერდი“ ციცი ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით. მუსიკალური საღამო გახსნა პარლამენტარმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა. ჩვენი ცნობილი ჯაზმენების ოთარ მაღრაძის, ოთარ საგანელიძისა და ვალერი ფაილოძის შესანიშნავ მუსიკას ორგანულად ენაცვლებოდა ლევან რუხაიას, გურამ გოცაძისა და ოთარ ედიშერაშვილის სიმღერა. კონცერტი გაამრავალფეროვნა გამოჩენილი მომღერლის გენო ნადირაშვილისა და პაროდისტ მერაბ გეგეჭკორის გამოსვლებმა.

ამ მშვენიერი საღამო-კონცერტის ორგანიზატორები იყვნენ მანანა გარუჩავა და ელენე წერეთელი, რისთვისაც მათ შეკრებილთა მხურვალე მადლობა დაიმსახურეს.

**ალექსანდრე კუტალაძე.**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

### მოწვევა ადგილობრივ საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)

### თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესების პროექტი

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკისაგან კრედიტი მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის ღირებულების დასაფინანსებლად და აპირებს სახსრების ნაწილი გამოიყენოს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესების პროექტის დასაფინანსებლად (კონტრაქტის №თბს/NCB/002/00).
2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის პროექტის ფიზიკური ინვესტიციების კომპონენტის განხორციელების მიზნით (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები წინადადებით თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებაზე.
3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და, აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: *თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47. ფაქსი: 94-04-39,* თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 150 ლარის გადახდის საშუალებით. დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
4. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის შემდეგ და მათ უნდა თან ახლდეს *წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია 8.800 ლარის ოდენობით.* საკონკურსო წინადადებები წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს *2000 წლის 29 აგვისტოს 12 საათისა.* ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

## ხსოვნა

### ბორის დემეტრაძე



გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის გამგე, საქართველოს სამთო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი **ბორის დავითის ძე დემეტრაძე.**

რესპუბლიკის ტექნიკურმა ინტელიგენციამ და ფართო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, საინჟინრო კადრების მრავალი თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, დიდებული მოქალაქე, მზრუნველი მეოჯახე.

ბორის დემეტრაძე დაიბადა 1934 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის მეთერთმეტე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. 1957-59 წლებში მუშაობდა დონეცკის აუზის ქ. გორლოვკის №4-5 შახტზე. შემდგომ შრომითი საქმიანობა გააგრძელა თბილისის გაზის მეურნეობის სამმართველოში.

1960 წლიდან ბორის დემეტრაძე პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ხოლო 1962 წლიდან პარტიული კომიტეტის მდივანი. ამ პერიოდში მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის ინსტიტუტში მოზიდვისა და საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში. 1968 წელს ბატონი ბორისი აირჩიეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1972 წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის პირველ მდივნად.

1973 წელს ბორის დემეტრაძე უბრუნდება მშობლიურ ინსტიტუტს. 1976 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იყო სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის დოცენტი, შემდეგში პროფესორი. 1989 წელს ბატონ ბორისს ირჩევენ ამავე კათედრის გამგედ.

1979-84 წლებში ბატონი ბორისი სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, აგრეთვე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში.

1984-89 წლებში იყო სამთო ფაკულტეტის დეკანი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების ქვეშ აშენდა უნიკალური სასწავლო შახტი-ლაბორატორია, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1991 წელს. ამ ობიექტმა მიიღო სპეციალისტების მაღალი შეფასება, როგორც უმაღლესი სასწავლებლის არაორდინარულმა სასწავლო ბაზამ. მისი დაპროექტებისა და მშენებლობისათვის ბორის დემეტრაძეს სხვა ავტორებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1996 წელს ბორის დემეტრაძე აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2000 წელს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად.

1997 წლიდან ბატონი ბორისი საქართველოს სამთო საზოგადოების თავმჯდომარეა. მისი ინიციატივით დაარსდა სამეცნიერო-ტექნიკური „სამთო ჟურნალი“, რითაც აღსრულდა საქართველოს სამთოელთა მრავალი თაობის ოცნება.

პროფ. ბორის დემეტრაძემ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში სამთო სპეციალობის სტუდენტებისათვის შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები: „მარგი წიაღისეულის მოპოვება“, „ფენოვან საბადოთა გახსნა და მომზადება“, „ქანების მასივის მდგომარეობის მართვა“. არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის და მეთოდური სამუშაოს ავტორი.

ბატონი ბორისი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სამთო პროფილის ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში. მისი უშუალო ინიციატივით შემუშავდა საქართველოს სამთო-საინჟინრო კადრების მიზნობრივი მომზადების გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც აისახა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში.

ბორის დემეტრაძის ღვაწლი ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე აღინიშნა ღირსების ორდენით.

ბატონ ბორისს მრავალი განუხორციელებელი ოცნება დარჩა, მათ შორის სამთო ტერმინოლოგიის და განმარტებითი ლექსიკონის მომზადება-გამოცემა და სხვ.

ბატონი ბორისის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, მოწაფეების და ყველას გულში, ვისაც უხდებოდა მასთან ურთიერთობა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი;**
**საქართველოს სამთო საზოგადოება;**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი.**



მეუღლე თეა, შვილი თამრიკო, და მაია, სიძეები გოჩა ჩხეიძე, შოთა კარტოზია, დისწულები თიკო, გაგა ჩხეიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა გურამის ძე ბერიძე

პანაშვიდი 22 VII 6 სთ. ფალიაშვილის ქ. 5, გამოსვენება 23 VII, 3 სთ. საბურთალოს ამაღლების ტაძრიდან.

---

ნუგზარ ქავთარაძე, ზურაბ გაბუნია და არმაზ სანებლიძე ოჯახებით გულითადად უთანაგრძნობენ ბუჭუ ბერიძეს შვილის

მამუკას

გარდაცვალების გამო.

---

დიმა, დევი, ბახი, თინიკო ბერიძეები ოჯახებით იუწყებიან

მამუკა ბერიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დიღმის მასივის მესამე კვარტალის პირველი კორპუსის მცხოვრებნი ულრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ დავითის ძე იოსელიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ამავე გაზეთის ყოფილი რედაქტორი

ოთარ იოსელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოადგილეს უჩა ზაქარაიას მამის

აკაკი ზაქარაიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ინსტიტუტი საქმახტპროექტი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბორის დემეტრაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ტელევიზია

### შაბათი, 22 ივლისი

09.55 დილის პაემანი. 11.30, 19.35, 20.45 „უ-თუ-ოდ“. 11.35 „თბილისის დროით“. 12.00 საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე. 12.15 ჩოგბურთი. 15.00 „ვესტნიკი“. 15.10 მულტფილმი. 15.45 „რეგიონი“. 16.10 მუსიკა ეთერში. 16.30 მხ. ფილმი „ელმოს თავგადასავალი“. 17.40 „სააგენტო აბდა-უბდა“. 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე“. 18.15 „ინტეგრალი“. 19.05. სტადიონი. 19.25 „გასეირნება ძველ თბილისში“. 19.40 „ბასტი-ბუბუ“. 20.50 „გრიფით საიდუმლო“. 21.10 „მაესტრო“. 22.15 მხ. ფ. „ტოტო გმირი“. 23.40 „ულტრა“. 00.10 მხ. ფ. „ინტიმური ცხოვრების საიდუმლო“.

19.00 ინფორმაცია. 19.30 სერიალი „საზღვაო პოლიცია“. 20.20 ახლო ხედი. 20.30 მხ. ფ. „მარაოსავით გაშლილი თითები“. 22.00 კერპები. 22.15 ახლო ხედი. 22.20 მხ. ფ. „ზღვის მოქცევის მბრძანებელი“.

08.00 მუსიკა. 09.00 კურიერი, 09.50 მულტსერიალი. 10.40 საბავშვო ფილმი. 12.00 მუსიკა. 12.15 სერიალი „კოლომბო“. 12.45 სიმფსონები. 13.15 სერიალი „სიყვარულის ერთგულება“. 14.00 მხ. ფილმი 18.00, 01.00 კურიერი, 18.20 „სერიალი“ კომპიუტერული ომები“. 18.40 სერიალი „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი“. 19.10 დოკ. ფილმი „მშვიდობით მეოცე საუკუნევ“. 20.05 სერიალი „სიყვარულის ერთგულება“. 21.00 კურიერი. 22.00 ფსიქო მხ. ფ. „მოკლე ფილმი მკვლელობაზე“. რეჟ. ქშიშტოფ კიშლოვსკი. 01.10 სერიალი „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“. 01.40 ღამის ჯაზი.

იბერია 09.00 ნახ. ფილმი. 09.10, 22.25 „აღსავალი“. 09.15 სტუდია-დიალოგი. 09.55 სერიალი „ქალაქი“ 10.20 ქართული ჰანგები 10.30 სერიალი „ყველა ჩემი შვილი“ 11.15,19.20 მულტსერიალი 11.40 მხ.ფ. „მიცვალებულთა აღდგომა“ „ოვაცია“ 18.00 ნახ.ფილმი 18.10 დოკ. ფილმი 19.00, 22.00 ახალი ამბები 19.40 მუს. ტალღა 20.45 ძვ. ჰანგები 21.15 „სახეები“ 21.30 მრწამსი 22.30 მხ.ფ. „მიცვალებული მოდის“ 00.30 „ნოსტალგია“ 00.35. მხ.ფილმი „განდგომილი“ „ოვაცია“.

12.00 მხ.ფ. 14.10 დოკ. ფილმი „თიხით მოუბარი“ 15.35 მხ.ფ. 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15 მუსიკა 17.30 გადაცემა „ხარება“ 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 ქართ. მხ.ფ. 21.00 „ვარსკვლავები“ 22.00 მხ.ფ. 23.50, 01.55 მუსიკა. 00.20 – მხ.ფ.

ევრიკა 11.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი“ 13.30 მხ.ფ. „ბეთჰოვენი-3“ 14.55, 17.10 მუსიკალური კოლაჟი 15.00 მხ.ფ. „ჯეფერსონის პარიზში“ 17.20 მხ.ფ. „მტაცებელნი“ 19.00 „თქვენი ადვოკატი“ 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „საუბრები მწერალთან“ 21.45 ინდური კინოს მოყვარულებს „ბადმაში“ 00.05 მუსიკალური კოლაჟი 00.10 მხ.ფ. „ხმა მიაწვდინე ზეცას“.

08.00 „ტონიკი“ 10.30 „ბისი“ მხ.ფ. „ერთ-ერთი იმ დამეთაგან“ 12.00, 13.40, 20.40, 22.55, 00.45 კლიპ-მიქსი 12.50 „ნუკაბაძი“ მულტფილმი 14.00 მხ.ფ. „ლენინგრადი, მელოდრამა“ 18.00 „ნუკაბაძი“ მულტფილმები 19.00 „COმედია“ მხ.ფ. „სიცილის გამო“ 21.00 პროგრამა F მხ.ფ. „ბლეიდი“ 23.15 „ბრავო“ მხ.ფ. „ეშმაკებზე ნადირობა“ 01.00 „ღამურა“ მხ.ფ. „გახეხილი კაკალი“ 02.35 ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა „დილით“ 09.15,18.15 მულტფილმი „პატარა ენოტების თავგადასავალი“ 09.40 მხ.ფ. „შავი მთვარე“ 11.15 ქართული ხმები 12.00 მხ. ფილმი „მგზავრი 57“ 13.25, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.15 მხ.ფ. „უკანასკნელი ქალი“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა. „საღამოს ექვს საათზე“ 21.00 ქართული ხმები 21.50 „ბელისიმო“ 22.25 მხ.ფ. „სათადარიგო მკვლელები“ მთ. როლებში: ჩონ იუნ ფატი, მირა სირვინო. 23.50, 00.15 მუსიკა 00.00 საინფორმაციო პროგრამა „შუაღამისას“ 00.35 მხ.ფ. „მძინარენი“ მთ. როლებში: რობერტ დე ნირო, დასტინ ჰოფმანი, ბრედ პიტი.

09.30 „დღეს“ 10.00, 18.00 მულტფილმები 11.00 ქართული მხ.ფ. „ნერგები“ 12.30 დოკ. ფილმი 13.30 მხ.ფ. „ინტენსიური თერაპია“ 15.30 კონცერტი 16.30 მხ.ფ. „მზის ჩასვლა“ 19.00 ქართ. მხ. ფ. „ჩემი მეგობარი ნოდარი“ 20.30 დოკ. ფილმი 21.30 მუსიკალური კოლაჟი 22.00 „დღეს“ 22.40 მხ.ფ. „გაქცევა მოუშენკოდან“ 00.30 მუსიკალური კოლაჟი 01.00 მხ.ფ. „შავი მანტია“.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
როლანდ ბასილაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.